სამარცხვინო კომპრომისების დრო წავიდა A3

მრავალმილიონიანი კორუფციული სქემები საგზაო პოლიციაში A8

მეცნიერება B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 23 დეკემბერი, 2003 წელი. №330 (542)

ფასი 50 თეთრი

# "ნუ გეშინია, მიშა"



მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო კამპანიას აგრძელებს.

სოფო ბუკია

*გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები,*
*მთების ლურჯი კამარა, უცხო სამოთხეები...*

გალაკტიონის კარალეთთან დღევანდელ კარალეთს თითქმის არაფერი აქვს საერთო. **"როცა გალაკტიონმა ეს ლექსი დაწერა, კარალეთში, ალბათ, გზებიც კარგი იყო, რუსეთთან სავიზო რეჟიმი არ არსებობდა და ხალხს ხილის მოსავალი არ ულპებოდა... როგორც ხედავთ, დრომ აქ ყველაფერს გადაუარა,"** - ნახევრად ხუმრობით გვითხრა სკოლის მასწავლებელმა ლილი ნასყიდაშვილმა, რომელიც გუშინ, თანასოფლელებთან ერთად, სოფლის ცენტრში მიხეილ სააკაშვილის გამოჩენას ელოდა.

გორის რაიონის სოფელ კარალეთს სააკაშვილი "უცხო სამოთხეების" დასათვალიერებლად

გაგრძელება A3 გვერდზე

# მკვლელობა ფლავისმშენში





საავადმყოფოში მოთავსებული მოზარდების ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

გუშინ საღამოს გორის რაიონის სოფელ ფლავისმშენში 18 წლის ნიკოლოზ მეურმიშვილი მოკლეს. მისი სამი მეგობარი, 18-18 წლის თემურ ოქრუაშვილი და გურამ მელაძე, 13 წლის ბაჩო ჯავახიშვილი სხეულის სხვადასხვა დაზიანებით, გორის რაიონულ საავადმყოფოში არაინ მოთავსებულები. მკვლელობაში ეჭვმიტანილია იმავე სოფლის მაცხოვრებელი 65 წლის ნიკოლოზ ეცადაშვილი, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობის მიზეზი სამი ახალგაზრდის მიერ პიროტექნიკით თამაში გახდა. დაზარალებულები ზედიზედ ორი დღის განმავლობაში ეცადაშვილის ეზოსთან აფეთქებდნენ მაშხალებს. გუშინ საღამოს ეცადაშვილმა, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, უკვე თავისი ოჯახის უსაფრთხოების გამო შეშინდა, საპასუხოდ თოფიდან გაისროლა. გასროლის შემდეგ თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად ნიკოლოზ მეურმიშვილი ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევას გორის რაიონის პროკურატურა იძიებს.

*24 საათი*

# ორი დღე პარიზში

B3









## პოლიტიკა

### ყავლგასულ პარლამენტში თანამდებობებს "არიგებენ"

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ, რომელიც დღეიდან შეუდგება მუშაობას.

A2

## ეკონომიკა

### გახდება თუ არა გალცეროვიჩი საქართველოს ახალი პრეზიდენტის მრჩეველი

შევარდნაძის მთავრობამ, რომელსაც მრავალი ქართველი და უცხოელი მრჩეველი ჰყავდა, ვერ შეძლო რეფორმების წარმატებულად განხორციელება; დიდად არც მრჩევლების რეკომენდაციებისა თუ ინიციატივების შესრულება უცდია და, შესაბამისად, არც მათ ანაზღაურებაზე დახარჯული თანხების მიზნობრიობას შეუწუხებია.

A4

## უცხოეთი

### ბერეზოვსკი პუტინის კონკურენტს ეძებს

ბერეზოვსკის ჯერ არ გაუმჟღავნებია პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობა. ერთი რამ კი ცხადია, რომ თუკი ეს პიროვნება ბერეზოვსკისათვის მისაღები იქნება, მას ბრიტანეთში გახიზნული ოლიგარქის მხრიდან უხვი ფულადი დახმარება გარანტირებული აქვს.

A5

## საზოგადოება

### საახალწლო ფსიქოთერაპია

*მათ, ვისაც თავისუფლების მოედანზე ღამისთევის ნოსტალგია გაუჩნდა, შესაძლებლობა ეძლევათ, ახალი წლის ღამე, გრანდიოზული სანახაობის ფონზე, ღია ცის ქვეშ გაატარონ.*

A6

## სამართალი

### დახვრეტილთა ოჯახის წევრები "თვითმფრინავის ბიჭების" საქმის გამოძიებას ითხოვენ

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს "თვითმფრინავის ბიჭების" საქმეზე დახვრეტილი მღვდლის, მამა თევდორე ჩიხლაძის მეუღლე გულიკო ერისთავი და ამ მოთხოვნით იგი საქართველოს გენერალურ პროკურატურასაც მიმართავს.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | |
| ქუთაისი | 12 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 14 | |
| თელავი | 7 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 6 | |
| ახმეტა | 7 | |
| ჭიათურა | 8 | |
| ბაგრა | 11 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0820 |
| ევრო | 2.5811 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6704 |
| რუბლი | 0.0711 |

# „აჭარის მოსახლეობას აბაშიძის ხელისუფლება არასდროს აურჩევია"

*ასლან აბაშიძის მოწინააღმდეგეები აქტიურდებიან. მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, აჭარის მოსახლეობის ნაწილი სულ უფრო მკვეთრ განცხადებებს აკეთებს აჭარის მეთაურისა და მისი გარემოცვის წინააღმდეგ. ტრადიციულ ბრალდებებთან ერთად, გუშინ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ ერთი, ახალი ბრალდებაც გაისმა – სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ლიდერების თქმით, აბაშიძე ახალ ხელისუფლებასთან აჭარაში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თაობაზე ვაჭრობს.*

თამარ მჭედლიშვილი

ბუნებრივია, აჭარაში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თაობაზე არავინ უწყის. ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, რეგიონში 292 248 ამომრჩეველია რეგისტრირებული. აქვე გაისმის განცხადებები, რომ მონაცემები "აბსოლუტურად ზუსტია და მათ გადამოწმება არ სჭირდება". ამასობაში, თავად აჭარის მოსახლეობა და პოლიტიკური პარტიები ამტკიცებენ, რომ ეს საკმაოდ გაბერილი ციფრია, და იგი, ნებისმიერი არჩევნების დროს, "აღორძინებას" საჭირო ბარიერის გადალახვაში ეხმარება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ისევე, როგორც "თორმეტ სკამში"

*ოსტაპ ბენდერისა და მღვდელ თევდორე ვოსტრიკოვის "კონკურენტი ფირმები" იპოლიტ მატვეევიჩის სიდედრის განძის დასაპატრონებლად ექიშპებოდნენ ერთმანეთს. მათი გზები ხშირად იკვეთებოდა, რასაც ექსცესები მოსდევდა. ანალოგიურად ვითარდება პროცესები ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც: მონარქისტი თემურ ჟორჟოლიანი და ყოფილი ეროვნულ-დემოკრატი ირინა სარიშვილი დიდი მონდომებით ცდილობენ "დიდი პოლიტიკური კაპიტალის" - იგორ გიორგაძის ქვეშევრდომობის უფლების - ხელში ჩაგდებას. იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ეს "სიმდიდრე", ჟორჟოლიანმა და სარიშვილმა რამდენიმე დღის წინათ ტელეეკრანებიდან რეპლიკები გაცვალეს. იგივე განმეორდა გუშინაც. ამჯერად ეს "შერატონ მეტეხი პალასის" ჰოლში მოხდა.*

გიორგი ასანიშვილი

**"ირინა, შენ აქ რა გინდა?"** - შეეკითხა კონკურენტის დანახვით გაოცებული მონარქიის თაყვანისმცემელი ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის ყოფილ სპიკერს.

**"კიდევ კარგი, შენთან არა მაქვს საქმე!"** - აგდებულად მიუგო სარიშვილმა მეტოქეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე ერთ დარბაზში ისხდნენ, სადაც მოვლენები ისე განვითარდა, რომ "განძის მაძიებლების" არსებობა თითქმის ყველას დაავიწყდა: სცენაზე თავად იგორ გიორგაძის საკონსულტაციო გუნდი გამოვიდა. იგი ოკეანისგაღმიდან მოევლინა ქართულ საზოგადოებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აჭარაში თავისუფალ აზრს ძალადობას უპირისპირებენ

*აჭარის ხელისუფლების დამოკიდებულება ოპოზიციური აზრისადმი დიდი ხანია, ცნობილია. ასევე არავისთვისაა უცხო ის მეთოდები, რომლებსაც ალტერნატიული აზრის ჩასახშობად იყენებს ბათუმური რეჟიმი, თუმცა აშკარაა, რომ ეს მეთოდები ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ნაკლებად ჭრის – აჭარლები უკვე ხმამაღლა აფიქსირებენ ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო მოსაზრებებს.*

სოფიკო ჩხაიძე

მემედ აბაშიძის სტიპენდიანტთა კავშირის წევრი ლევან კაჭარავა ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე უკვე მეორედ გახდა მოძალადეთა მსხვერპლი. მისი პირველი ცემის ფაქტი ბათუმში ზურაბ ჟვანიას ვიზიტს დაემთხვა. მაშინ მას და მის სამ მეგობარს ათამდე უცნობი პირი მაშინ მიუახლოვდა, როცა სასტუმრო "პონტოში" საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დემოკრატიისა და სამართლიანობის" დამფუძნებელი ღონისძიება დასრულდა და მისი მონაწილეები პრაქტიკულად დაშლილები იყვნენ.

"მომავალშიც გაგისწორდებით, დაგატოვებინებთ აჭარას!" - თავად კაჭარავას ნაამბობის თანახმად, ამ სიტყვებით დაემშვიდობნენ კაჭარავასა და მის მეგობრებს თავდამსხმელები.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ხელისუფლება საგადასახადო წნეხს ამსუბუქებს და... "სიმდიდრის გარეგნულ ნიშნებს" ბეგრავს

*საქართველოს დროებით ხელისუფლებას არადროებითი პრობლემების მოსაგვარებლად არცთუ დიდი ვადა აქვს მიცემული - ამიტომ, "ცაიტნოტურ" სიტუაციაში ჩაყენებული დღევანდელი ხელისუფლება აბსოლუტურად მოულოდნელ ნაბიჯებს დგამს - მაშინ, როცა სულ ორიოდე დღის წინ საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომელიც შექმნილი მძიმე ფინანსური ვითარების გათვალისწინებით, ზოგიერთ კატეგორიის ხელფასისა და პენსიის ზრდის დროებით შეჩერებას და ზოგიერთი გადასახადის გაუქმების გადავადებას გულისხმობდა, გუშინ სახელმწიფო და ფინანსთა მინისტრებმა აბსოლუტურად საწინააღმდეგო გადაწყვეტილების შესახებ ამცნეს საზოგადოებას:*

თამარ ხორბალაძე

დღევანდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2004 წლიდან გაუქმდება საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გადასახადი. გაუქმდება ასევე ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი. ჯანდაცვის ობიექტები გათავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადებისაგან. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გაუქმდება მიწის გადასახადი, რომელიც სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საგადასახადო წნეხისგან, დაახლოებით, 1 მილიონ ადამიანს გაათავისუფლებს.

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 რევიუ | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# "მიწა მოგვეცით, მეტი არაფერი გვინდა..."

*დამალული გადასახადები, ნარკოვაჭრობა და უსამართლოდ გადანაწილებული მიწები - ამ სამ მიმართულებას ქვემო ქართლის ახალი გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი მარნეულის რაიონისთვის პრიორიტეტულად მიიჩნევს.*

მაია მოსიაშვილი

### მიწა

მარნეულის რაიონის სოფელ ყულარში მხოლოდ სამი დღის წინ გაიგეს, რომ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა. ყულარის საკრებულოში ხუთი აზერბაიჯანული სოფელია გაერთიანებული. ადგილობრივი მაცხოვრებლების დიდმა ნაწილმა არც ქართული იცის და არც რუსული. 50-60 წლის ხალხთან რუსულად დალაპარაკება კიდევ შეიძლება, ახალგაზრდებმა კი მხოლოდ აზერბაიჯანული იციან.

გუშინ იქ ჩასულ ქვემო ქართლის გუბერნატორს 200-მდე ადამიანი დახვდა. მათ უკვე შერჩეული ჰყავდათ განათლებული თანასოფლელი, რომელსაც ხალხის სახელით გუბერნატორთან გასაუბრება ჰქონდა დავალებული.

"2 ნოემბერს გვითხრეს, ის ხალხი თუ მოვიდა ხელისუფლებაში, აქედან გაგყრიანო, მოგვატყუეს. ჩვენ შევარდნაძეს პატივს ვცემთ, როგორც საქართველოს აღსახკალს, იმის კურსს კი - არა. სოფლის მთელი მიწები მაფიოზებმა აიღეს და ჩვენ მათ ფულს ვუხდით. მიწა მოგვეცით, მეტი არაფერი გვინდა," - რუსულად შესჩივლეს გუბერნატორს. როგორც გაირკვა, ისინი იმ მიწაზე საუბრობდნენ, რომელიც ყულარის ცხენსაშენის, შესაბამისად, "ჟოკეი კლუბის", კუთვნილებაა.

"მათ 100 ცხენი ჰყავთ და 1286 ჰექტარი მიწა აქვთ, ჩვენ ცხენებზე ნაკლები რითი ვართ. ბრიგადირს იბრაგიმს ჰექტარზე 130 დოლარს ვუხდით ერთი მოსავლის მოსაყვანად, თუ მეორედაც დავთესთ, კიდევ 100 ლარი უნდა დავამატოთ. აბა, რა ვქნათ, სოფელში უმიწოდ რა ვაკეთოთ?!" - ამბობენ ყულარელები.

გუბერნატორი მათ ყველაფრის გარკვევას დაჰპირდა და შეძლებისდაგვარად პოპულარული ენით აუხსნა, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა უბრალო გლეხს პირდაპირი კავშირი ჰქონდეს მიწის მფლობელთან - სახელმწიფოსთან და ზედმეტი თანხის გადახდა არ დასჭირდეს იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც გაურკვეველი მიზეზებით, დაუმსახურებლად მიიღეს ათასობით ჰექტარი, ხოლო შემდეგ უბრალო ადამიანები აიძულეს, მათგან მიწა ქვეიჯარით აეღოთ. მელიქიშვილის თქმით, ეს პრობლემა ყველაზე მწვავე მარნეულისა და გარდაბნის რაიონებშია, არსებობს გამგეობების დონეზე გაყალბებული, ორმაგი დოკუმენტები, ათასობით ჰექტარი მიწა რამდენიმე ადამიანს აქვს გადაცემული და ა.შ. ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურა უახლოეს დღეებში ამ საკითხებზე მუშაობას დაიწყებს.

- მართალია, ყოფილმა ჩინოვნიკებმა უკვე დატოვეს თანამდებობები, მაგრამ ძველ ცოდვებზე პასუხი მათ მაინც მოეთხოვებათ, - ამბობს ქვემო ქართლის ახალი გუბერნატორი.

### "იმუშავებთ კარგად, დაგანებებთ თავს..."

მარნეულის რაიონში ნარკოტიკებით ვაჭრობა უცხო ხილი არ არის, აქ წითელი ხიდის გავლით ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ნარკოტიკი შემოდის და შემდეგ მთელ საქართველოზე ნაწილდება. ამ თემაზე საუბარი აქამდე არც ისე პოპულარული იყო, ახალმა ხელისუფლებამ კი ნარკომაფიას ბრძოლა გამოუცხადა. ზურაბ მელიქიშვილის თქმით, მთელი მარნეული შეწუხებულია იმით, რომ აქ პირდაპირ ქუჩებში ხდება ნარკოტიკების რეალიზაცია. მან პოლიციისაგან მეტი აქტიურობა მოითხოვა.

"ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ორი სერიოზული ნარკორეალიზატორი იქნა დაკავებული. ერთ-ერთი მათგანი მურსაკულოვი, ცნობილი ნარკოვაჭარია. მას 38 ბაში ჰეროინი და 27 გრამი მარიხუანა აღმოჩნდა. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ 13 წლის ბავშვის დაკავება მოგვიწია. ამ მხრივ რაიონში სერიოზული პრობლემებია. რეალიზატორების ზუსტი რიცხვის დასახელება არ შემიძლია, შეიძლება დღეს იყოს ხუთი, ხვალ ათი," - ამბობს მარნეულის პოლიციის უფროსი თენგიზ მიროტაძე, რომელიც ამ ადგილზე ლევან მამალაძის დროსაც მუშაობდა. ახალმა გუბერნატორმა მას და ყველა სხვა ძველ კადრს ასეთი ულტიმატუმი წაუყენა - "იმუშავებთ კარგად, დაგანებებთ თავს..."

თანამდებობებს შემორჩენილი ძველები თანახმანი არიან, ახლებურად იმუშაონ, თუმცა ჯერ-ჯერობით უცნობია, ამით ხალხს ეშველება თუ არა, რადგან ახლების საქმე სიტყვას ჯერ არ გასცდენია.

### მუსიკალური არჩევნები

უკვე ერთი კვირაა, მარნეულს ახალი გამგებელი ჰყავს. ამირან შუბითიძე "ბურჯანაძე-დემოკრატების" კადრია. მისი მთავარი ღირსება პარტიული მუშაობის დიდი გამოცდილებაა, რაც საარჩევნოდ ახალ ხელისუფლებას, ალბათ, წაადგება.

"მარნეულის რაიონი პოლიტიკურად სტაბილურია, საარჩევნო ექსცესები აქ მოსალოდნელი არ არის," - ამბობს შუბითიძე, თუმცა არც იმას მალავს, რომ კენჭისყრაზე ხალხის მისვლის პრობლემა, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მარნეულშიც არსებობს.

სახელმწიფო სტრუქტურები საარჩევნო პროცესებში არ ჩაერევიან - ასეთია ახალი ხელისუფლების ნება, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ პასიური მაყურებლის როლი ექნებათ კარსმომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებში. მარნეულის რაიონის გამგებელი აცხადებს, რომ კენჭისყრისთვის საზეიმო ელფერის მისაცემად და ხალხის მისაზიდად მუსიკაც იქნება და სხვა სანახაობებიც. ჯერჯერობით უცნობია, მუსიკოსები იგივე "დამკვრელები" სად და როგორ გადანაწილდებიან, თუმცა სახალხო საარჩევნო ზეიმი 4 იანვარს მარნეულში ნამდვილად იქნება. მანამდე კი მხარის ახალი ხელისუფლება მოსახლეობასთან დამაკავშირებელ ნდობის ძაფებს ეძებს, რადგან ხალხს ძალიან უჭირს და ნამდვილად არ ეზეიმება.

# მოქმედი პრეზიდენტი მოსკოვს მიემგზავრება

ლელა მჭედლიძე

მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე მოსკოვში 24 დეკემბერს აპირებს გამგზავრებას. ჩვენი ქვეყნის პირველი პირი თავის რუს კოლეგასთან ვიზიტს ჯერ კიდევ წინა კვირას გეგმავდა, მაგრამ შეხვედრა გაურკვეველი მიზეზების გამო გადაიდო. მართალია, ნინო ბურჯანაძის ჩასვლის ზუსტი თარიღი მოსკოვში არ იცოდნენ, მაგრამ პუტინთან შესახვედრად მის გამგზავრებას თბილისში დღე-დღეზე ელოდნენ. პირისპირ საუბრისას, ახლა ორი ქვეყნის მეთაურს მართლაც ბევრი რამ ექნება გასარკვევი. იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ, რომელიც პუტინსა და ბურჯანაძეს შორის, დაახლოებით, ორი კვირის წინ შედგა, საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა.

მაშინ პუტინთან საუბარს ბურჯანაძემ საკმაოდ პროდუქტიული უწოდა. თუმცა, ფაქტია, რომ ამ საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ რუსეთმა აჭარასთან სავიზო რეჟიმის შემოღება გადაწყვიტა, რაც ჩვენი ხელისუფლებისთვის ნამდვილად სრული მოულოდნელობა გახლდათ. რა თქმა უნდა, საუბრის გარკვეული საშუალება საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების პირველ პირებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის დაკრძალვაზეც მიეცათ, მაგრამ სერიოზული საკითხების არსებითად განსახილველად იქ არც დრო და არც საშუალება იყო. პირისპირ შეხვედრა მაინც სულ სხვაა. ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის დეტალების შესათანხმებლად გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში სტუმრად რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი იმყოფებოდა. ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ კი ჩხიკვიშვილი საკმაოდ ზოგადი განცხადებებით იგერიებდა ჟურნალისტებს: **"ამ ვიზიტის დროს ყველა იმ პრობლემაზე იქნება საუბარი, რაც ორ ქვეყანას შორის არსებობს. იმედი მაქვს, მოლაპარაკებები კონსტრუქციული იქნება და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყება."** დღეისათვის უნდა დაზუსტდეს, თუ ვინ გაჰყვება ხვალ მოსკოვში ბურჯანაძეს.

გუშინვე ნინო ბურჯანაძესთან სტუმრად ინგლისის სრულუფლებიანი ელჩიც იმყოფებოდა. თუმცა, უახლოეს მომავალში ბურჯანაძე "ნისლიან ალბიონში" გამგზავრებას ნამდვილად არ აპირებს. ელჩს მოქმედ პრეზიდენტთან განსახილველი "რიგითი" საკითხები ჰქონდა: ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა, განსაკუთრებით - ეკონომიკური კუთხით, ის, რომ საქართველო ინვესტორებისათვის კვლავაც მნიშვნელოვან ადგილად რჩება. მაგრამ, ამასთან ერთად, ელჩი ბურჯანაძესთან "ბრიტანული ავიახაზების" საკითხს არკვევდა. როგორც ცნობილია, პირდაპირი რეისი საქართველო-ინგლისს შორის ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. ამ მხრივ პრობლემა ინგლისური მხრიდან არ არსებობს. ელჩის თქმით, ისინი კვლავაც საქართველოს პარლამენტის მხრიდან ხელშეკრულების რატიფიცირების მოლოდინში არიან. რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, საამისოდ, ელჩის განცხადებით, ჩვენ ინგლისიდან დახმარების სახით 50 ათას დოლარს მივიღებთ. ქალბატონი ელჩი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში მონაწილეობას აჭარის ავტონომიაც მიიღებს: **"რადგან არჩევნების ჩატარების აუცილებლობა ასლან აბაშიძეს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის მეთაურობით, ყველა პოლიტიკურმა პირმა განუმარტა".**

# ყავლგასულ პარლამენტში თანამდებობებს "არიგებენ"



*დეპუტატებს, გონებრივზე მეტად, მექანიკური სამუშაოს შესრულება უწევთ.*

*პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ, რომელიც დღეიდან შეუდგება მუშაობას. არდადეგებიდან "გამოძახებულ" დეპუტატებს, გონებრივზე მეტად, მექანიკური სამუშაოს შესრულება (პულტზე ხელის დაჭერა) მოუწევთ: დღის წესრიგში, ძირითადად, კენჭსაყრელი საკითხებია შეტანილი.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტარები დღეს, ალბათ, ერთსულოვნად დათანხმდებიან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად ეთერ ასტემიროვას დანიშვნას. სავარაუდოდ, ასევე ერთხმად დაამტკიცებენ ამირან კავაძეს დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. ამ თანამდებობაზე კავაძე თეიმურაზ მამაცაშვილს შეცვლის, რომლის გათავისუფლებაც ასევე შეტანილია რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

პარლამენტარებს კიდევ რამდენიმე საკადრო საკითხის გადაწყვეტა მოუწევთ. უკვე საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ირაკლი ბათიაშვილი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგა. ერთ-ერთი საკვანძო საპარლამენტო კომიტეტი დღეს, ფაქტობრივად, პარალიზებულია, რადგან ბათიაშვილთან ერთად პოსტები დატოვეს, აგრეთვე, მისმა პირველმა მოადგილემ გიორგი ყარყარაშვილმა და მოადგილემ თეიმურაზ მეგრელიშვილმა. ამიტომ, პარლამენტის ხელმძღვანელობა ცდილობს, ვაკანსიები რაც შეიძლება სწრაფად შეივსოს.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ თავდაცვისა და უშიშროების თავმჯდომარის პოსტზე წარმოდგენილია მხოლოდ ზაზა შერაზადიშვილის კანდიდატურა. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წევრის დაწინაურება "გარდაუვალია".

პოლიტიკურ კარიერაში წინ მიიწევენ, აგრეთვე, სანდრო ბრეგაძე და გუბაზ სანიკიძე. ორივენი ამიერიდან უკვე ფრაქციის თავმჯდომარის რანგში არიან. ბრეგაძე სათავეში ჩაუდგება 12-კაციან ფრაქცია "თავისუფლებას", რომელშიც შედიან "აღორძინებიდან" და "XXI საუკუნიდან" გასული დეპუტატები - ნათელა პატარქალიშვილი, სოსო სიგუა, ზურაბ ქაფიანიძე, ჯემალ გამახარია და სხვები. ფრაქცია "თავისუფლების" საპატიო თავმჯდომარე იქნება მუხრან მაჭავარიანი.

რაც შეეხება გუბაზ სანიკიძეს, იგი თავის დაწინაურებას აკაკი ასათიანს უნდა უმადლოდეს. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, "ედპ-ტრადიციონალისტების" პარტიულ კოალიციას ჩაუდგა სათავეში. ამიტომ, ფრაქციის ხელმძღვანელობაზე უარი თქვა და ეს პოსტი სანიკიძეს გადაულოცა, რომელიც მანამდე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს წარმოადგენდა.

## სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს სამუშაო ადგილის მომსახურე საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ იმუშავებს.

**სამუშაოს აღწერა**
სამუშაო ადგილის მომსახურე IT ინჟინერი პასუხისმგებელია ოფისში მომუშავე პერსონალის დახმარებასა და ტრეინინგზე სხვადასხვა სახის პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის მოხმარების კუთხით, როგორიცაა Microsoft Windows 2000, Microsoft Office 2000 Professional, მათ შორის Word, Excel, Power Point და MS Access.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა**
IT ინჟინრის ზოგადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
■ კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
■ მომხმარებლებისთვის MS Office 2000-ისა და იმ სხვადასხვა პროგრამული პაკეტების მოხმარების სწავლება, რომელთაც ოფისის პერსონალი იყენებს.
■ სამაგიდო საოპერაციო სისტემისა და ადგილობრივად ინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება.
■ კლიენტის გამოყენებითი პროგრამის ინსტალირება, ტესტირება, კონფიგურირება და შენახვა უკანასკნელად დამტკიცებული ვერსიით.
■ ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალირება და კონფიგურირება საჭიროებისამებრ ყველა სამუშაო ტერმინალზე.
■ სატელეფონო ქსელის და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურის, მაგალითად ოფისის ტელეფონების შესახებ სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება.
■ სამუშაო სადგურებზე საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
■ ჯგუფის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემებით სარგებლობაში და ოფიციალური და არაოფიციალური ტრეინინგების ჩატარება.
■ მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
■ მითითებისამებრ პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
■ საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობები.

**გამოცდილება და განათლება**
სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
■ სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის სფეროში
■ ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების უმაღლეს დონეზე ფლობა
■ სერტიფიკატი Microsoft-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში
■ თვითმოტივაცია, სამშენებლო პროექტის დინამიკურ ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი
■ დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის დამყარების შესანიშნავი უნარი
■ პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის მზადყოფნა
■ სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისების და ეფექტურად გამოყენების უნარი
■ **თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი:** სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
■ **ზეგავლენა:** პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
■ **სამუშაოს კომპლექსურობა:** სხვადასხვა დიაპაზონის და კონტექსტის მქონე დავალებების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირად მიმართვის გარეშე.
■ **აუცილებელი უნარ-ჩვევები:** შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობის უნარი.
■ **საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა:** IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდიკის, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2003 წლის 29 დეკემბერი, ორშაბათი.**
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38
"ბი-პი ჯორჯია"
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
**კადრების დეპარტამენტი**

*მოკლედ*

## შევარდნაძემ დეკლარაცია შეავსო

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თანამდებობის პირთა საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში დეკლარაცია წარადგინა. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მიხედვით, თანამდებობიდან გადადგომის გამო, იგი ვალდებული იყო, დეკლარაციები შეევსო.

ამავე მიზეზით, ბიუროში საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციები წარადგინეს პრეზიდენტის ყოფილმა საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა, გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ბადრი ბიწაძემ, სახელმწიფო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გიორგი ისაკაძემ, საბაჟო დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა დავით თარხან-მოურავმა.

რაც შეეხება ახალ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით დეკლარაციების შევსებას, სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას, ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრებს – ზურაბ ნოღაიდელსა და გიორგი ბარამიძეს, ცესკო-ს თავმჯდომარეს ზურაბ ჭიაბერაშვილს დეკლარაციები არ წარუდგენიათ. მათ რამდენიმე პირთან ერთად, დეკლარაციის წარდგენის ვადა ორ კვირაში ეწურებათ. **მედია-ნიუსი**

*ორი სიტყვით*

**გორი.** ირაკლი ოქრუაშვილმა სამართალდამცავებისგან ყოფილი გუბერნატორის დავით ქობლიანიძის კუთვნილი საკოლმეურნეო ბაზრის გაკონტროლება მოითხოვა. ხოლო სამხედრო კომისარიატს ერთდღიანი ვადა მისცა გორელი ჩინოვნიკების შვილებისა და გიორგი კანდელაკის გარემოცვაში მყოფი დეზერტირების ( 27 კაცი) ჯარში გასაწვევად. დღეს გამართულ საგანგებო თათბირზე, შიდა ქართლის ახლადდანიშნულმა გუბერნატორმა ძალოვანებს განსაკუთრებულად მოსთხოვა ერგნეთის ბაზრობის ტერიტორიაზე მოქმედი ბანდის წევრების დაკავება. თუმცა, მისივე განცხადებით, ადგილობრივ პოლიციას სწორედ ეს ბანდა აკონტროლებს, აქედან გამომდინარე, იგი კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი დაჯგუფების გასაკონტროლებლად რეგიონში დამატებითი ძალების შეყვანას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** დღეს ქუთაისში პრეზიდენტობის კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს ელოდებიან. სააკაშვილმა მიწვევა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის შალვა ხაჭაპურიძისგან მიიღო, და, სავარაუდოდ, ამ სასამართლოს გახსნაში მიიღებს მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, გუშინ, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისა და მაჟორიტარული არჩევნების განმეორებითი ტურებისთვის საარჩევნო ბიულეტენების ფორმები დაამტკიცა. ცესკო-ს გადაწყვეტილებით, ორივე არჩევნებისთვის საქართველოს არაქართულ რეგიონებში, საარჩევნო ბიულეტენები ორენოვანი - რუსულ-ქართული იქნება. ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის, თუ რამდენი ბიულეტენი დაიბეჭდება. დასაბეჭდი ბიულეტენების რაოდენობა მას შემდეგ გაირკვევა, რაც ამომრჩეველთა სიები შედგება და, შესაბამისად, ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა საერთო რაოდენობა დადგინდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულომ" პრეზიდენტობის კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს ღია მხარდაჭერა გამოუცხადა **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა" და "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის" ახლადშექმნილი კოალიცია მიმდინარე კვირის ბოლოსთვის კონფერენციის ჩატარებას გეგმავს, რომელზეც კოალიციის შემდგომ სტრატეგიასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები გაკეთდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" მომავალ არჩევნებს ტრადიციულ ბოიკოტს უცხადებს, რითაც უკმაყოფილებას კვლავინდებურად "საარჩევნო კოდექსის" მიმართ გამოხატავს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თელავი.** გუშინ ახმეტის რაიონის გამგებელმა ნუკრი ალავიძემ თანამდებობა დატოვა. მასთან ერთად თანამდებობა დატოვეს ორმა მოადგილემ - დავით ბერძენიშვილმა და მიხეილ ხოხობაშვილმა, ასევე, აპარატის უფროსმა ირაკლი უძილაურმა. ნუკრი ალავიძემ გადადგომის შესახებ განცხადება გამგეობის სხდომაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ თანამდებობის დატოვება კახეთის მხარის გუბერნატორმა მას შემდეგ ურჩია, რაც თამაზ ხიდაშელისთვის ცნობილი გახდა, რომ ოპოზიციური პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლები, გამგებლის გადადგომის მოთხოვნით, ახმეტაში აქციების გამართვას გეგმავდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტობის კანდიდატს თემურ შაშიაშვილს პირად საარჩევნო შტაბში საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი შეხვდა. შეხვედრის ძირითადი თემა წინასაარჩევნო მზადებას შეეხო. ვლადიმერ ჩხიკვიშვილის შეხვედრა პრეზიდენტობის კანდიდატთან, ელჩის ინიციატივით დახურულ კარს მიღმა გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურია აცხადებს, რომ ამჟამად ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობებში არსებული პრობლემების დიდი ნაწილი „წინა ხელისუფლების მძიმე გადმონაშთია". ბაკურია არ უარყოფს, რომ ორი დღის წინათ აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძესა და სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას შორის გამართულ შეხვედრაზე აჭარის ხელისუფლებამ რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის გარანტიები მიიღო, თუმცა აცხადებს, რომ „ეს საკითხი სავაჭრო თემა არ გამხდარა". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი კომისიის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი ქართული მხრიდან კომისიის თანათავმჯდომარედ ლალი მოროშკინას დანიშვნის შეფასებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თანამდებობიდან გადადგა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი დავით სულაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე 1994 წლიდან მუშაობდა. ოფიციალური განცხადება დავით სულაძემ თანამდებობის დატოვების შესახებ გუშინ გააკეთა. ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის მოვალეობას ამჟამად სულაძის მოადგილე ქეთევან ქუთათელაძე ასრულებს. დედაქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ დღევანდელ თათბირზე მერიის სამსახურების უფროსებს მოუწოდა, თუკი არ აუბამენ მხარს ქვეყნის ახალ კურსს, დატოვონ თანამდებობები. „ბევრი თქვენგანი პროფესიონალია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. უნდა შეიცვალოს მიდგომები და დამოკიდებულება. მეტი ენთუზიაზმი და ინიციატივაა საჭირო, თორემ მოვლენ არაპროფესიონალები და ენთუზიაზმის ხარჯზე გაცილებით მეტს გააკეთებენ, მაშინ თქვენი პროფესიონალიზმი არც არავის დასჭირდება და არც არავის გაახსენდება," — ასე დამოძღვრა ვანო ზოდელავამ თავისი „მრევლი". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ თბილისმა მუდმივი თვალყური უნდა ადევნოს ბათუმის ხელისუფლებას და "ამომწურავი იურიდიული ნაბიჯები გადადგას", როგორც კი ეს საჭირო გახდება აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის მხრიდან დაშვებული იურიდიული შეცდომების გამოსასწორებლად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტში მოქმედი საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელსაც დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი უხელმძღვანელებს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების მიზეზების შესწავლას მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს, რაც პარლამენტისგან ამ საკითხზე ოფიციალურ წერილს მიიღებს. „ჯერ უნდა გავერკვე, რა სახის ტვირთი აგვკიდეს", — განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა. **მედია-ნიუსი**

# ისევე, როგორც "თორმეტ სკამში"

პირველი გვერდიდან

უიტმენის სტრატეგიული კვლევების ორგანიზაციის (ასე ჰქვია იგორ გიორგაძის მიერ დაქირავებულ ჯგუფს) წარმომადგენლები ავრცელებენ ინტერპოლის მიერ ძებნილი საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფის განცხადებას, რომ 4 იანვრის არჩევნებში მონაწილეობა მას პრეზიდენტობის მოსაპოვებლად კი არ სურს (?!), არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის გაერთიანების ხელშეწყობისა და ქართული ღირებულებების დასაცავად.

ამის შემდეგ, იგორ გიორგაძის ინტერესების დამცველი ამერიკული იმიჯმეიკერები უკვე საკუთარი "კვლევის" შედეგებს აცნობენ საზოგადოებას. ისინი გამოყოფენ რამდენიმე საკითხსა და პრობლემას, რომლებზეც აქცენტს ქართული საზოგადოებრიობა აკეთებს. ესენია: სტაბილური სახალმწიფო ინსტიტუტები, კანონის უზენაესობა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა...

ამ პრიორიტეტების ხორცშესასხმელად, ცხადია, პოლიტიკური ლიდერია საჭირო. როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება იყოს ასეთი ფიგურა? რა თქმა უნდა, იგორ გიორგაძე!

მოდი და, ნუ დაუჯერებ ამერიკელ "მკვლევარებს": ისინი ირწმუნებიან, რომ დაახლოებით 987 (?) რესპონდენტი გამოკითხეს და მათმა დიდმა უმრავლესობამ სწორედ ასეთი მოსაზრება გამოთქვა.





პოლიტიკურ თეატრს თემურ ჟორჟოლიანი და ირინა სარიშვილი მდუმარედ ადევნებდნენ თვალს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"იგორ გიორგაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება რომ მისცემოდა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მას დაუჭერდა მხარს,"** - უტიფრად აცხადებენ ამერკული საკონსულტაციო ფირმის წარმომადგენლები. მათ შორის ყველაზე შორს სიუზან მირტის ფანტაზია მიდის. მისი თქმით, **"იგორ გიორგაძისა და ქართველი ხალხის ხედვა 99 პროცენტით ემთხვევა ერთმანეთს,"** - როგორც ჩანს, ქართველები ჭურში ვსხედვართ და მალე ამერიკელი "მკვლევარები" თვალს აგვიხელენ და მიგვახვედრებენ, რომ "ვარდების რევოლუცია" იგორ გიორგაძემ განახორციელა, მაგრამ მისი შედეგებით "სხვებმა" ისარგებლეს.

თუმცა, ამერიკელ იმიჯმეიკერებს რას ვერჩით, ისინი იგორ გიორგაძის ბანაკმა დაიქირავა და ასეთი ინფორმაციების გავრცელებაში მათ ფულს უხდიან. სხვათა შორის, საკონსულტაციო ჯგუფის წევრები ამ ფაქტს არც უარყოფენ, თუმცა, მომსახურების საფასურს არ ასახელებენ.

"შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ აბსურდის ამ პოლიტიკურ თეატრს თემურ ჟორჟოლიანი და ირინა სარიშვილი მდუმარედ ადევნებდნენ თვალს. წარმოდგენის შემდეგ, მართალია, აპლოდისმენტები არ ყოფილა, მაგრამ ნათლად ჩანდა, რომ იგორ გიორგაძის "ფანები" კმაყოფილნი დარჩნენ. მარჯვნივ თუ მარცხნივ სიამოვნებით დარიგებულ ინტერვიუებში ისინი ამას არც მალავდნენ.

ბოლოს, ჟორჟოლიანი და სარიშვილი "შერატონ მეტეხი პალასში" უხმოდ დასცილდნენ ერთმანეთს – ისევე, როგორც, თავის დროზე, ოსტაპ ბენდერი და თევდორე ვოსტრიკოვი ერთ-ერთ რუსულ სასტუმროში.

# „აჭარის მოსახლეობას აბაშიძის ხელისუფლება არასდროს აურჩევია"

პირველი გვერდიდან

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჯერადაც ასლან აბაშიძე ამ ბერკეტის ხელიდან გაშვებას არ აპირებს. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ახალი ხელისუფლების წინაშე წაყენებული მოთხოვნებიდან ერთ-ერთი სწორედ ამომრჩევლებს ეხება. ბუნებრივია, ასლან აბაშიძის სვლა აბსოლუტურად ლოგიკურია – როგორი შესაშინებელი განცხადებებიც არ უნდა ისმოდეს მისი მხრიდან, აჭარას მაინც მოუწევს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. მისი გათვლები კი უფრო მომავალ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება. აჭარის ლიდერი თბილისისაგან იმის მყარ გარანტიებს ითხოვს, რომ აჭარაში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ძირეულად არ გადაისინჯება და, შესაბამისად, აჭარის დეპუტაციას პარლამენტში შესვლის გარანტიები კვლავ ექნება.

ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ასლან აბაშიძის ამ მოთხოვნას არ ახმაურებენ. მეტიც, გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კატეგორიულად გამორიცხა დათმობების შესაძლებლობა. თუმცა, თავის მხრივ, ასლან აბაშიძისა და მისი გარემოცვის მიზანზე ირიბად მიუთითებს ფრაქცია "აღორძინების" წევრის ელიზბარ ჯაველიძის კომენტარი, რომელიც გუშინ გავრცელდა.

მისი თქმით, **"აჭარის რეგიონი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას იმ შემხთვევაში მიიღებს, თუკი დღევანდელი ხელისუფლება ამომრჩეველთა ერთიან სიას ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე არ შექმნის."** ამავე დროს, იგი დასძენს: **"აღორძინების კავშირი" ხელახალ საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას, თუ ამომრჩეველთა სიები მოწესრიგდება და არჩევნების გაყალბების ალბათობა შემცირდება."**

თუკი "აღორძინების" წევრები ასეთი განცხადებებით ირიბად ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას, ახლადდაფუძნებული სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ლიდერები ამ ვაჭრობის თაობაზე, როგორც უკვე ვთქვით, ღიად აცხადებენ.

გუშინ ორგანიზაციის დამფუძნებლებმა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ მახარაძემ, რესპუბლიკური პარტიის წევრებმა, ექსპარლამენტარმა თამაზ დიასამიძემ და კობა ხაბაზმა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ მოუწოდეს ყველას, ვისაც **"საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში აჭარის დაბრუნება სურს"** (შეგახსენებთ, რომ ამ სახალხო მოძრაობაში გაერთიანდნენ ის ადამიანები, რომლებსაც აჭარის ხელისუფლების წყალობით, რეგიონის დატოვება მოუხდათ და დღეს თბილისში ცხოვრობენ).

მათი თქმით, არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად, საუბნო და საოლქო კომისიების საქმიანობა უნდა გააკონტროლოს აჭარის მოსახლეობის იმ ნაწილმა, **"რომლებიც დიდი ხანია, ასლან აბაშიძის მიერ გატარებულ პოლიტიკას ეწინააღმდეგებიან."**

**"აჭარის მოსახლეობას ასლან აბაშიძის ხელისუფლება არასდროს აურჩევია. დღემდე აჭარის ტერიტორიაზე დემოკრატიულად და გამჭვირვალედ არ ჩატარებულა არც ერთი არჩევნები. არავის წინაშე ანგარიშვალდებულმა ხელისუფლებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა რეგიონის მოსახლეობას, ღრმა კრიზისში შეიყვანა ქართული სახელმწიფო და თავისი მოქმედებით, დიდი ხანია, თავი კანონსმიღმა დააყენა. ამიტომ იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს აჭარას, მის მოსახლეობას, ლაპარაკობდეს მისი სახელით. იგი მხოლოდ თავის თავს – ვიწრო სეპარატისტულ და ხალხის უმაგალითო ძარცვით გამდიდრებულ ჯგუფს წარმოადგენს,"** – აცხადებენ მოძრაობის ლიდერები. მათი თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ **"აჭარის მმართველ კასტასთან მიმართებაში გამბედული და პრინციპული პოლიტიკური ნაბიჯები უნდა გადადგას და ყველამ უნდა გაიგოს, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლებასთან პოლიტიკური გარიგება ან დათმობა იქნება დანაშაულებრივი მოქმედება ერისა და სახელმწიფოს წინაშე."**

რაც შეეხება მოქმედების კონკრეტულ გეგმას. "ჩვენი აჭარის" ლიდერები აცხადებენ, რომ გადასადგმელია რამდენიმე ნაბიჯი, რათა აჭარა კონსტიტუციურ სივრცეს დაუბრუნდეს.

პირველ რიგში, აუცილებელია აჭარის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გაუქმება და საქართველოს პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების სრულფასოვნად ჩატარება, რომელიც **"კვლავაც პოლიტიკური ვაჭრობის საგანს წარმოადგენს"**. მათივე თქმით, საჭიროა აჭარის კონსტიტუციისა და კანონმდელობის ქვეყნის კონსტიტუციასთან ჰარმონიაში მოყვანა, უკანონონო სახელმწიფო წარმონაქმნების გაუქმება.

**"ამავე დროს, მთავრობამ უნდა დააჩქაროს აჭარის რეგიონიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის პროცესი და მიაღწიოს, რომ აჭარაში დისლოცირებულმა რუსეთის სამხედრო ნაწილებმა მტკიცე ნეიტრალიტეტი დაიკავონ რეგიონში შექმნილი ვითარების მიმართ, დაუყოვნებლივ დააბრუნონ სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა ყაზარმებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის მთავრობის საქციელი უნდა გაპროტესტდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოში... ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დარჩენილ დროში აჭარის ტერიტორიაზე დაჩქარებით უნდა დააკომპლექტოს და აამოქმედოს საარჩევნო კომისიები და გაატაროს ყველა სხვა აუცილებელი ღონისძიება. ამ მხრივ, განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება უზომოდ გაბერილი და ტოტალურად გაყალბებული ამომრჩეველთა სიების გასწორებას,"** - ამბობენ ორგანიზაციის წევრები.

და ბოლოს: მათი თქმით, **"საპრეზიდენტო არჩევნების აჭარისთვის საკვანძო ეტაპი იქნება, რადგან მოქალაქეებს აღუდგებათ თერთმეტი წლით წართმეული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უფლება, რეგიონი დაბრუნდება საქართველოს ერთიან საკონსტიტუციო სივრცეში და სათანადო პასუხი მოეთხოვებათ იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს სახელმწიფო დანაშაული, ბოროტად გამოიყენეს თანამდებობრივი მდგომარეობა, დაიტაცეს და გაფლანგეს სახალხო ქონება და შემოსავლები. ამოღებული, ჩამორთმეული და დაბრუნებული იქნება მათი ნაძარცვი ქონება და სახსრები."**

ეკა კვესიტაძის სვეტი

# სამარცხვინო კომპრომისების დრო წავიდა

როცა არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, "ნაციონალურმა მოძრაობამ" ბათუმში ჩასვლა და იქ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება გადაწყვიტა, პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა ერთმა ნაწილმა ეს ამ პოლიტიკური პარტიის მხრიდან აშკარა პროვოკაციად მონათლა და ის აგრესიაში დაადანაშაულა.

მაშინ ერთადერთი არგუმენტი, რომელსაც ეს ადამიანები იშველიებდნენ, ასე ჟღერდა: იცოდნენ, რომ აჭარაში ჩასვლა აბაშიძის მხრიდან ცუდ რეაქციას გამოიწვევდა, მაგრამ ღია პროვოკაციაზე მაინც წავიდნენ.

კლიშე, რომ აბაშიძის ხელშეუხებლობას ყველამ პატივი უნდა სცეს, დიდი ხანია, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას ამძიმებდა.

ხოლო არგუმენტი, რომ აბაშიძე დანარჩენ საქართველოზე უკეთეს ცხოვრებას სთავაზობდა აჭარლებს და, რაც მთავარია, კულტურა ააყვავა ბათუმში, ის მითი იყო, რომლითაც დიდი ხანია, კვებავდნენ საქართველოს მოსახლეობას.

აბაშიძემ, რომელმაც ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და უუნარობის გამოყენება ეფექტურად შეძლო და საქართველოს ტერიტორიაზე ფეოდალურ- ავტორიტარული ანკლავი შექმნა, აჭარის მოსახლეობას, საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებით, თავისუფლების ბოლო ნარჩენებიც კი წაართვა და მისი ზომბირებულ მასად გადაქცევა სცადა, რომელიც "მამა მარჩენალის" წინააღმდეგ სიტყვის დაძვრასაც კი ვერ გაბედავდა.

ხოლო რაც შეეხება კულტურას, ბათუმის ბულვარის აყვავება, თბილისიდან გაქცეულ, განაწყენებულ თუ ხელმოცარულ ხელოვანთა შეფარება და ბათუმის ოპერაში საბავშვო წარმოდგენების დადგმა თუ ვინმეს კულტურის აყვავება ჰგონია, ეს მისი პირადი პრობლემაა. ელემენტარულია ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი კულტურისა და ხელოვნების განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლება სჭირდება, ის თავისუფლება, რომელიც აჭარაში მცხოვრებ ადამიანებს აბაშიძემ, დიდი ხანია, წაართვა.

დღეს ძველი კლიშეების და მითების მსხვრევა უკვე აჭარიდან იწყება.

განცდა იმისა, რომ ხავერდოვანი რევოლუციის სიო ბათუმშიც დაბერავდა, ბუნებრივია, თავიდანვე გაჩნდა. ისტორიას თავისი კანონზომიერება აქვს და ამ კანონზომიერებას მსოფლიოში ბევრი დიქტატორი ემსხვერპლა.

იმ სამოქალაქო ძვრებს, რაც აჭარაში დაიწყო, აბაშიძე უკვე ველარ შეაჩერებს, მით უმეტეს, იმ გამკაცრებული მეთოდებით, რომელსაც ის ბოლო პერიოდში მიმართავს. საინფორმაციო ვაკუუმის შექმნა და ამომრჩევლისათვის ხმის წართმევა ის გზაა, რომელიც ხალხში, მორჩილების მაგივრად, უკურეაქციას იწვევს. ასლან აბაშიძემ, როგორც ჩანს, ვერ შეითვისა ის გაკვეთილები, რომელიც ნოემბრის რევოლუციისგან უნდა ესწავლა.

აჭარის მოსახლეობამ ამ დღეებში უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ის საქართველოს ორგანული ნაწილია და ამ საკითხზე ნებისმიერი ობსტრუქცია მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ინსინუაციების ნაყოფია. მსგავსი ინსინუაციები კი აჭარის ლიდერს მალე დააყენებს მისი ხელისუფლების არალეგიტიმურად ქცევის საფრთხის წინაშე.

თენგიზ ასანიძის საქმეს თავის დროზე ძალიან დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. აბაშიძე ცდილობდა, აჭარის მოსახლეობისთვის დაემტკიცებინა, რომ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ის მაინც თავისას გააკეთებს.

შევარდნაძე კი, რომელსაც ერთხელაც არ უკითხავს მის მიერ შეწყალებული ასანიძის ბედი, აჭარლებს აბაშიძის ყოვლისშემძლეობის რწმენას კიდევ უფრო უმტკიცებდა.

ასე რომ, აჭარაში მოსახლეობის სამოქალაქო აქტიურობის ზრდა პირდაპირ იქნება დაკავშირებული ახალი ხელისუფლების პოლიტიკასთან და აბაშიძისთვის გაღებული დათმობების ხარისხთან.

წინა ხელისუფლების სამარცხვინო კომპრომისებს საერთო არაფერი ჰქონდა სახელმწიფო ინტერესების დაცვასთან. ამ კომპრომისების ერთადერთი შედეგი კიდევ უფრო თავგასული აბაშიძე და აჭარის დამონებული მოსახლეობა იყო.

აჭარაში მცხოვრები ადამიანები მათი უფლებების დაცვას, პირველ რიგში, ცენტრალური ხელისუფლებისგან ელოდებიან და ეს უფლებები, განსაკუთრებით კი - მათი არჩევანის უფლება, ახალმა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, უნდა დაიცვას.

# "ნუ გეშინია, მიშა"

პირველი გვერდიდან

კი არა, პრეზიდენტობის კანდიდატის ამპლუაში ესტუმრა და კარალეთელებს მიწის გადასახადის გაუქმება პირადად ახარა.

დახვედრა "რევოლუციონერისთვის" საკადრისი მოუწყვეს: კაცები, ქალები, ბავშვები, მქუხარე ტაში და, რა თქმა უნდა, წითელი ვარდები. დაბადების დღის მილოცვაც არ დაავიწყდათ, "მრავალ ოცდათექვსმეტ წელს დასწრებოდეთო," უსურვეს...

მოსახლეობის წინაშე დადებული პირობა შევასრულეთ და სულ მალე ჩვენი ინიციატივით მიწის გადასახადი გაგიუქმდებათო, - განუცხადა სააკაშვილმა შეკრებილებს. ოსებთან ურთიერთობასაც მოვაგვარებთო, დაჰპირდა, და რუსეთთანაცო. **"სულ მალე ნინო ბურჯანაძე მოსკოვში გაემგზავრება... ჩვენ მზად ვართ რუსეთთან გახსნილი, ნორმალური ურთიერთობისთვის, მაგრამ ჩვენ ვართ სახელმწიფო და არავის უნდა მივცეთ უფლება, სხვა ტონით გვესაუბროს. ვფიქრობ, პუტინიც საკმაოდ კონსტრუქციულადაა განწყობილი,"** - აუხსნა კარალეთელებს სააკაშვილმა. "ნაციონალების" ლიდერი კრიმინოგენულ ვითარებასაც შეეხო და ახალი გუბერნატორიც შეაქო. **"ირაკლი ოქრუაშვილი ძალიან პატიოსანი და ნიჭიერი კაცია, მას ისე ვენდობი, როგორც საკუთარ თავს. თუ რაიმე პრობლემები გაგიჩნდებათ, მას მიმართეთ... კარგად ვიცი, რა რთული კრიმინოგენული ვითარებაა გორში, გპირდებით, ირაკლი ოქრუაშვილი ბევრი პრობლემის მოგვარებას შეძლებს, ყველა ბანდიტს მოუვლის. არ უნდა ეშინოდეთ ადამიანებს ქუჩაში გასვლის, ეს დღე მალე დადგება,"** - კიდევ ერთი პირობა დადო სააკაშვილმა. არც შევარდნაძის ხსენების გარეშე ყოფილა. ყოფილი პრეზიდენტის სახელი ცარიელ ბიუჯეტთან კონტექსტში გაისმა. **"შევარდნაძემ ცარიელი ხაზინა და გაპარტახებული ქვეყანა დაგვიტოვა, მაგრამ, გპირდებით: იმ შემთხვევაში, თუ 4 იანვარს გავიმარჯვებ, თქვენ არასოდეს დაგიგვიანდებათ ხელფასები და პენსიები... ყველა, ვინც წლების განმავლობაში თქვენ, ხალხს ფულს გპარავდათ, ამ ფულს უკან დააბრუნებს, ამას გპირდებით,"** - პირობას დებს პრეზიდენტობის კანდიდატი და ყველას არჩევნებში მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდებს. **"ნუ გავახარებთ ჩვენს მტრებს. თუ 4 იანვარს არჩევნები ჩაიშალა, საქართველოს კატასტროფა ემუქრება,"** - მიმართა მან ხალხს.

**"რას ჰქვია კატასტროფა, მაგათ ვაჩვენებთ არჩევნების ჩაშლას. მთელი ჩვენი სოფელი უკვე წინასწარ ჩაეწერა სიაში, ყველანი მივალთ არჩევნებზე, ქუდზე კაცი მივალთ, ნუ გეშინია, მიშა,"** - იაქტიურა ერთმა ქალბატონმა უკანა რიგებიდან.

სოფლის მოსახლეობამ "ხელში ძლივს ჩაგდებულ" პრეზიდენტობის კანდიდატს სოფლის პრობლემების მოგვარებაც სთხოვა: გაზიფიკაცია, სოფლის გზების შეკეთება, სკოლის რემონტი და ა.შ. **"ერთ დღეში ქვეყანა ვერ აშენდება, მაგრამ გპირდებით, ყველა თქვენს სატკივარს სულ მალე მოეღება ბოლო, ყველაფერს ერთად მივხედავთ,"** - უპასუხა მათ სააკაშვილმა.

4 იანვრის არჩევნებს კარალეთელები მართლაც იმედის თვალით უყურებენ. **"ასე მგონია, ოთხში სხვა ფერის დილა უნდა გათენდეს,"** - ამბობს მიშა ხმიადაშვილი, რომელიც, თურმე, სტალინის დიდი გულშემატკივარია და სააკაშვილსაც თავის საყვარელ ბელადს ამსგავსებს.

გუშინდელი შეხვედრით კარალეთელები მაინც უკმაყოფილოები დარჩნენ. **"რა იქნებოდა, ცოტა ხანი კიდევ დარჩენილიყო, კიდევ გვეცქირნა მაგისთვის,"** - ერთმანეთს ეუბნებოდნენ სახლში მიმავალი მოხუცები.

# გახდება თუ არა ბალცეროვიჩი საქართველოს ახალი პრეზიდენტის მრჩეველი

*შევარდნაძის მთავრობამ, რომელსაც მრავალი ქართველი და უცხოელი მრჩეველი ჰყავდა, ვერ შეძლო რეფორმების წარმატებული განხორციელება; დიდად არც მრჩევლების რეკომენდაციებისა თუ ინიციატივების შესრულება უცდია და, შესაბამისად, არც მათ ანგარიშვალდებულებაში [illegible] თანხების მიზნობრიობის შეუწყობია. შედეგი სახეზეა – ქვეყანა დანგრეული ეკონომიკით, უმუშევრობით - არშემდგარი რეფორმებით, განუვითარებელი საბაზრო ეკონომიკით, [illegible] და არაპროფესიონალური კადრების ბიზნესით. არადა, წინა ხელისუფლებას თავისი ათწლიანი მმართველობის მანძილზე არაერთხელ ჰქონდა ყოველივე ზემოჩამოთვლილის გამოსწორების რეალური შესაძლებლობა. დადგა ახალი ხელისუფლების დრო, რომელმაც თავისი მოღვაწეობა, ჯერჯერობით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური მოლაპარაკებებით და კონსულტაციებით დაიწყო. ამ ფონზე საინტერესოა, რომ ყოფილი მთავრობის პოლონელი მრჩევლის ლეშეკ ბალცეროვიჩის (სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ორგანიზაციის "case ვარშავის" დამფუძნებლისა და პოლონეთის "ეკონომიკურ სასწაულად" შერაცხული პროგრამის ავტორის, პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის) ჯგუფის წევრები ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის პირობებში ერთხელ უკვე იყვნენ საქართველოში და, სავარაუდოდ, იანვარში ჩამოსვლას კვლავ აპირებენ.*

ნინო ნარიმანიშვილი

თბილისში ვარშავის სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ცენტრის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მარეკ დამბროვსკისა და ბალცეროვიჩის პროექტის რეზიდენტის მათეუშ ვალევსკის ვიზიტი ამჯერად პირადად ფინანსისტ ჯორჯ სოროსის ინიციატივა იყო. მათი ვიზიტის მიზანი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს – განისაზღვროს, თუ რა სახის დახმარება სჭირდება საქართველოს ახალ ხელისუფლებას.

შეგახსენებთ, რომ ბალცეროვიჩის ჯგუფი ქვეყნის ყოფილ მთავრობასთან "საქართველოს მაკროეკონომიკური და სტრატეგიული რეფორმების საკონსულტაციო პროექტის" ფარგლებში თანამშრომლობდა. [illegible] ცვლილებები, მათ არ ითვალისწინებდა. პროფესორ ბალცეროვიჩის მხრიდან პერიოდულად გაკეთებული უკმაყოფილო განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს პრეზიდენტი და მისი მთავრობა მათ რეკომენდაციებს ყურს დიდად არ უგდებდა. სამინისტროები და უწყებები კი ინფორმაციას, ფაქტობრივად, არ გასცემდნენ მიმდინარე თუ უკვე შემდგარი კონსულტაციების შესახებ. მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ბალცეროვიჩის საქმიანობას არა საქართველოს მთავრობა, არამედ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებდა. ეს კი ქართული ოფიციოზისთვის "ყურის არდასაგდებად" სერიოზული მოტივაცია გახლდათ.

რაც შეეხება კონსულტანტთა ამჟამინდელ ვიზიტს, მათ შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილთან, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტ ირაკლი მანაგაძესთან. [illegible]

2004 წლის იანვრის ბოლოს თბილისში ბალცეროვიჩის ჯგუფის წევრების კიდევ ერთი ვიზიტია დაგეგმილი და, კულუარული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ ახალ მთავრობასთან თანამშრომლობის დაწყების შემდეგ თავად ლეშეკ ბალცეროვიჩი ჩამოვიდეს საქართველოში.

# აშშ სოციალურად დაუცველ ფენებსა და ქართველ პენსიონერებს დაეხმარება

აშშ-ს მთავრობამ საქართველოსთვის "ზამთრის გათბობის" დახმარების პროგრამის ფარგლებში, 2003-2004 წლის ზამთრის სეზონისათვის 6 მლნ. დოლარი გამოყო.

ამასთან დაკავშირებით გუშინ, სასტუმრო "მარიოტში" მემორანდუმები გაფორმდა. "USAID"-ის გადაწყვეტილებით, 6 მლნ. დოლარი შემდეგნაირად გადანაწილდება - კომპანია "თელასი" მიიღებს თანხის 40 პროცენტს, რაც დაახლოებით 2,4 მლნ. დოლარია, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", რომელსაც ამერიკული კომპანია "PI Consalting" მართავს, გამოყოფილი თანხის 50 პროცენტს - 3 მლნ. დოლარს მიიღებს, 5-5 პროცენტი, კერძოდ 300-300 ათასი დოლარი შეხვდებათ კახეთისა და აჭარის გამანაწილებელ კომპანიებს. ეს თანხა, შეგახსენებთ, სოციალურად დაუცველი ფენებისთვის უფასო ელექტროენერგიის ლიმიტის დაფინანსებას მოხმარდება.

როგორც გუშინ, გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მაილსმა განაცხადა, აღნიშნული დახმარების პროგრამა, რომელიც საქართველოში მეექვსე წელია ხორციელდება, წელს უკანასკნელი იქნება და მომავალი წლიდან, უკვე აშშ-ს მთავრობას იმედი აქვს, რომ აღნიშნულ ვალდებულებას საქართველოს მთავრობა აიღებს.

წლევანდელ პროგრამაში, დაახლოებით, 337 ათასი ოჯახი იქნება ჩართული, რომელიც 45 ლარის ოდენობის უფასო ელექტროენერგიას მიიღებს. 2003-2004 წლის ზამთარში, ძირითადად, აქცენტი გადატანილი იქნება რეგიონებზე. თუ შარშან დახმარება საქართველოს 20-მა რაიონმა მიიღო, წელს ეს რიცხვი 63 რაიონამდე გაიზრდება.

ამასთან, "ზამთრის გათბობის" დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია 600-მდე სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის, მათ შორის - საავადმყოფოების, ბავშვთა სახლების, სკოლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვა.

საქართველოში "ზამთრის გათბობის" დახმარების პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში ნაწილობრივ ან სრულიად იფარება შეჭირვებული ოჯახების და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დაწესებულებებს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური.

უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში, საქართველოში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ენერგეტიკაში 40 მლნ. დოლარის ოდენობის დახმარება დაიხარჯა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს მთავრობა საქართველოს კიდევ 21 მილიონი დოლარით დაეხმარება.

5 მილიონი დოლარი ამერიკამ, შესაძლოა, ქვეყანას საპენსიო დავალიანებების დასაფარად გამოუყოს, ხოლო 3 მილიონი დოლარი - "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით" გაწვრთნილი სამხედროების ხელფასების ანაზღაურებისთვის.

ელჩის თქმით, დახმარების ნაწილს აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები შეასრულებენ. კერძოდ, „ამერიკის ხსნის არმია“ საკვებით დაეხმარება მოხუცებს და მოსახლეობის შეჭირვებულ ფენებს. ასევე, 1000 ცალი ნავთის გამათბობელი ქურა გადაეცემა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს (ქვემო ქართლი).

*"ინტერ პრესისა" და "მედია-ნიუსის" მიხედვით*

# "თბილგაზი" ფიქსირებული გადასახადის შემოღებას ითხოვს

ს/ს "თბილგაზმა" ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დღეს განაცხადი შეიტანა და ბუნებრივ აირზე ფიქსირებული გადასახადის შემოღება ითხოვა.

როგორც "ინტერ-პრესს" სემეკის წევრმა დემურ ჩომახიძემ განუცხადა, "თბილგაზი" საკუთარ მოთხოვნას დედაქალაქში გაზის დანაკარგების სიდიდით ხსნის. **"თბილგაზის" კომერციული და ტექნიკური დანაკარგები 70 პროცენტს აღწევს, ამიტომ კომპანიის მმართველი "ახალი მენეჯმენტი" ითხოვს, რომ ქალაქში გამრიცხველიანების მოწესრიგებამდე, პირობითი გადასახადი იქნეს შემოღებული,"** - განაცხადა ჩომახიძემ.

მისი თქმით, შემოტანილი განაცხადით "თბილგაზი" ფიქსირებული გადასახადის შემოღებას ზამთრისა და ზაფხულის სეზონების მიხედვით ითხოვს. ამასთან, ფიქსირებული გადასახადი, კომპანიის აზრით, გაზის დანადგარების სიმძლავრეების მიხედვით უნდა დაწესდეს.

**"მაგალითად, გაზის ქურაზე "თბილგაზი" წელიწადში 77 ლარის გადასახადს ითხოვს, რაც თვეში თითოეული მომხმარებლისთვის, დაახლოებით, 6,50 ლარია. გადასახადის სხვა განაკვეთებია გათვლილი გაზის გამათბობლებზე და სხვა სიმძლავრეებზე,"** - განაცხადა ჩომახიძემ.

კომისიის წევრის თქმით, "თბილგაზის" განაცხადის გარშემო სემეკში უკვე ბევრი კითხვა გაჩნდა, ამიტომ კომისია შეეცდება, დეტალური ინფორმაცია კომპანიისგან მიიღოს. **"ჩვენ ხელაღებით გადაწყვეტილებას არ მივიღებთ და მხოლოდ სერიოზული განხილვის შემდეგ გადავწყვეტთ, ვისთვის როგორი და რა რაოდენობის გადასახადი დავაწესოთ. არ შეიძლება მომხმარებელი, რომელსაც მრიცხველი აქვს და აირს არ იპარავს, ფიქსირებულ გადასახადს იხდიდეს,"** - განაცხადა ჩომახიძემ.

სემეკს "თბილგაზის" განაცხადის განხილვისთვის, კანონით, 150-დღიანი ვადა გააჩნია, თუმცა "თბილგაზი" განაცხადში გადაწყვეტილების დაჩქარებას ითხოვს.

*ინტერ-პრესი*

# ხელისუფლება საგადასახადო წნეხს ამსუბუქებს და... "სიმდიდრის გარეგნულ ნიშნებს" ბეგრავს

პირველი გვერდიდან

უნდა ითქვას, რომ ძირითადი გადასახადების გაუქმება დაგეგმილია 1 ივლისიდან. მიწის გადასახადი, რომლის გაუქმების შეპირებამ წინასაარჩევნოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და მიხეილ სააკაშვილს თითქმის "პოპულისტის" სახელი მოუხვეჭა, როგორც მოგეხსენებათ, ადგილობრივ ბიუჯეტში შედიოდა. მის საკომპენსაციოდ, ახალი ცვლილებები მოგებისა და შემოსავლების გადასახადებიდან დღემდე ცენტრალური ბიუჯეტისთვის განკუთვნილ თანხებს ადგილობრივ ბიუჯეტებს დაუტოვებს. ამასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებს მიეცემათ რეკომენდაცია, მიწის გადასახადი შეინარჩუნონ იმ ფერმერებზე, რომელთაც 100 ჰექტარზე მეტი მიწა აქვთ მფლობელობაში ან იჯარით აღებული.



ხელისუფლება მიწის გადასახადს აუქმებს.

ამასთან, პირველი ივლისიდან საქართველოში "სიმდიდრის გარეგნული ნიშნები" დაიბეგრება - ასეთია ერთ-ერთი სიახლე იმ საგადასახადო ნოვაციებში, რომელიც გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გაახმოვანეს.

საქართველოს ხელისუფლებისა და ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, მომავალი წლის პირველი ივლისიდან ქვეყანაში ახალი სახის გადასახადი შემოდის, რომელსაც მდიდარი ადამიანები გადაიხდიან.

როგორც პრესკონფერენციაზე სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების გადასახადი" გულისხმობს სამართლიანი გადასახადის დაწესებას იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც ფლობენ ფეშენებელურ ბინებს, აგარაკებს, ძვირადღირებულ ავტომანქანებს და სხვა.

გადასახადი განისაზღვრება მკაცრი კრიტერიუმების შესაბამისად, ანუ ის ადამიანები, რომლებსაც ოცი წლის წინ გამოშვებული უცხოური ავტომანქანები ჰყავთ და ისინი, ვინც ბოლო მოდელის ავტომობილებით დადიან, ერთნაირად არ დაიბეგრებიან. აღნიშნული გადასახადის განაკვეთი ჟვანიამ არ დაასახელა და აღნიშნა, რომ ამოღებული თანხები მიემართება ცენტრალურ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი ფენების დასაფინანსებლად. ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კი დააკონკრეტა, რომ კრიტერიუმებს, კანონპროექტის სახით, ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს, პარლამენტი დაამტკიცებს, საგადასახადო ინსპექცია კი გადასახადებს ამოიღებს.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, 2004 წლიდან თამბაქოს პროდუქცია, დღეს მოქმედი ფიქსირებული გადასახადების ნაცვლად, დამატებითი ღირებულების გადასახადით და აქციზით დაიბეგრება, ისევე, როგორც სიგარეტის ბიზნესი.

ჟვანიას განცხადებით, 2004 წლიდან დაიწყება თითოეული პენსიონერისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის კუთვნილი პენსიებისა და თანხების გაცემა. თებერვლის შუა რიცხვებში, საქართველოს მთავრობა იმ პროგრამას შეიმუშავებს, თუ რა თანმიმდევრობით და რა ვადებში დაიწყება წინა ხელისუფლებისაგან დაგროვილი საპენსიო და სახელფასო დავალიანებების გაცემა.

ამის საფუძველს, მისი თქმით, ნოღაიდელის მუშაობა იძლევა, რომლის უწყების დამსახურებაა, რომ მიმდინარე წლის დეკემბრის თვის განმავლობაში, ცენტრალურ ბიუჯეტში უკვე მოხერხდა 30 მილიონი ლარის მობილიზება, თვის ბოლომდე კი, სავარაუდოდ, 64 მილიონი ლარის "ამოღება" მოხდება.

# სომხეთის პრემიერ-მინისტრი საქართველოს მიერ სუბიექტური სატარიფო პოლიტიკის წარმოებაზე საუბრობს

სააგენტო "რეგნუმმა" გუშინ გაავრცელა ინტერვიუ სომხეთის პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარგარიანთან, რომლის თქმითაც, სომხეთი გარკვეულწილად შეზღუდულია განავითაროს თავისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ამის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოსთან დამაკავშირებელ გზაა.

იგი აღნიშნავს, რომ მაგისტრალი სომხეთიდან საქართველოს საზღვრამდე საუკეთესოა, ხოლო გზის შემდგომი მონაკვეთი – ყოვლად უვარგისი. მისივე თქმით, სომხეთის მთავრობამ სადახლო-თბილისისა და გიუმრი-ბათუმის გზის მონაკვეთების კეთილმოწყობისათვის კრედიტის გამოყოფის თაობაზე არაერთხელ მიმართა მსოფლიო ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს.

მარგარიანის განცხადებით, პრობლემებია რკინიგზაზეც, მაგრამ აღნიშნულის მოგვარება სომხეთს ჯერ არ შეუძლია. **"სარკინიგზო პარკის აღსადგენად ჩვენ გვჭირდება გრძელვადიანი შეღავათიანი საკრედიტო პროგრამა",** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, რეგიონალური პროგრამის TRACECA მიხედვით, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და მთელი რიგი ევროპის სახელმწიფოები - ბულგარეთი, რუმინეთი და სხვა, სომხეთის ტვირთებისათვის, რომლებიც გაივლიან საქართველოს ტერიტორიას, საგადასახადო შეღავათები უნდა დაწესებულიყო, თუმცა მსგავსი რამ დღემდე მხოლოდ აზერბაიჯანისთვის მოქმედებს.

**"ჩვენს ობიექტურ პრობლემებთან ერთად არსებობს ქართულ მხარესთან სუბიექტური პოლიტიკის ფაქტორი. ეს საკითხი დღემდე ორივე ქვეყნის ხელისუფლების ყურადღების ცენტრში იმყოფება. სამწუხაროდ, ჩვენ დიდი ძალისხმევა გვიჯდება არსებული ტარიფების შენარჩუნება – საქართველოს მხარეს სურს, ეს ტარიფები კიდევ უფრო გაზარდოს",** - ამბობს პრემიერ-მინისტრი. მარგარიანი მიიჩნევს, რომ საქართველოში არიან დაინტერესებული პირები, რომლებსაც ამ საკითხის მოგვარება არ სურთ.

# აშშ-ს დახმარებამ პოსტსაბჭოური ქვეყნებისადმი 21 მილიარდ დოლარს გადააჭარბა

საქართველოში დღეს ძალიან აქტუალურია აშშ-ს მიერ გასაწევი ფინანსური დახმარებების თემა. გუშინ თბილისში გახმოვანდა ინფორმაცია კიდევ ორი პროექტის შესახებ, რომელსაც მომავალ წელს აშშ დააფინანსებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად უჭერს მხარს დამოუკიდებელ ქვეყნებს - ცხადია, საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს. სააგენტო "ვაშინგტონ პროფაილის" ინფორმაციით, დღემდე შტატების მიერ გაღებულმა დახმარებამ ამ ქვეყნების მიმართ 21 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. თუმცა, რა თქმა უნდა, დახმარებები სხვადასხვა ქვეყნებისადმი სხვადასხვა მასშტაბისაა და მათი ოდენობა მთელ რიგ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული.

სააგენტოს ინფორმაციით, გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებამ, რომელიც Freedom Support Act–ის საშუალებით განხორციელდა, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში 958 მილიონი დოლარი შეადგინა. თუკი ამას დავუმატებთ სამთავრობო სააგენტოებისა და სამინისტროების მიერ გაღებულ დახმრებას, საერთო ჯამში, ამ მაჩვენებელმა 2 მილიარდს გადააჭარბა. ამ თანხიდან ერთ მილიარდზე ცოტა მეტი სხვადასხვა პროექტების სახით რუსეთის ფედერაციაში განაწილდა: უკრაინაში დაახლოებით - 225 მილიონი დოლარი, საქართველოში - 171 მილიონი, უზბეკეთში - 130 მილიონი, სომხეთში - 120 მილიონი, მოლდოვაში - 107 მილიონი, ყაზახეთში - 85 მილიონი, ყირგიზეთში - 65 მილიონი, ტაჯიკეთში - 62 მილიონი, აზერბაიჯანში - 59 მილიონი, ბელორუსში - 15 მილიონი და თურქმენეთში - 14 მილიონი.

1992 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო სპეციალური კანონი რუსეთსა და ახალგაზრდა ევრაზიულ სახელმწიფოებში დემოკრატიისა და თავისუფლების მხარდაჭერის შესახებ. ამ კანონის მთავარი შინაარსი და მიზანი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის ეკონომიკური, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახამარება. ამ კანონის მიღებას წინ უძღოდა მთელი რიგი ცვლილებების შეტანა სხვადასხვა კანონებში, რამაც რუსეთს, უკრაინასა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ამერიკის ურთიერთობა ნორმალური გახადა. შტატების ხელისუფლების მიერ გამოყოფილი დახმარებები, ძირითადად, ორგვარად ნაწილდება: ერთი - Freedom Support Act-ით და მეორე – ამერიკის სპეციალური სამთავრობო სააგენტოებისა და სამინისტროების მეშვეობით. ამერიკის ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროგრამა მიზნად ისახავს პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის კონფლიქტების შემცირებას და შემსუბუქებას, საბაზრო ეკონომიკის გაძლიერებას, ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკობიზნესისა და მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა.

თავდაპირველად, ამერიკის დახმარებები მთლიანად ჰუმანიტარული ხასიათისა იყო. 90-იანი წლების ბოლოს ტექნიკური დახმარების პროგრამა მნიშვნელოვნად გაიზარდა. პროგრამის მიზანი იყო ისეთი ინსტიტუციონალური საყრდენების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ქვეყნებში საბაზრო რეფორმების გატარებას. ამერიკის მიერ გაღებულ ჰუმანიტარულ დახმარებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საგანმანათლებლო, დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაცის საშუალებების მხარდაჭერის, მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრამებს, იმ რეგიონებისა და რაიონების განვითარებას, რომლებიც რეფორმების გატარებას ცდილობენ; მაგალითად, 2002 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ათი ათასზე მეტმა მოქალაქემ მიიღო სამეცნიერო და პროფესიონალურ გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა.

სააგენტო "ვაშინგტონ პროფაილის" ინფორმაციით, ამერიკის მთავრობის მიერ გაღებული დახმარების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოასწრო ამა თუ იმ ქვეყანამ რეფორმების გატარება და რამდენად არის კონკრეტული სახელმწიფო მოწადინებული რეფორმების განხორციელებისთვის; მაგალითად, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ბელორუსი და თურქმენეთი ამერიკისგან უმნიშვნელო დახმარებას ღებულობს. ეს განპირობებულია იმით, რომ ამერიკა უკმაყოფილოა იმ პროცესებით, რომელიც ამ სახელმწიფოებში მიმდინარეობს.

11 სექტემბრის ცნობილი ტერორისტული აქტის შემდეგ მხარდაჭერის პროგრამები კიდევ უფრო ძლიერი ინსტრუმენტი გახდა იმისთვის, რომ ევრაზიის რეგიონში ამერიკის ადმინისტარციას სტრატეგიული ურთიერთობები შეენარჩუნებინა. სამაგიეროდ, ამერიკის მთავრობამ თითქმის ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნიდან მიიღო მხარდაჭერა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. რამდენიმე სახელმწიფომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებს საკუთარი საჰაერო სივრცე დაუთმო, ზოგიერთმა სახელმწიფომ კი ამერიკის სამხედროებს საკუთარ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნის ნება დართო. სანაცვლოდ, შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი საშუალებები დატოვა შუა აზიური სახელმწიფოების საზღვრების გასამაგრებლად. როგორც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ევროპასა და ევრაზიაში დახმარების პროგრამის კოორდინატორმა ტომას ადამსმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა ამერიკის დახმარების პროგრამები პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის მნიშვნელოვნად შეამცირა, ამ დახმარებების მთავარი მიზანი კვლავ ძალაში რჩება. ამაში კი ტომას ადამსი პირველ რიგში გულისხმობდა დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გატარებას, საერთაშორისო მუქარებისა და მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლას.

თუმცა უცხოური დახმარება, რაც არ უნდა დიდი მოცულობისა და ხანგრძლივობის იყოს, არ არის გარანტია იმისა, რომ ამ ქვეყნებში ეკონომიკური მაჩვენებლები გაიზრდება და შემცირდება სიღარიბის დონე. უფრო მეტიც - უცხოურ დახმარებას არამარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დონის გაუმჯობესება, არამედ მისი გაუარესებაც შეუძლია. ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი ტომას ვეისი მიიჩნევს, რომ არსებობს "ჩრდილოვანი დახმარების" ფენომენი. ტომას ვეისი ამბობს, რომ უცხოურმა დახმარებებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ქვეყანაში კორუფციიის დონე (ასეთ დროს თანამდებობის პირები და ჩინოვნიკები საკუთარ მოვალეობებს კი არ ასრულებენ, არამედ ამ დახმარებების განაწილებით არიან დაკავებულნი), მოახდინოს დამნაშავეთა ლეგალიზაცია (კორუმპირებული თანამდებობის პირების დახმარებით კრიმინალთა ლიდერები ღებულობენ საერთაშორისო მხარდაჭერას). გარდა ამისა, ტომას ვეისი მიიჩნევს, რომ უცხოური დახმარებები შეიძლება გახდეს საბაბი პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტებისა (როცა სხვადასხვა სახელისუფლებო და კრიმინალური დაჯგუფებები ცდილობენ ამ დახმარებების განაწილებაზე უფლების მოპოვებას). ამრიგად, უცხოური დახმარებები ძალიან ხშირად ხდება ქვეყნის ელიტური ფენის გამდიდრებისა და ხელისუფლების შენარჩუნების წყარო. არამიზანშეწონილად გამოყენებულ უცხოურ დახმარებებს ქვეყანა მიჰყავს არასახარბიელო მდგომარეობამდე. ასეთ დროს ქვეყანა ვერ იღებს რეალურ დახმრებას; ის თავად არ ცდილობს კრიზისიდან გამოსვლას, ელოდება დახმრებას საზღვარგარეთიდან. როგორც კვლევებმა აჩვენა, ხშირად ქვეყნის პრობლემები კი არ გადაიჭრება ხოლმე, არამედ უარესდება ამ ქვეყნების ძირითადი მასების მდგომარეობა, ხოლო ეკონომიკა კვალავ მძიმე სიტუაციაში რჩება.

მსოფლიო ბანკის ეკონომისტებმა დევიდ დოლარმა და ლანტ პრიტჩოტმა გააანალიზეს ის საერთაშორისო დახმარებები, რომლებიც მსოფლიოს 113 ქვეყანაში განხორციელდა და სამწუხარო დასკვნამდე მივიდნენ: ძალიან ხშირად საერთაშორისო დახმარებებს იღებენ ის ქვეყნები, რომელთაც ჰყავთ ცუდი ხელისუფლება და არცთუ ისე ბევრი ღატაკი ადამიანი; სამაგიეროდ, მსგავს დახმარებებს ვერ იღებენ ის ქვეყნები, რომელთაც ჰყავს კარგი ხელისუფლება და ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც ამ დახმარებას საჭიროებს.

ლონდონის ეკონომიკის სკოლის თანამშრომელმა პეტერ ბუნმა სპეციალური კვლევა ჩაატარა რამდენიმე საერთაშორისო დახმარებაზე, რომლებმაც აფრიკის ქვეყნების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. მისი მონაცემებით, აფრიკის არცთუ ისე დიდმა სახელმწიფომ სიერალეონმა მიიღო დახმარების სახით 74 მილიონი ამერიკული დოლარი, რამაც ამ ქვეყნის თითოეულ მოსახლეზე საშუალოდ 15 დოლარი შეადგინა (შედარებისთვის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო დახმრებების მოცულობამ გერმანიაში ერთ სულ მოსახლეზე 4.5 დოლარი შეადგინა). ამის მიუხედავად, სიერა-ლეონი დღემდე რჩება ერთ-ერთ უღარიბეს სახელმწიფოდ მსოფლიოში, სადაც მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებელი. იყო წლები, როცა საერთაშორისო დახმარებების მოცულობამ ბურუნდისა და რუანდის სახელმწიფოებში მთლიანი შიდა პროდუქტის 20-30 პროცენტიც კი შეადგინა. მიუხედავად ამისა, დღემდე ამ ქვეყნების მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი შიმშილის პირას არის მისული.

*მოამზადა ეთერ მამულაშვილმა*

## მოკლედ

### კანცელარიას და პარლამენტს ტელეფონები გაუთიშეს

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირმა“ დღეიდან რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციას ტელეფონები ისევ გაუთიშა.

როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს“ "ელექტროკავშირის" კომერციულმა დირექტორმა მერაბ კანკავამ აცნობა, მხოლოდ მსხვილი არგადამხდელი ორგანიზაციების დავალიანება 3,5 მილიონ ლარს აჭარბებს. ამ უწყებებს შორის არიან პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, თავდაცვის, უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო ტელევიზია. ამ და სხვა უწყებებში, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებში, რომლებსაც „ელექტროკავშირის“ ვალი აქვთ, ჩართულია მხოლოდ პირველი პირების ტელეფონები. რეალურად, დღეისთვის „საქართველოს ელექტროკავშირისადმი“ დებიტორული დავალიანება 5 მილიონ ლარს აღწევს. ურჩ გადამხდელთა შორის თითქმის არ არის მოსახლეობა და სამეურნეო ორგანიზაციები. მათ, ძირითადად, მიმდინარე მცირე დავალიანებები აქვთ. **მედია-ნიუსი**

### აჭარის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელი აშშ-ს დახმარებას სთხოვს

აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი თავაძე ენერგოსისტემაში აღრიცხვიანობის პრობლემის მოსაგვარებლად ამერიკელებს დახმარებას სთხოვს. როგორც დღეს USAID-ის "ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამის" მემორანდუმის გაფორმების საზეიმო ცერემონიალზე გია თავაძემ განაცხადა, ქართველებისათვის ამერიკელების წინაშე **"მუდმივად ხელგაწვდილი დგომა"** უხერხულია, ამიტომ, უკვე დროა, ქართველებმა "ზამთრის გათბობის პროგრამის" განხორციელება თავად მოახერხონ.

**"ამისათვის სისტემის ტექნიკური გადაიარაღებაა საჭირო. აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგება უპირველესი ამოცანაა. ჩვენ გაგვაჩნია ქართველის მიერ გამოგონილი აღრიცხვიანობის სისტემა "ეგაასი", რომელიც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 100 პროცენტით ამოღებას უზრუნველყოფს,"** - განმარტა თავაძემ და ამერიკელებისგან შეღავათიანი კრედიტი მოითხოვა. **ინტერ-პრესი**

### პარლამენტართა სახელფასო დანამატები სეკვესტრში მოჰყვა

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტარები ხელფასიდან ჩამოჭრილი 270 ლარის გამო პროტესტს გამოთქვამდნენ. ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ფინანსთა ძველი მინისტრის ბრძანებით, დეპუტატებს ხელფასიდან თანხები უკანონოდ დაუქვითეს. დეპუტატებმა გასულ კვირას სამი თვის გაუცემელი ხელფასიდან ერთი თვის ხელფასი ჩამოჭრილი სახით აიღეს. მაჭავარიანის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისა და მაჟორიტარი დეპუტატებისათვის ბინით უზრუნველყოფის თანხა 270 ლარი დეპუტატებზე არ გასცა, რაც თავისთავად უკანონო პროცესია. როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ნოდარ ხადურმა განუცხადა, პარლამენტარებისთვის თანხები ხელფასიდან არ არის დაქვითული, უბრალოდ, ძველი ფინანსთა მინისტრის მიერ, სექტემბრის თვეში გაცემული ბრძანებულების მიხედვით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრს ითვალისწინებს, პარლამენტარებს მხოლოდ შრომის ანაზღაურების თანხები დარჩათ. დანარჩენი თანხები, ხადურის განცხადებით, სექტემბერში განხორციელებულ სეკვესტრში მოჰყვა.

## ორი სიტყვით

**თბილისი** სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი ორჯერ გაძვირდა, საქართველოში პური არ გაძვირდება. როგორც ზურაბ ჟვანია ამბობს, საქართველოს გააჩნია ხორბლის საკმარისი მარაგი და არ არის გამორიცხული, რომ ეს მარაგი უახლოეს მომავალში მეგობარი ქვეყნების დახმარებით კიდევ შეივსოს. მისი თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობამ მსოფლიო ბაზარზე პურის ფასის გაძვირება ნაკლებად იგრძნოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამომხმარებლო ბაზარზე სასურსათო საქონლის ფასები გასულ კვირას 0,39 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ კვირას ღორის ხორცის ფასი 4,50-დან 4,70 ლარამდე გაიზარდა, 3.50-დან 3,80 ლარამდე გაიზარდა თევზის ფასი, ასევე 20 თეთრით მოიმატა ყველის ფასმა და 4,20 ლარი შეადგინა. ფასი შემცირდა ხორბლის პურზე (0,99 ლარიდან 0,98 ლარამდე) და ვაშლზე (0,45 ლარიდან 0,40 ლარამდე). არასასურსათო საქონელზე ფასები არ შეცვლილა. ნავთის ფასი შემცირდა 0,87 ლარიდან 0,84 ლარამდე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს მომავალში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე დასაქმებულთა წარმომადგენლობითი კომიტეტი შეიქმნება, რომელიც, სავარაუდოდ, პროფკავშირების სახეს მიიღებს. ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს დღეს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში გამართულ შეხვედრაზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, მტკვრის სანაპიროზე იაპონური წარმოების ტელევიზორებით დატვირთული „ფორდ-ტრანზიტის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა დააკავეს. როგორც საბაჟო დეპარტამენტის კრიმინალური სამსახურიდან სააგენტო „მედია-ნიუსს“ აცნობეს, ავტომანქანის მძღოლს არ აღმოაჩნდა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის გამოც ტვირთი დაილუქა და მანქანა რეგიონალურ საბაჟო ტერმინალში იქნა გადაყვანილი. წუხელვე რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა „პაზის“ მარკის ავტობუსი დააკავეს, რომელიც ასევე ტელევიზორებით იყო დატვირთული. მძღოლს ტვირთის გადაზიდვისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია არ ჰქონდა. ორივე ფაქტზე მოკვლევას აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველო აწარმოებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბაჟო ტერმინალის ჩრდილოეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა დუშეთ-ნატახტრის საავტომობილო გზის მონაკვეთზე უაზ-452 მარკის ავტომანქანა დააკავეს, რომელსაც 1500 ლიტრი ეთილის სპირტი უნებართვოდ გადაჰქონდა. დაკავების ოპერაციაში საგზაო პოლიციის ადგილობრივი ქვედანაყოფებიც მონაწილეობდნენ. ამ ფაქტზე მოკვლევას ჩრდილოეთის რეგიონული სამმართველო აწარმოებს. ავტომანქანა გადაყვანილია ჩრდილოეთის რეგიონულ საბაჟო ტერმინალში. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

### მასობრივი დაპატიმრებების ტალღა ერაყში

სადამ ჰუსეინის დაპატიმრების შემდეგ, აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა ერაყში სპეცოპერაციების ახალი ტალღა წამოიწყეს. ბოლო დღეებში განხორციელებული რეიდების შედეგად რამდენიმე ასეული ერაყელი მებრძოლია დაკავებული, რომლებიც ერაყის წინააღმდეგობის მოძრაობას ეკუთვნოდნენ. ამის შესახებ აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბების ხელმძღვანელების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა რიჩარდ მაიერსმა განაცხადა. მისი თქმით, რამდენიმე დაკავებული მებრძოლი წინააღმდეგობის ფრონტის ლიდერები არიან. **„ამან ჩვენ საშუალება მოგვცა, გაგვეგო, თუ როგორ არის ორგანიზებული ერაყული წინააღმდეგობის მოძრაობა,"** - განაცხადა გენერალმა. თუმცა, რამდენიმე დღის წინ თიქრითში დაპატიმრებული სადამ ჰუსეინი გამოძიებასთან არ თანამშრომლობს. მას ამერიკელებისათვის არანაირი ინფორმაცია არ მიუცია.

ერაყის ყოფილი დიქტატორის დაპატიმრების შემდეგ, აშშ-ს სპეცსამსახურებმა და სამხედრო დანაყოფებმა ძირითად სამიზნედ ერაყის ყოფილი ხელისუფლების საშუალო ფენა აქციეს. გუშინ ამერიკელმა სპეცრაზმელებმა სირიის საზღვართან მდებარე პატარა ქალაქ რავაჰაში საგულდაგულოდ გაჩხრიკეს ყველა სახლი. რეიდის დროს 30-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს, რომელთაც ტერაქტებსა და თავდასხმებში ედებათ ბრალი.

პარალელურად, რეიდი განხორციელდა ბაღდადის დასავლეთით მდებარე ქალაქ ფალუჯაში. აქ ამერიკელებმა 111 ერაყელი დააპატიმრეს. ერაყში გაძლიერებული რეიდების სერია გრძელდება.

### კვიპროსელი თურქები მოლაპარაკებებზე უარს ამბობენ

ჩრდილოეთ კვიპროსის პრეზიდენტმა დენქთაშმა განაცხადა, რომ გაერო-ს მიერ შემოთავაზებული სამშვიდობო გეგმის განხილვას არ აპირებს. "ანანის გეგმის შესახებ მოლაპარაკებები დასრულებულია. ჩვენ არ ვაპირებთ განვიხილოთ დოკუმენტი, რომელშიც ამდენი ბოროტება, შეცდომა და უსამართლობაა."

ანანის გეგმა კვიპროსის ბერძნული და თურქული ნაწილების გაერთიანებას და ევროკავშირში ერთად გაწევრიანებას გულისხმობს. ამან თავად თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას გზა უნდა გაუხსნას.

დენქთაშის უარყოფითი დამოკიდებულება გეგმისადმი დიდი ხანია ცნობილია, თუმცა შერიგების მომხრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ორი კვირის წინ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ვითარებას შეცვლიდა. არჩევნები ფრედ დასრულდა და დენქთაშის პოზიციები შეურყეველი დარჩა.

ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკას მხოლოდ ერთი სახელმწიფო - თურქეთი აღიარებს. ეს ქვეყანა უზრუნველყოფს კუნძულელთა უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობასაც.

თუმცა, ამ გეგმის გამო, თურქეთსა და ჩრდილოეთ კვიპროსს შორის სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა. "ჩვენ მხარს ვუჭერთ გაერო-ს გეგმას და გვაქვს საკმარისი პოლიტიკური ნება იმისათვის, რომ გამოსავალი ვიპოვოთ. ახლა დაპირისპირებასა და პროპაგანდაზე დროის ხარჯვამ შეიძლება თურქეთს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს."

თურქეთი შიშობს, რომ სამშვიდობო გეგმის ჩაშლა კარგი საბაბი იქნება ევროკავშირისათვის, კიდევ დიდი ხნით გადადოს თურქეთის მიღება. თუმცა, საკუთარი მარიონეტის წინაშე ანკარა, ჯერჯერობით, უძლურია.

### იერუსალიმში ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი სცემეს

გუშინ იერუსალიმში ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ მაჰერი ჩავიდა. მან მოლაპარაკება გამართა ისრაელის პრემიერ-მინისტრთან არიელ შარონთან, რის შემდეგაც სალოცავად ალ-აქსას მეჩეთს ეწვია. იქ ეგვიპტელ სტუმარს ლოცვის დროს თავს ისლამისტი მებრძოლები დაესხნენ. თვითმხილველთა თქმით, ექსტრემისტები მეჰერს შეუარაცხმყოფელი შეძახილებით შეეგებნენ, ხოლო შემდეგ მასზე იერიში მიიტანეს.

საგარეო საქმეთა მინისტრის დაცვის წევრები მის გაყვანს შეეცადნენ, თუმცა უშედეგოდ. მეჰერი უახლოეს ებრაულ საავადმყოფოში გონდაკარგული მიიყვანეს. სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ის დაჭრილი არ ყოფილა. არსებობს ცნობა იმის თაობაზე, რომ მეჰერს გულის შეტევაც დაემართა, როდესაც ჯოხებით და ქვებით შეიარაღებული ექსტრემისტები მეჩეთში შევარდნენ. "მოღალატევ, შენ სიონისტებთან მოლაპარაკებას მართავ!" - უყვიროდნენ ისლამისტები ეგვიპტელ სტუმარს.

აჰმედ მეჰერი ბოლო ორი წლის განმავლობაში ისარელში პირველად ჩავიდა. არიელ შარონთან შეხვედრის დროს, მან სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" რეალიზაციის გზებზე ისაუბრა. მეჰერი პალესტინის ლიდერთან იასირ არაფატთან შეხვედრას არ აპირებდა.

## ორი სიტყვით

**ფილიპინები.** ფილიპინების სამაშველო სამსახურმა გუშინ გემის დაკარგვის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ცნობის თანახმად, გემზე 70-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა. 63-ტონიანი ხომალდი ზღვაში შაბათს პატარა კუნძულ სულუდან გავიდა და პალავანის კუნძულისაკენ მიემართებოდა. კვირას, როდესაც გემს უკვე ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი, გემბანიდან სიგნალი – SOS გაუშვეს. ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ გემის ტრიუმებში წყალი შედიოდა. გემის საშველად საზღვაო დაზვერვის თვითმფრინავი გაემართა, თუმცა უშედეგოდ. მაშველებმა გემი სავარაუდო კოორდინატებში უკვე ვეღარ იპოვეს. კვირასვე გემთან ყოველგვარი კავშირი გაწყდა.

■ ■ ■

**ლიბია.** გუშინ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მოჰამედ ელ-ბარადეიმ განაცხადა, რომ მომავალ კვირას ლიბიაში ჩასვლას აპირებს, რათა ტრიპოლის ბირთვულ პროგრამებს შეფასება მისცეს. მან აღნიშნა, რომ მზად არის, ლიბიის ობიექტების შემოწმების პროცესი უკვე მომავალ კვირაშივე დაიწყოს. ამაზე ლიბიის ხელისუფლებამ უკვე ოფიციალური თანხმობა განაცხადა. ლიბიის დელეგაციამ ვენაში ელ-ბარადეისთან გამართული შეხვედრა დაასრულა. ცნობილი გახდა, რომ ლიბია ხელს მოაწერს დამატებით პროტოკოლს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

# დაღესტნის ამოუცნობი მებრძოლები ჯერაც არ უპოვიათ

მუსა მუსაევი, ნინა ალაიევა, უმალთ დუდაევი
IWPR, მახაჩყალა და გროზნო

თითქმის ერთი კვირაა, რუსული ქვედანაყოფები დაღესტნის მთებში მებრძოლთა ამოუცნობ ჯგუფს დასდევენ. რამდენიმე დღის წინ ამ ჯგუფმა ცხრა რუსი მესაზღვრე მოკლა.

ოთხი წელია, რაც ჩეჩნეთის მეორე ომი მიმდინარეობს და ამ ხნის მანძილზე დაღესტანში არც ერთი სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. თუმცა, ბოლო კვირის მოვლენები გვიჩვენებს, რომ ამ რესპუბლიკაში სტაბილურობას მუდმივად ემუქრება საფრთხე.

ფედერალურმა ძალებმა მებრძოლთა აღმოსაჩენად რამდენიმე შვეულმფრენი გაგზავნა. მათი სარდლობა ამტკიცებს, რომ 12 მებრძოლის განადგურება შეძლეს.

თუმცა, ჯერაც არავინ იცის, ვინ არიან ეს მებრძოლები, საიდან მოდიან ან საით მიდიან.

ცნობილია მხოლოდ, რომ 15 დეკემბერს რამდენიმე ათეული მებრძოლისაგან შემდგარი ჯგუფი დაღესტნის, ჩეჩნეთისა და საქართველოს საზღვარზე გამოჩნდა. წუნდას რაიონში მათ 11 ადგილობრივი მცხოვრები აიყვანეს მძევლად.

მათ აღმოსაჩენად სატვირთო მანქანით 9 რუსი მესაზღვრე გაიგზავნა. მებრძოლებმა მათ ჩასაფრება მოუწყვეს. მესაზღვრეების გვამები მოგვიანებით აღმოაჩინეს. მათ მეთაურს თავი ჰქონდა მოჭრილი

ადგილობრივმა მეხანძრემ ახმედ მაგომედოვმა ჟურნალისტების განუცხადა, რომ საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ბომბავდა ოთხი შვეულმფრენი მებრძოლთა სავარაუდო პოზიციებს

18 დეკემბერს, ფედერალური ძალები და დაღესტნის პოლიცია სოფელ ხედაბასთან შეერთდნენ და აქედან დაიწყეს ერთობლივი ოპერაცია მებრძოლთა წინააღმდეგ.

ადგილობრივი პოლიციის მაიორმა განაცხადა, რომ სოფელ წუნდასთან 70 სატვირთო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი გამოჩნდა, რომლებიც ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად მიემართებოდნენ. ჯარისკაცები აცხადებენ, რომ მთებში მოძველებული ჯავშანტექნიკა, პრაქტიკულად, გამოუსადეგარია, მაგრამ მათ შესაბამისი ბრძანება ჰქონდათ მიღებული.

ადგილობრივი მოსახლეობა ფიქრობს, რომ ეს დიდი მანევრები მხოლოდ ძალის დემონსტრირებისათვის ტარდება. მებრძოლები კი, დიდი ხანია, ქვემო დაღესტნის ხეობებში გადავიდნენ. "ისინი რომ მთებში დარჩენილიყვნენ, აქამდე გაყინულებს იპოვიდნენ," - ამბობს ჯაფარ იბრაგიმოვი. მისი ვარაუდით, მებრძოლებს ადგილობრივი მოსახლეობა დაეხმარა ხეობებისაკენ გზის მოძებნაში.


დაღესტან-ჩეჩნეთის საზღვარი


რუსი ჯარისკაცები დაღესტანში

ბრძოლების დაწყებამ დაღესტანში ბევრს გაახსენა 1999 წლის მინი-ომი, როდესაც ჩეჩნებისა და არაბების მსხვილმა დაჯგუფებებმა ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარი გადალახეს და რამდენიმე სოფელი დაიკავეს. ამან ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყება გამოიწვია.

დაღესტნის ლიდერი მაგომედალი მაგომედოვი კატეგორიულად უარყოფს 1999 წლის მოვლენებთან რაიმე მსგავსებას. "მაშინ, ჩეჩნების მიზანი იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და დაღესტნის რუსეთისაგან ჩამოშორება. ახლა რაც წუნდაში ხდება, მხოლოდ ტერორისტული აქტია."

მართალია, ბევრმა მაშინვე დაასკვნა, რომ ეს მებრძოლები ჩეჩნები იყვნენ, ამის მტკიცებულება ჯერჯერობით არ არსებობს. თუმცა, რადგან ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარს ამ რაიონში არავინ იცავს, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ასეც ყოფილიყო.

ექიმი, რომელმაც მძევლები მოინახულა, აცხადებს, რომ მათ კარგად ექცეოდნენ და იმას აჭმევდნენ, რასაც თვითონ ჭამდნენ. მისი თქმით, მებრძოლთა ჯგუფი, დაახლოებით, ოცი კაცისაგან შედგებოდა და ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ როგორც ჩეჩნურად, ისე ავარულად.

მახაჩყალაში სჯერათ, რომ თუ მებრძოლები თავად არ იყვნენ დაღესტნელები, ადგილობრივი მოსახლეობისაგან დიდ დახმარებას მაინც იღებდნენ. ტრანსპორტი, რომელსაც მებრძოლები იყენებდნენ, ადგილობრივი იყო, თანაც, როგორც ჩანს, მანქანები ძალით წართმეული არ ყოფილა. გათავისუფლებული მძევლების თქმით, მებრძოლთა ერთი ნაწილი ადგილობრივ ენაზე საუბრობდა.

ჩეჩნებიც ამბობენ, რომ დაღესტანს საკუთარი რადიკალი ისლამისტებიც საკმაოდ ჰყავს.

"1999 წელს დაღესტანში მებრძოლი ბევრი დაჯგუფება ადგილობრივი ვაჰაბიტებით იყო დაკომპლექტებული, – ამბობს ადგილობრივი პოლიციელი, – მათ შორის იყვნენ "გენერალი" იერულა და ცნობილი რაპანი ხალილოვი"

"ამ ბანდების უდიდესი ნაწილი 1999-2000 წლებში დაღესტანში და ჩეჩნეთში განხორციელებული ოპერაციების დროს გაანადგურეს, მაგრამ მათი ნაწილი გადარჩა. სავსებით შესაძლებელია, რომ წუნდაში სწორედ ისინი მოქმედებდნენ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს ყველგანმყოფ ჩეჩნებს აბრალებს".

დაღესტნელი მეცნიერ ენვერ კარიევიც ეთანხმება იმ აზრს, რომ მებრძოლები შეიძლება დაღესტნელები ყოფილიყვნენ: "სეპარატისტებს, რომლებიც ამ რაიონში დიდხანს ცხოვრობენ, ბევრი ნათესავი და მხარდამჭერი ჰყავთ. წუნდას რაიონი ძალიან მიყრუებულ ადგილას მდებარეობს. ადგილობრივი ჯამაათები, განსაკუთრებით, მაღლა მთებში, ნამდვილი "სახლემწიფოა სახელმწიფოში. ჩეჩნები აქ მაშინ გადმოდიოდნენ დასასვენებლად და ძალების მოსაკრებად, როდესაც მოესურვებოდათ. ამჯერად, როგორც ჩანს, ისინი ვიღაცამ გასცა და ხელისუფლებამ ჩარევა გადაწყვიტა".

ასევე შესაძლებელია, რომ ჩეჩენი მებრძოლები დაღესტანში კადიროვის მიერ მათ წინააღმდეგ წარმოებულ ზამთრის კამპანიას გამოექცნენ. მათმა რამდენიმე დაჯგუფებამ მთებს შეაფარა თავი და აქედან საქართველოსა ან აზერბაიჯანში გადასვლას აპირებს.

როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ მათი საზღვრები არავის დაურღვევია. უფრო მეტიც, დიდი თოვლის გამო, ზამთარში კავკასიონის გადალახვა თითქმის შეუძლებელია.

რუსეთში ახლა ბევრი კითხულობს, თუ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო:

"დაღესტანში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენები არის თავის მოჭრა მთელი მსოფლიოს წინაშე, – აცხადებს სადესანტო ჯარების ყოფილი სარდალი და ახლანდელი დეპუტატი გიორგი შპაკი, - ეს არის სირცხვილი გენერალური შტაბისა, რომელიც ვალდებულია, ასეთი ოპერაციების კოორდინირება მოახდინოს."

დაღესტანში, ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციის, "ნაბათის" ხელმძღვანელი აზიზხანოვი ამბობს: "მე ძალიან უკმაყოფილო ვარ ჯარისკაცების პროფესიონალიზმის დონით. ოპერაციის დროს ამდენი ადამიანი არ უნდა დაღუპულიყო. ჯარები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ ასეთი ინციდენტებისათვის. თუმცა, როგორც გამოჩნდა, მათ არათუ საზღვრების, საკუთარი თავის დაცვაც არ შეუძლიათ."

# ბერეზოვსკი პუტინის კონკურენტს ეძებს


ბორის ბერეზოვსკი

**"ვლადიმირ პუტინი მომავალი წლის მარტში ხელახალი გაპრეზიდენტების იოლ გზაზე, შესაძლოა, მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდეს. ყოფილმა რუსმა ოლიგარქმა და ოპოზიციის თვითაღიარებულმა ლიდერმა ბორის ბერეზოვსკიმ ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ აპირებს, მხარი დაუჭიროს და ფინანსურად დაეხმაროს მემარჯვენე რეფორმატორების რიგებიდან იმ კანდიდატს, რომელიც პუტინს ბრძოლაში გამოიწვევს,"** - იუწყება ბრიტანული გავლენიანი გაზეთი "ინდეპენდენტი".

თუმცა, ბერეზოვსკის ჯერ არ გაუმჟღავნებია პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობა. ერთი რამ კი ცხადია, რომ თუკი ეს პიროვნება ბერეზოვსკისათვის მისაღები იქნება, მას ბრიტანეთში გახიზნული ოლიგარქის მხრიდან უხვი ფულადი დახმარება გარანტირებული აქვს. **"მაგრამ ეს კანდიდატი ასევე უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ ყოველგვარი ასოცირება ბერეზოვსკისთან, რომელიც რუსეთის ხელისუფლების მიერ დამნაშავედ და თაღლითად არის აღიარებული, მისთვის ხელისშემშლელი იქნება,"** - წერს "ინდეპენდენტი."

ბორის ბერეზოვსკიმ დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი 2003 წლის სექტემბერში მიიღო. რუსეთში მოღვაწეობა მან სამეცნიერო სამუშაოთი დაიწყო, შემდეგ ავტომანქანებით ვაჭრობას მიჰყო ხელი და ბოლოს მედიამაგნატიც გახდა. რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდეგ კი, ის იძულებული გახდა, რუსეთის ტერიტორია დაეტოვებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ციხე და სასამართლო პროცესი ემუქრებოდა. ბერეზოვსკი ორწლინახევრის წინ ბრიტანეთში გადასახლდა. ამ ხნის განმავლობაში მას არც ერთხელ არ გაუშვია ხელიდან შანსი, აქტიურად ჩარეულიყო რუსული პოლიტიკის სამზარეულოში.

**"ბერეზოვსკი, რომელიც ადრე პუტინს უჭერდა მხარს, ახლა მასში მთავარ მეტოქეს ხედავს. ის აცხადებს, რომ პუტინი ელცინის მიერ დაწყებული რეფორმებიდან გადახვევას ცდილობს, რისი ლოგიკური დასასრულიც დიქტატურა იქნება,"** - იუწყება "ინდეპენდენტი."

ბერეზოვსკი თვლის, რომ თუკი მემარჯვენე ძალებიდან წამოყენებული კანდიდატურა მიზანმიმართულ და გონივრულ კონკურენციას გაუწევს ვლადიმირ პუტინს, მისი პერსპექტივა არცთუ ისე უიმედო იქნება. რაც შეეხება რეფორმატორული პარტიების საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებას, ბერეზოვსკი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი დამაჯერებელი და რეიტინგიანი ლიდერების დეფიციტი იყო. ყოფილი ოლიგარქი თვლის, რომ თუკი ოპოზიციის კანდიდატი, რუსეთის ამომრჩევლების თუნდაც 10 პროცენტის მხარდაჭერის მოპოვებას შეძლებს, ეს ახალი პოლიტიკური ფუნდამენტის ჩამოყალიბების ტოლფასი იქნება, რაც ჯერ ჩვენთვის უცნობ პიროვნებას მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში უკვე რეალურ კონკურენტად აქცევს.

# პაქსასის საქმეები ცუდადაა

ლიტვის პარლამენტმა შექმნა ექსპერტთა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა პრეზიდენტ პაქსასის იმპიჩმენტისათვის საკმარისი სამართლებრივი საფუძველი. ამის შემდეგ საქმის საჯარო განხილვა უნდა დაიწყოს. შეგახსენებთ, რომ პაქსასს ბრალი რუსულ მაფიასთან კავშირში ედება. კომისია დასკვნას 13 თებერვალს წარმოადგენს

სეიმის 141 დეპუტატიდან 86 აცხადებს, რომ პრეზიდენტი დამნაშავეა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაში, კერძო ფირმებზე უკანონო ძალდატანებაში და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობისათვის ხელის შეშლაში.

კანონის თანახმად, პრეზიდენტი უნდა გადადგეს, თუ დეპუტატთა სამი მეხუთედი ანუ 85 კაცი გადაწყვეტს, რომ იგი დამნაშავეა.


პაქსასი თბილისში სტუმრობისას

თუმცა, მანამდე, ხანგრძლივი იურიდიული პროცედურების გავლაა საჭირო. თავად პაქსასი ყველა ბრალდებას უარყოფს და მთელ ამ საქმეს "შეთქმულებად" აფასებს.

საგანგებო კომისია ექვსი იურისტისა და ექვსი პარლამენტარისაგან შედგება. "ჩვენ უნდა დავადგინოთ ჭეშმარიტება. ეს ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს," – ამბობს ოპოზიციური დეპუტატი კუბილიუსი.

ოქტომბერში სპეცსამსახურებმა გამოაქვეყნეს მასალები, რომელიც რუსულ მაფიასთან პაქსასის კავშირზე მეტყველებდა. სხვათა შორის, ამ საქმეში ქართველებიც არიან გარეული - პრეზიდენტის პირადი ნათელმხილველი ლოლიშვილი და რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი ანზორ კიკალიშვილი. ამის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. ერთმანეთის მიყოლებით იმართება პაქსასის მხარდამჭერი და მისი მოწინააღმდეგე აქციები. სკანდალმა უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის რეპუტაციაზე.

# პუტინმა ერაყის ლიდერებთან მოლაპარაკება გამართა

გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტიმა ერაყის დროებითი მმართველი საბჭოს ხელმძღვანელი აბდელ აზიზ ალ-ჰაკიმი მიიღო. მთავარ განსახილველ თემას ერაყის რეკონსტრუქციაში რუსეთის მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა წარმოადგენდა. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, რუსული კომპანიები მზად არიან, უახლოეს მომავალში ერაყში, ინვესტიციების სახით, 4 მილიარდი ამერიკული დოლარი ჩადონ.

ერაყის დელეგაციის ვიზიტის პროგრამა რუსულ ნავთობკომპანიებთან, მათ შორის, "ლუკოილთან" შეხვედრებსაც მოიცავდა.

სააგენტო "ბიბისის" ინფორმაცით, ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტები იმედოვნებდნენ, რომ მოლაპარაკებების დროს მხარეები შეეცდებოდნენ, კომპრომისის მიღწევას რუსეთისადმი ერაყის ვალთან დაკავშირებით. ასევე, უნდა განხილულიყო იმ მრავალმილიარდიანი კონტრაქტების ბედი, რომელიც რუსულმა კომპანიებმა ერაყის ყოფილ მმართველ რეჟიმთან გააფორმეს.

როგორც ცნობილია, შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვს, რომ კრედიტორებმა ერაყს ვალები ჩამოაწერონ. ამ მიზნით, მოსკოვში, სულ ცოტა ხნის წინ, აშშ-ს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ჯეიმს ბეიკერი იმყოფებოდა. მან შეძლო რუსეთის ხელისუფლების დარწმუნება, რომ პარიზის კლუბის ჩარჩოებში მოსკოვმა ერაყისათვის ვალების ჩამოწერის საკითხზე მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღოს.

ერაყის ვალები კი ასე გამოიყურება:

იაპონია – 4,1 მილიარდი ამერიკული დოლარი

რუსეთი –4,5 მილიარდი

გერმანია – 2,4 მილიარდი

აშშ - 2,2 მილიარდი

იტალია – 1,7 მილიარდი

რუსეთის ოფიციალური პირები უკვე გამოთქვამენ იმედს, რომ სადამის რეჟიმთან დადებული კონტრაქტების რეალიზება რუსეთს ახლო მომავალში შეეძლება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იური ფედოტოვმა განაცხადა, რომ ადრე დადებული კონტრაქტები არ გაუქმდება და ერაყის ახალ ხელისუფლებასთან ერთად განახლდება მათზე მუშაობა.

ამ აზრს ეთანხმება ერაყელი ქურთების ლიდერი, ასევე მოსკოვში მყოფი ჯალალ თალაბანი, რომელიც იმედოვნებს, რომ რუსული კონტრაქტების ბედი მოლაპარაკების პროცესში უნდა გაირკვეს. **"მე ვფიქრობ, რომ რუსეთს ბევრი რამ აქვს ჩვენთვის სათქმელი და ჩვენ მზად ვართ, მოვუსმინოთ,"** - განაცხადა თალაბანიმ.

ალბათ, ამ კონტრაქტების ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, დათანხმდება თუ არა რუსეთი ერაყისათვის ვალების ჩამოწერას. ამ შემთხვევაში რუსულ ნავთობკომპანიებს ერაყის მდიდარ საბადოებზე მუშაობის საშუალება ექნებათ.

# აშშ ახალი ტერაქტების მოლოდინში

ამერიკის შეერთებულ შტატებში უსაფრთხოების გამკაცრებული ზომებია შემოღებული. ვაშინგტონი, შობა-ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, ახალი ტერაქტების შესახებ ფლობს ინფორმაციას. შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორმა ტომ რიჯმა უსაფრთხოების ხარისხი "ნარინჯისფრამდე" აწია, რაც მაღალი რისკის მაჩვენებლად ითვლება. აშშ-ში ტერორიზმის საფრთხეები სულ ხუთი ფერით არის განსაზღვრული:

მწვანე- დაბალი რისკი,

ლურჯი – დაბალზე ოდნავ მაღალი რისკი,

ყვითელი – მნიშვნელოვანი რისკი,

ნარინჯისფერი – მაღალი რისკი,

წითელი – უმაღლესი რისკი.

ბოლო ფერი იმის მაჩვენებელია, რომ ტერორისტული საფრთხე გარდაუვალია. ტერორისტული დარტყმების ყველაზე დიდი მოლოდინი ვაშინგტონსა და ნიუიორკში შეიმჩნევა.

**"ჩვენ მთელ ქალაქში ანტიტერორისტულ ღონისძიებებს ვაძლიერებთ. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ ნიუ იორკი ტერორისტების უპირველესი სამიზნეა,"** - განაცხადა ნიუ იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა.


შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი ტომ რიჯი

ტომ რიჯი კი აცხადებს, რომ სადაზვერვო ინფორმაციების თანახმად, ტერორისტებმა შესაძლოა, 11 სექტემბრის მსგავსი ან ამაზე უარესი თავდასხმები განახორციელონ.

**"სადაზვერვო ინფორმაციები მიუთითებენ, რომ "ალ-ქაიდასგან" მომავალი საფრთხე 11 სექტემბრის შემდეგ ასეთი მაღალი არასდროს ყოფილა,"** - დასძინა ტომ რიჯმა. თუმცა, ახალშექმნილი სპეცსამსახურის შეფი იმედიანად არის განწყობილი და დარწმუნებულია, რომ აშშ-ს მოსალოდნელი ტერაქტების აღკვეთის ძალა შესწევს.

პირველად, აშშ-ში უსაფრთხოების დონე "ნარინჯისფრად" ამა წლის მაისში შეფასდა, როდესაც "ალ-ქაიდამ" სისხლიანი ტერაქტები საუდის არაბეთსა და მაროკოში განახორციელა.



უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

## ტაბუ

**მთავრობები წიგნს არ კითხულობენ. მთავრობები წიგნს აღარ კითხულობენ.**

**თუ აქამდე რამე წაუკითხავთ და უსწავლიათ, უკვე გამოიყენეს კიდეც. წიგნებს კი არა, გაზეთებსაც აღარ კითხულობენ. ამისთვის საგანგებოდ გამოყოფილი ადამიანები ჰყავთ. თუმცა, ისინიც ნაწილობრივ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას – მხოლოდ სალანძღავი ფრაზები მიაქვთ თავიანთ უფროსებთან.**

**არ ვიცი, ყველა ქვეყანაში ეგრეა თუ მარტო ჩვენია ეგეთი უკუღმართი.**

**ჩვენთან, მაგალითად, შეიძლება ის, რაც არ შეიძლება და არ შეიძლება ის, რაც შეიძლება.**

**აქ შეიძლება დაუსჯელად დადიოდნენ ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანების მკვლელები, შეიძლება უპენსიოდ მიატოვონ მარტოხელა მოხუცები, მაგრამ არ შეიძლება ერთი ჩვეულებრივი, საშუალო ფეხბურთელის დაპატიმრება, რომელიც ხაზინის ქურდობაში და, ფაქტობრივად, ზემოხსენებული მოხუცების უპენსიოდ დატოვებაშია ექვმიტანილი. სამაგიეროდ, შეიძლება თქვან და აღტაცებითაც ამბობენ, ნახეთ, რა კარგი ქვეყანააო, როცა დიდი სლემის 21-გზის გამარჯვებულის შტეფი გრაფის მამას ციხეში სვამენ გადასახადის დამალვისთვის; მაინცდამაინც დიდი პროტესტის გრძნობა არც მაშინ ეუფლებათ, როცა მსოფლიოში საუკეთესო მოკრივეს, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ვიღაც ბოზი ჩაუგორდა ლოგინში, ხუთწლიან პატიმრობას უსჯიან.**

**ჩვენთან საოცრად დიდ პატივშია ტაბუ. სულ ერთია, მოვლენას ეხება ეს, კერძო პირს, ადამიანთა ჯგუფს თუ მთლიანად სახელმწიფოს.**

**წინასწარ თავს დავიზღვევ და ვიტყვი, რომ არაფერ ცუდის თქმას არ ვაპირებ, მაგრამ ტაბუდადებული სახელებია, მაგალითად, რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონი... ტაბუდადებული ფაქტია მეფე თეიმურაზის ოცდაათიათასიანი ლაშქრის დამარცხება შაჰ-აბასის ათიათასიან ჯართან, ტაბუდადებული ფაქტია სამასკაციან წარჩინებულ აფხაზთა შეიარაღებული რაზმის შეურაცხყოფა ნოე ჟორდანიას მთავრობის მიერ – სოციალური წარმოშობის მოტივით უარი რომ უთხრეს ქართულ ჯარში მიღებაზე. ტაბუდადებული ფაქტია ქართული ჯარის მოღალატური გამობრუნება უკან, როცა ერთადერთი და უკანასკნელი რუსული დივიზია აზერბაიჯანელებსა და ქართველებს ერთობლივად უნდა გაეძევებინათ ამიერკავკასიიდან. ტაბუდადებული თემა იყო აქამდე ასლან აბაშიძე და აჭარა. აგერ უკვე მესამე საუკუნეა, ტაბუ ადევს რუსეთს.**

**საქართველო ტაბუების ქვეყანაა და იმიტომაც არის კარგად ჩვენი საქმე.**

**ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, დღევანდელ საქართველოში, ბევრი თუ არა, რამდენიმე ქალი მაინც იქნება, ჭკუით და საზრიანობით თამარ მეფესაც რომ აღემატება, მაგრამ აბა, ბიჭი ხარ და ხმამაღლა თქვი!**

**ერთი მაგალითი კი, როგორც არ უნდა გამიწყრნენ ტაბუს მიყვარულები, მაინც უნდა ვთქვა.**

**იაკობ გოგებაშვილს მთლიანად "დედა ენისა" კი არა, მარტო "აი ია"-სთვის საქართველოს ყველა სოფელსა და ქალაქში ეკუთვნის ძეგლის დადგმა. ორი ასოთი წინადადების მოფიქრება შეუძლებელია. მოფიქრებაა შეუძლებელი, თორემ გენიალური მიგნება, თუ გნებავთ, გამოგონება კი ნამდვილად არის.**

**აი, ამ გენიალურ კაცს თავის "დედა ენაში" აქვს პატარა მოთხრობა, რომელსაც სიამოვნებით ამოვიღებდი წიგნიდან. საუბარია მწყემსი ბიჭის ამბავზე, მგელი, მგელიო, სამჯერ რომ მოატყუა სოფელი. აი, ამ ტყუილისა და, თუ გნებავთ, ხულიგნობის გამო სოფელმა ბიჭს, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მართალია, ეს ლიტერატურული განაჩენია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა აკრძალულია, ერთი, აი, იმ მწყემსის თანატოლის თქმისა არ იყოს, მობეზრდა მარტო ყოფნა, ხმის გამცემი მოენატრა და იმიტომ ეძახდა სოფელსო, აი, ამისთვის მწყემსი ბიჭის სასიკვდილოდ გამეტება მეტისმეტად მკაცრი სასჯელი ხომ არ არის?!**

**ახლა ამას, გნებავთ, ლიტერატურული დაარქვით, გნებავთ, ვირტუალური, სასჯელი სასჯელია და ჩემი პროტესტიც, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ქართველის მისამართით არის გამოთქმული, არა მგონია, უსაფუძვლო იყოს.**

**ეს მკვეთრი მაგალითი მხოლოდ იმისთვის დამჭირდა, რომ დანარჩენი შედარებით იოლად მოსანელებელი გავხადო.**

**ძალიან ცუდად და, როგორც ახლა ამბობენ, არაადეკვატურად ვიქცევით. ნორმალურ, ჭკვიან ადამიანს ხან გენიოსად ვაქცევთ, ხანაც ტალახში ამოვსვრით, გენიოსი კი ან ქვეყნიდან უნდა გავაქციოთ, ანდა, სულაც კერპად დავისვათ. ტაბუს ვადებთ იმას, რაც სულაც არ საჭიროებს ამას და გულგრილი და შემწყნარებელი ვხდებით იმის მიმართ, რაც ნამდვილად ასაკრძალავია.**

**ამას წინათ შაშიაშვილმა თქვა, თუ ასლან აბაშიძე არ ჩაატარებს არჩევნებს, მეც უარს ვიტყვიო. აქედან მხოლოდ ის გამოდის, რომ ასლან აბაშიძე ყოფილა საქართველოს პარლამენტიცა და პრეზიდენტიც, იმისი ნება ყოფილა საქართველოს პრეზიდენტის არჩევა-არარჩევა.**

**ამ დღეებში კიდევ ერთი ტაბუ გამოჩხრიკეს. თურმე, ბათუმში სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ჩვენ, ყველამ, პირში წყალი უნდა ჩავიგუბოთ, ემანდ რამე არ ეწყინოს გამოგონებული ავტონომიის გამოგონებულ უფროსს და პირთამდე სავსე ქვაბს წიხლი არ გვიკრასო.**

**ჩვენთან ტერაქტებიც კი არ არის ისეთი, როგორიც ყველგან. მართალი თუ გინდათ, ეს ტერაქტებიც არ არის და მინების ისეთი მსხვრევაა, უფრო ჩარლი ჩაპლინის ფილმს მაგონებს – პატარა მაწანწალა შურდულით მინებს რომ ამტვრევს, კვალდაკვალ კი ჩარლი მოჰყვება – აბა, მინები ჩავსვათ, მინებიო! ლამის პოლიციას ვურჩიო, მეშუშეთა შორის ეძებოს დამნაშავე.**

**როგორიც ერი, ისეთი ბერიო. კარგი იქნება, ვცდებოდე, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლებაც კიდევ კარგა ხანს დარჩება საკუთარი ხალხის ჰიპნოზის ქვეშ. ცხადია, ხალხის ნების უგულებელყოფა არ შეიძლება, მაგრამ არც ხალხის დუდუკზე ცეკვა მოიტანს სიკეთეს. აი, ჩვენი მედიისა და პრესის დიდი ნაწილიც "ხალხის შეკვეთას" ასრულებს და იმიტომაც არის სავსე კროსვორდებით, ჭორებითა და პორნოთი. საერთოდ, ადამიანი ან მოვლენა მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა ყურადღებას მიაქცევ. მეტი ყურადღებით მნიშვნელობაც შესაბამისად იზრდება. ამ მოსაზრების მართებულობა ძალიან კარგად ჩანს თუნდაც თბილისისა და ბათუმის მრავალწლიან ურთიერთობაზე და არა მარტო ამ მაგალითზე.**

**ზევით "დედა ენა" და "აი ია" ვახსენე. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ეს იყო გენიალური გამოგონება. თვითონ გამომგონებელს კი საოცარი ფანტაზია უნდა ჰქონოდა. და საერთოდაც, ყველაფერი, რაც კი გაკეთებულა დედამიწაზე, ცეცხლიდან და ბორბლიდან მოყოლებული, მეოცნებე ხალხის, ეგრეთ წოდებული "ფანტაზიორების" დამსახურებაა. ნამდვილად არ მახსოვს, ვინ** [illegible]

# საახალწლო ფსიქოთერაპია

თამარ დვალი

*მათ, ვისაც თავისუფლების მოედანზე ღამისთევის ნოსტალგია გაუჩნდა, შესაძლებლობა ეძლევათ, ახალი წლის ღამე, გრანდიოზული სანახაობის ფონზე, ღია ცის ქვეშ გაატარონ. ღონისძიების ოფიციალური ნაწილი 31 დეკემბერს, 22 საათსა და 30 წუთზე საზეიმო ფეიერვერკებით დაიწყება და დილის ოთხ საათამდე გასტანს. პროექტის დირექტორმა ზაზა შენგელიამ საგანგებოდ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ მსგავსი მასშტაბური ღონისძიება საქართველოში ჯერ არ გამართულა და რომ იგი საზოგადოებისთვის ერთგვარი ფსიქოთერაპიის როლსაც შეასრულებს.*



*საახალწლო პროექტის ორგანიზატორები*

**"მსოფლიოში არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, შობას სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნავენ, ხოლო ახალ წელს გარეთ, ერთობლივი ზეიმით ხვდებიან. ჩვენ გვინდა, ეს ტრადიცია საქართველოშიც დამკვიდრდეს. ახალი წლის ღამეს თავისუფლების მოედანზე გამართული გრანდიოზული ღონისძიება ქართველების ერთიანობის სიმბოლოც იქნება, რასაც ხალხის საზეიმო განწყობილებაც შეუწყობს ხელს. მსგავსი მასშტაბის ღონისძიება საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. ასეთ დღეებში რაიონები, რაღაცნაირად, ჩრდილში ექცეოდნენ ხოლმე და მხოლოდ თბილისი იყო ეპიცენტრში. ამჯერად ასე აღარ იქნება. მსგავსი ღონისძიებები გაიმართება რაიონებშიც, საიდანაც იქნება ჩართვები, "** - აღნიშნა პროექტის დირექტორმა ზაზა შენგელიამ.

გრანდიოზული პროგრამა, რომელიც სხვადასხვა გემოვნების მსმენელსა თუ მაყურებელზეა გათვლილი, მერიის შენობის წინ დაიწყება და რესპუბლიკის მოედანზე გალა კონცერტით დასრულდება. რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება გარე ვაჭრობა, იმუშავებს კაფეები, ბარები, მაღაზია "საუნჯესთან" მოეწყობა აუდიო-ვიდეო პროდუქციისა და წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

საახალწლო პროგრამა ასე გამოიყურება:

- თავისუფლების მოედანი: ოფიციალური პროგრამა.
- გრიბოედოვის სახ. თეატრი: მუსკომედიის თეატრის წარმოდგენა.
- რუსთაველის №1: მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.
- ჯანაშიას სახ. მუზეუმი: რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის საახალწლო წარმოდგენა.
- მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე: ბავშვთა საახალწლო მილოცვა "კოკა-კოლასთან" ერთად.
- კ/თ "რუსთაველი": პორტალზე ვიდეოფილმი: "ახალი წელი მსოფლიოში".
- პარლამენტი: ხალხური შემოქმედების კონცერტი.
- თბილისის პირველი გიმნაზია: სასულე ორკესტრი.
- ცისფერი გალერეა: თოჯინების თეატრის სპექტაკლი - "ბატის ჭუკი".
- კავშირგაბმულობის სამ. : ცნობილი ადამიანების ნივთების აუქციონი.
- სასტუმრო "თბილისი მარიოტი": ჯაზ-კვინტეტი.
- "ლევონ თრეველი": მარიონეტების გამოფენა.
- რუსთაველის თეატრი: კინოსა და თეატრის მსახიობთა საახალწლო მილოცვა.
- რუსთაველის თეატრის სალაროები: ყვავილების გამოფენა.
- თეატრალური ინსტიტუტი: თეატრალური წარმოდგენა.
- სამხატვრო სალონი: "ბუშტების" გამოფენა-გაყიდვა.
- ტოტალიზატორი: სამხ. აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა – "საახალწლო საჩუქარი".
- კაფე "ნიკალა": საცირკო სანახაობა.
- ოპერა: კლასიკური მუსიკის საახალწლო კონცერტი.
- კადეტთა კორპუსი: მაკა ასათიანის fashion show და dj edgar-ი.
- ცესკო-ს შენობა: როკ-ჯგუფების საახალწლო კონცერტი.
- საქინფორმის ჩიხი: სარდაფის თეატრის საახალწლო საჩუქარი.
- რესპუბლიკის მოედანი: ქართველი ესტრადის ვარსკვლავების გალა კონცერტი.

რაც შეეხება ფინანსურ საკითხს, ზაზა შენგელიას თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება, - **"ყველას აინტერესებს, თუ რა სახსრებით ვმართავთ ღონისძიებას. მინდა, განვაცხადო, რომ გარდა იმ 40 ათასი ლარისა, რომელსაც ბიუჯეტიდან ქალაქის მორთვისთვის იღებს მერია, არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება. ჩვენ დიდი მხარდაჭერა გვაქვს ქართველი ბიზნესმენებისაგან. ამ ღონისძიების ცენტრალური ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო ინიციატივათა ინსტიტუტია". ბევრმა მსახიობმა, თუ მუსიკოსმა გამოთქვა სურვილი, უფასოდ მიიღოს მონაწილეობა ამ ღონისძიებაში."**

პროექტის პროდიუსერი თიკა რუხაძეა, დამდგმელი რეჟისორი - დავით დოიაშვილი, დამდგმელი მხატვარი - მურაზ მურვანიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - ნიკა მემანიშვილი, ტელერეჟისორი - დავით გერსამია.

ღონისძიების ტექნიკური ბაზისი სამი ტელეკომპანიის მეშვეობით ხორციელდება. ესენია: "რუსთავი-2", პირველი არხი და "ტელე-იმედი".

პროექტის ორგანიზატორებმა ხალხის ტრანსპორტირებაზეც იზრუნეს. სწორედ მათი ძალისხმევით, მეტროპოლიტენი დილის ოთხის ნახევრამდე მოემსახურება მოსახლეობას, ასევე, იმუშავებს საქალაქო ტრანსპორტიც. ორგანიზატორების თქმით, ახალ წელს ქუჩაში ერთად შეხვედრის ტრადიცია მომავალ წლებშიც გაგრძელდება. შესაძლებელია, მომავალი წლიდან ღონისძიებებმა რუსთაველის გამზირიდან სხვა უბნებშიც გადაინაცვლოს. უსაფრთხოების ზომებზე ფიქრი უკვე დაწყებულია და ყველა შესაბამისი სტრუქტურა მობილიზებულია.

# ღია წერილი გაზეთ "24 საათის" რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ!

უკვე სამი კვირა გავიდა, რაც თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამაოდ ველი პასუხს ბ-ნ გურამ შარაძისაგან. ვინც იცნობს ბ-ნ გ. შარაძეს (და, ღმერთო კი მომკალი, მას ვინ არ იცნობს?!), დამეთანხმება, რომ წარმოუდგენელია მისი ამდენი ხნით დუმილი. მაშ, რა ხდება?!

პასუხი იმ უბრალო მიზეზის გამო მეჩქარება, რომ, თუ მის სიტყვას ვენდობით, ბ-ნ გ. შარაძეს ათიოდე დღეღა დარჩა საქართველოში საცხოვრებლად - ხომ გახსოვთ, როგორ დაგვემუქრა, - სააკაშვილი თუ გაპრეზიდენტდა, აქ რაღა გამაჩერებსო... ბ-ნი გ. შარაძე შესანიშნავი მკვლევარია და ნამდვილად არ მინდა, ისე გადაიხვეწოს საქართველოდან, რომ არ გაგვიმხილოს, რომელმა პროვოკატორმა მიაწოდა ინფორმაცია, თითქოს, ჩვენს უნივერსიტეტში მოვარდნენ "მაილსისა და სოროსის დაქირავებული "კმარელები" და აგდებდნენ ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძეს".

ასე რომ, ჩემი წერილი, რომელიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა 1 დეკემბერს, მხოლოდ კითხვა იყო და არა კომენტარი, მაგრამ თუ უფალი გ. შარაძე არც ამჟამად გვიპასუხებს, მაშინ კომენტარი ლოგიკურად გაკეთდება და მთელი პასუხისმგებლობა იმ პროვოკაციის საჯარო გავრცელებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა არეულობის ახალი ტალღის აგორებას, ამჟამად რუსთაველის პროსპექტზე, თავადვე დაეკისრება.

ვფიქრობ, რომ კითხვა სრულიად გასაგებად არის ჩამოყალიბებული და ასეთივე პასუხსაც ველით. შესაძლოა, უფალი შარაძე არც თქვენს გაზეთს სცემდეს პატივს და არც ამ სტრიქონების ავტორს, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტის, საქართველოში თეატრისა და კინოს ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და, საერთოდ, მაყურებლისა და მკითხველის აბუჩად აგდება არავის ეპატიება. თუმცა, ჯერ მისი პასუხია აუცილებელი, სათანადო კომენტარის გაკეთება ამ დარჩენილ ათ დღეშიც იოლად მოესწრება.

პატივისცემით,

უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. **გოგი დოლიძე.**

**P.S. დიდად დამავალებთ, თუ თქვენი რომელიმე თანამშრომელი, უბრალოდ, დაურეკავს უფალ შარაძეს და პირდაპირ სთხოვს პასუხს ჩემს კითხვაზე, რაკი მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი ისე უჭირავს, თითქოს, არ გაცნობოდეს თქვენი გაზეთის პუბლიკაციებს. ღმერთმა ნუ ქნას, იგი ისე წავიდეს ემიგრაციაში, რომ არ დაგვისახელოს იმ პროვოკატორის ვინაობა, რომელმაც მისნაირი გამოცდილი ადამიანიც კი შეაცდინა, თორემ ვინ იცის, რა ახალ "სიურპრიზებს" უნდა ველოდეთ და, ეგრე სად არის, ვეჟო?!**

*ზღვარზე*

# პროფესია: უმუშევარი

## სახელმწიფო დაკვეთის სისტემა არ ცდილობს, მიესადაგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს

მაია ურუშაძე

*ჩვენ დიდხანს მოგვქონდა თავი შეუდარებელი განათლებით - საქართველოში ყველაზე მეტი უმაღლესდამთავრებული იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მათ, ვისაც უმაღლესი განათლება არ ჰქონდა მიღებული, საზოგადოება ამრეზით უყურებდა. სახელმწიფო განათლების სისტემა კონვეიერულად უშვებდა ახალგაზრდა მასწავლებლებს, ექიმებს, ინჟინრებს, მომავალ მეცნიერებს... განსწავლულთა არმიის დასაქმებაც არ იყო პრობლემა: უზარმაზარი საბჭოთა კავშირი იყო გარანტი იმისა, რომ ეს ხალხი უმუშევარი არ დარჩებოდა. მერე იწყებოდა კარიერა: რიგითიდან წამყვან სპეციალისტამდე, 150-დან – 250- 300 მანეთამდე... ვისაც მეტი სურდა, მათ ეძახდნენ სხვაგან – ურალში, ციმბირში, ბამზე.*

ეს იყო 14 წლის წინათ. დღეს სიტუაცია შეიცვალა. დღეს ქვეყანა იმაზე გაცილებით მეტ ადამიანს აძლევს უმაღლეს განათლებას, ვიდრე საქართველოს შრომის პატარა ბაზარი ითხოვს. შედეგად, კვალიფიციური სპეციალისტების უმეტესობა (40 პროცენტი) იძულებულია, გვერდზე გადადოს დიპლომი და, თავის განათლებასთან შედარებით, უფრო დაბალანაზღაურებად სამუშაოს დასთანხმდეს. ახალგაზრდებს, რომელთაც ძვირადღირებული განათლება უცხოეთში მიიღეს, უჭირთ ამ კომპრომისზე წასვლა. შედეგად, დღეს უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს შორის უმუშევართა რიცხვი მეტია, ვიდრე იმავე კვალიფიკაციის მქონე ხანდაზმულთა შორის. არადა, უმუშევრებში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირთა შორის გაცილებით უფრო მეტი ახალგაზრდაა, ვიდრე ხანდაზმული. სამაგიეროდ, დასაქმებულ ახალგაზრდათა შრომის ანაზღაურება გაცილებით აჭარბებს ხანდაზმულთა შემოსავალს. რა არის ამის მიზეზი და რაზე მიუთითებს ეს?

როგორც დასაქმების სახელმწიფო ფონდის დირექტორი რევაზ საყვარელიძე განმარტავს, **"დღეს უმთავრესი პრობლემა ვაკანტური სამუშაო ადგილების დეფიციტია. სამუშაოზე მიღებული ყოველი ასი ადამიანიდან მხოლოდ ექვსი საქმდება ახლად შექმნილ სამუშაო ადგილზე, დანარჩენი 94 კი - ძველ, გამოთავისუფლებულ ადგილებზე. მოსახლეობის დასაქმება ძალიან დაბალი ტემპით მიმდინარეობს, არ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები."**

ამის მიზეზი ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპია. როცა ქვეყანაში ჩამკვდარია წარმოება, არ იქმნება პროდუქცია და ორიენტაცია გადატანილია იმპორტზე, რასაც ბევრი მუშახელი არ სჭირდება, ახალი სამუშაო ადგილებიც არ არის საჭირო. ამ დროს კი კადრები მოდიან: **"საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი დარღვეულია: არის დიდი მიწოდება, მოთხოვნა კი ნაკლებია. ჩვენთან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი ძალიან ბევრია და მათი დასასაქმებელი სამუშაო ადგილები არასდროს არ იქნება. არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ არის შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე კადრების ასეთი დიდი მიწოდება,"** – ამბობს საყვარელიძე.

ამასთან, საქართველოს შრომის ბაზარზე დღეს კადრების მოთხოვნა ორი სახით – მანიფესტირებულად და არამანიფესტირებულად, ხდება. პირველ შემთხვევაში დამქირავებელი ოფიციალურად აცხადებს ვაკანსიის თაობაზე, მეორე შემთხვევაში კი დროსა და სახსრებს ზოგავს და საჭირო კადრებს ახლობლებს შორის ეძებს. დამქირავებელს ამ დროს თავისი მოტივაცია აქვს. ის არ ენდობა დასაქმების სამსახურებს, განცხადების გამოქვეყნებას კი ერიდება: ერთი კონკრეტული ვაკანსიის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებას შეიძლება გამოეხმაუროს ასობით სხვადასხვა პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანი, რომელიც "ისე, ბედს ცდის" და ამით დამქირავებელს დროისა და ფინანსურ რესურსებს ართმევს. ეს დასაქმების დაბალი კულტურაა, რომლის გამოც, ჩვენთან შრომით ბაზარზე მუშახელის მოთხოვნა არამანიფესტირებულად ხდება და, შედეგად, მაღალკვალიფიციური განათლების მქონე ახალგაზრდების დასაქმების შანსები მცირდება.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდები, ძირითადად, იმ სფეროებში საქმდებიან, სადაც რეფორმები უკვე გატარებულია. ესენია ქვეყნის საბანკო, სადაზღვევო, საფინანსო სექტორები, სადაც ახალი ტიპის სასწავლებლების მიერ ახლებურად მომზადებული კადრები სჭირდებათ.

დანარჩენ სფეროებში დამქირავებელთა აზრი, ჯერჯერობით, ორად იყოფა. ზოგი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა კადრების მოსვლა ახალი სისხლის გადასხმაა ძველი სისტემისათვის და, შესაბამისად, დადებითი მოვლენაა. თუმცა, ხანდაზმული საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდებს გამოცდილება აკლიათ და ამიტომ, სრულფასოვანი განათლების მიუხედავად, მათთვის სერიოზული პასუხისმგებლობის დაკისრება სწორი არ უნდა იყოს.

თუმცა, ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის, თემურ ბასილიას აზრით, იმის თქმა, რომ ახალგაზრდა კადრებს გამოცდილება არ აქვთ და ისინი საქმეს ვერ გააკეთებენ, არასწორია: **"თუ რაღაც საქმე არ აკეთა ადამიანმა, ის გამოცდილებასაც ვერ მიიღებს. მაგრამ, მარტო ცოდნა არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ახერხებს ადამიანი მიღებული ცოდნის გამოყენებას და რამდენად შეძლებს მოცემულ მომენტში, მოცემულ სიტუაციაში, ალღო აუღოს იმას, თუ რა არის გასაკეთებელი."**

თუმცა, ფაქტია, რომ ახალგაზრდები მაინც მწვავედ აწყდებიან დასაქმების პრობლემას. ამას რევაზ საყვარელიძე იმით ხსნის, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებიდან წელიწადში 30 ათასი სტუდენტი გამოდის: **"ესენი დიპლომიანი უმუშევრები არიან. მათ სახელმწიფო ორჯერ აძლევს ფულს – ჯერ ასწავლის, მერე კი უმუშევრობის შემწეობას უხდის. ეს კი იმის შედეგია, რომ სახელმწიფო დაკვეთის სისტემა ჯერჯერობით არ ცდილობს, მიესადაგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს."**

თემურ ბასილიას შეფასებით, ეს ცოდნის ეკონომიკის იგნორირებაა. იგი იხსენებს, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ნავთობსადენის მშენებლობაზე საჭირო იყო რამდენიმე ათეული ელექტროშემდუღებელი. როგორც გაირკვა, საჭირო კვალიფიკაციის კადრი მთელ საქართველოში მხოლოდ რამდენიმე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მაღალკვალიფიციური შემდუღებელი ბევრი აღმოჩნდა, ბაზრის მოთხოვნამ მათ კვალიფიკაციას გადააჭარბა. **"ეს მიუთითებს, რომ სამსახურის მისაღებად არ არის საკმარისი მარტო კვალიფიკაცია, საჭიროა შრომის ბაზართან ადაპტაციაც. შეიძლება იყო მაღალკვალიფიციური რაღაც სფეროში, მაგრამ ბაზარი მოცემულ დროს, მოცემულ ადგილას, ამ პროფესიონალიზმს არ ითხოვდეს. შეიძლება უფრო მაღალი კვალიფიკაციის იყო, ვიდრე საჭიროა და სამუშაოზე ამის გამო არ მიგიღონ,"** – აცხადებს ბასილია.

სად არის გამოსავალი?

რევაზ საყვარელიძე პრობლემიდან თავის დაღწევის გზას ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში ხედავს: **"ამ მიზნით, სახელმწიფომ მცირე ბიზნესს ხელი უნდა შეუწყოს. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს უმუშევართა პროფესიული მომზადება-გადამზადება."**

მისი აზრით, ყველაზე უკეთ ამაში სახელმწიფო დაკვეთის სისტემას შრომის ბაზრის სისტემატური კვლევა და მეწარმეებთან თანამშრომლობა დაეხმარება, რომელთაც ძალუძთ შესაბამისი ინფორმაციების მიღება. მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომ ეკონომიკა ვითარდებოდეს, შედეგად კი იქმნებოდეს ახალ-ახალი სამუშაო ადგილები. **"თუ წარმოების სტიმულირება არ მოხდა, რაც უნდა გაკეთდეს, უმუშევრობა მაინც მაღალი იქნება,"** – აცხადებს საყვარელიძე.

ბუნებრივია, ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ იმ ახალგაზრდების წინაშე დგას, რომლებიც ძვირადღირებულ, ახლებური ტიპის განათლებას მიიღებენ, მოგვიანებით კი აღმოჩნდება, რომ, თურმე, მათი პროფესიონალიზმი ამ ქვეყანაში არავის სჭირდება.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

*ორი სიტყვით*

## ვიდალი

გამოვიდა სამკურნალო პრეპარატების კრებული ქართულ ენაზე, რომლის პრეზენტაცია გუშინ გაიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. კრებულში შესულია ყველა ის პრეპარატი, რომელიც საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე იყიდება. პრეზენტაცია წარმომადგენლობითი იყო და თავად მინისტრი ამირან გამყრელიძე უძღვებოდა.

"ვიდალის კრებული ცნობილია მთელ მსოფლიოში და ძალიან სასიხარულოა, რომ წელს ჩვენს ექიმებს საშუალება მიეცათ, ქართულ ენაზე მიიღონ ეს შესანიშნავი ცნობარი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიოს წამყვანი ფარმაცევტული კომპანიების საქართველოს წარმომადგენლობებმა. სწორედ მათი დამსახურებაა კრებულის ხელმისაწვდომობა, რისთვისაც ყველას მადლობას მოვახსენებ," – განაცხადა მინისტრმა.

*24 საათი*

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს მთავრობა საქართველოში "ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამის" განხორციელებას 2004 წელს დაასრულებს. 6-წლიანი დახმარების შემდეგ აშშ-ს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ უმწეოთათვის ელექტრომომარაგების პრობლემები უკვე საქართველოს მთავრობამ უნდა გადაჭრას.

როგორც დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას პროგრამის მენეჯერმა გია ჭეიშვილმა განაცხადა, აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) კონტრაქტორი "PA Consulting" შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად მუშაობს და სამინისტროს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილებას გადასცემს.

"გამოცდილების გაზიარება მომავალში სამინისტროს ამ ტიპის პროგრამების განხორციელებისთვის დასჭირდება," - განაცხადა ჭეიშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პირადობის მოწმობების გაცემა გამარტივებული წესით მიმდინარეობს. საპასპორტო განყოფილებები დილის 9-დან საღამოს 9 საათამდე მძიმე, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობენ. მოწმობები უფასოდ გაიცემა საქართველოს იმ მოქალაქეებზე, რომელთაც საარჩევნო ხმის უფლება აქვთ და არ გააჩნიათ გამოყენებისათვის ვარგისი პირადობის მოწმობები, ან დაკარგეს აღებული პირადობის მოწმობა.შს საპასპორტო-სავიზო განყოფილებებს 20-21 დეკემბერს პირადობის მოწმობის მიღების თაობაზე განცხადებით მიმართა 9.803 მოქალაქემ. მათგან 2.280-მა პირადობის მოწმობა უფასოდ უკვე მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 25 დეკემბრიდან 31 დეკემბრის საღამომდე თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტორები საგანგებო რეჟიმში იმუშავებენ. ისინი განაწილებული იქნებიან იმ ბაზრობებზე, რომლებიც საახალწლოდ დედაქალაქში ამოქმედდება და პროდუქციის ხარისხს გააკონტროლებენ. საახალწლოდ, როგორც ყოველთვის, აკრძალული იქნება კუსტარულად დამზადებული ბოსტნეულის კონსერვების, შებოლილი ხორცპროდუქტების და თევზის რეალიზაცია, რადგან ეს პროდუქცია ტექნოლოგიური პროცესების და სანიტარიული ნორმების დარღვევით მზადდება და ჯანმრთელობისთვის მავნე მიკროორგანიზმებს შეიცავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი წლის ღამეს თბილისში, რუსთაველის გამზირზე და რესპუბლიკის მოედანზე დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებთან დაკავშირებით, მეტროპოლიტენი 03.30 საათამდე იმუშავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუჩების არასახარბიელო მდგომარეობაზე, თბილისის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის შეფასებით, საახალწლო ბაზრობებიც ახდენს ზეგავლენას. ამჟამად ყველაზე მწვავე მდგომარეობაა შექმნილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ცენტრალური სუპერმარკეტის, ვაგზლის მოედნის და ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიებზე, არანაკლებად დაბინძურებულია სხვა ადგილებზე მოწყობილი ბაზრობების მიდამოებიც. საახალწლოდ სანიტარიული სამსახური ყველა გამგეობას მიმართავს, თავიანთ რაიონებში დაბინძურებული ადგილების დასუფთავებაზე იზრუნონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება „ინჟმშენმა," შესაძლოა, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლოს. „ინჟმშენს" წელს თბილისში გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების საფასური 674 ათასი ლარი ცენტრალურ ბიუჯეტიდან, დაპირების მიუხედავად, ჯერაც არ მიუღია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პედაგოგთათვის მეორე ეტაპზე დარიგებული ბუნებრივი აირის ვაუჩერების მიღება შეჩერებულია, რადგან თბილისის მერიამ ვაუჩერების ფინანსური უზრუნველყოფა ვერ შეძლო.

მიმდინარე წლის დასაწყისში, I ეტაპზე დარიგებული ვაუჩერების თანხები თბილისის მერიას გადარიცხული აქვს. თუმცა, ვაუჩერების მიღება მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ არის შესაძლებელი, ვინაიდან, აბონენტთა მომსახურების სამსახურის განცხადებით, არის ვაუჩერების გაყიდვის შემთხვევები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პირველი კლასიკური გიმნაზია ყოველწლიურ ტრადიციას არღვევს და, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შიდასასკოლო საახალწლო ღონისძიების გამართვაზე უარის თქმას აპირებს. როგორც გიმნაზიის დირექტორმა ლიანა შეწირულმა განაცხადა, დედაქალაქში ბოლო ორი კვირის განმავლობაში გახშირებული ანონიმური სატელეფონო ზარებისა და შემდეგ საგანმანათლებლო ობიექტებში აღმოჩენილი „ცრუ ნაღმის" საბაბით, გიმნაზიის დირექციის გადაწყვეტილებით, წელს საახალწლო ღონისძიება არ გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი გურამ შარაძე ქმნის ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას – შ.პ.ს "საქართველოს რკინიგზის" დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის აკაკი ჩხაიძის დაცვის ორგანიზაციას" და მიმდინარე კვირის ბოლოს მის რეგისტრაციაში გატარებასაც აპირებს. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** რუსთავში, ე.წ. ინტერნატების დასახლებაში მკვლელობა მოხდა. ორი ნიღბიანი და შეიარაღებული პირი ძარცვის მიზნით შეიჭრა საცხოვრებელ ბინაში, [illegible] წინააღმდეგობა გაუწია. თავდამსხმელებმა სანადირო თოფის გასროლით ადგილზე მოკლეს 62 წლის გერონტი ქართველიშვილი. მისი მეუღლე კი შოკურ მდგომარეობაში იმყოფება. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მისი დაკითხვა ვერ ხერხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ტყიბული.** გუშინ ტყიბულის რაიონის სასამართლოს თანამშრომლებს შენობა გაქურდული დახვდათ. დაუდგენელმა პირებმა შენობაში ფანჯრიდან მოახერხეს შესვლა, საიდანაც იაპონური წარმოების გენერატორი მოიპარეს. ქურდები სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს არ შეეხნენ. ტყიბულის პოლიციის განცხადებით, ამ დროს რაიონულ სასამართლოს დარაჯი იცავდა, რომელსაც არაფერი გაუგია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**საგარეჯო.** საგარეჯოს რაიონის სოფელ [illegible], ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი პირი ლიანა მენგელაის ოჯახს თავს დაესხა, სადაც სტუმრად იმყოფებოდა თბილისიდან ჩასული ოჯახის ახლობელი ლალი მიქელაძე. ყაჩაღებმა მიქელაძეს ძალის გამოყენებით წაართვეს 800 აშშ დოლარი, 700 ლარი და "სიმენსის" ფირმის მობილური ტელეფონი. [illegible] პოლიციამ ყაჩაღობის ფაქტი გუშინ გახსნა და ერთ-ერთი ყაჩაღი - 20 წლის შოთა [illegible] დააკავა. ასევე დადგინდა დანარჩენის ვინაობა. ისინი [illegible] - 19 წლის ლევან [illegible], 21 წლის დავით თავაძე და 23 წლის პაატა [illegible] არიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ სოფელ [illegible] ქურდული სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, ნასამართლევი, 18 წლის რომან [illegible] დააკავა. [illegible] სამართალდამცავებმა ამოიღეს ავტომატი "აკს" ორი მჭიდით და 55 ვაზნი, ხელყუმბარა "ფ-1", 12,6 გრამი მარიხუანა და ნიღაბი. [illegible] "ვაზ 2110" [illegible] **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ მცხეთის რაიონის [illegible] დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ამოხსნა: თბილისის მცხოვრებნი, ადრე ნასამართლევი, 40 წლის გოჩა ჯანელიძე, ასევე ნასამართლევი, 41 წლის [illegible] კუბატაძე, ადამიანის გატაცებისთვის ნასამართლევი, 45 წლის ამირან კობიძე და ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 25 წლის ლელა სვანიძე.

აღნიშნულმა პირებმა 25 აგვისტოს მოახდინეს ყაჩაღური თავდასხმა თბილისში მდებარე "სპორტკომიტეტის", ხოლო 27 ნოემბერს - სს "რუსთავგაზის" ოფისებზე.

ჯანელიძის ბინიდან ამოღებულია უნომრო პისტოლეტი "ივერია", ხოლო კობიძის ბინიდან - ტელევიზორი "LG", მუსიკალური ცენტრი, სს "რუსთავგაზის" შტამპიანი ბეჭედი, ბუნებრივი აირის მრიცხველი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩის N10-ის სადარბაზოსთან აღმოაჩინეს 57 წლის ნოდარ ქათამაძის გვამი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა. გუშინვე გამსახურდიას გამზირის N31 სახლთან ჯერჯერობით დაუდგენელი, 55-60 წლის მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გარეგნული დათვალიერებით ძალადობის ნიშნები მასაც არ აღენიშნება. კიდევ ერთი გარდაცვლილის გვამი 20 დეკემბერს, კახეთის გზატკეცილზე, მე-17 კორპუსთან იპოვეს. ჯერჯერობით დაუდგენელი მამაკაცის სავარაუდო ასაკი 35-40 წელია. ძალადობის ნიშნები მასაც არ აღენიშნება. წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვლილთაგან არც ერთს მუდმივი საცხოვრებელი სახლი არ ჰქონდა და, სავარაუდოდ, მათი გარდაცვალების მიზეზი ყინვა გახდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, საგზაო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, 19 წლის თემურ უფლისაშვილი გუშინ ავტომანქანის გატაცების ბრალდებით დააკავეს. მან ქარელელ მიხეილ კანდელაკის „ვაზ-2107"-ის მარკის ავტომანქანა ბათუმის ქუჩიდან მოსტაცა. გამტაცებელი ცხელ კვალზე დააკავეს და გატაცებული ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნეს.

საქმეს იძიებს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგამოძიებო სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამარშრუტო ტაქსი „ფორდ-ტრანზიტის" გატაცების ბრალდებით პოლიციელებმა ორი თბილისელი — 31 წლის ალიკ აბრამიანი და 34 წლის ელიზბარ კიკვილაშვილი დააკავა. ეს ოპერაცია პოლიციამ მას შემდეგ ჩაატარა, რაც 18 დეკემბერს ყაჩაღებმა თბილისი-მცხეთის გზის დასაწყისში გურჯაანელ, 48 წლის ილია ძამუკაშვილს მოკვლის მუქარით მოსტაცეს მისი კუთვნილი სამარშრუტო ტაქსი. კიკვილაშვილსა და აბრამიანს დაკავებისას ჩამოართვეს 0.09 გრ ჰეროინი, უცხოური წარმოების პისტოლეტი და დანა. გამოძიებამ დაადგინა, რომ აბრამიანს სხვა დანაშაულიც აქვს ჩადენილი. მან 27 ნოემბერს, „დიდუბის" მეტროს მიმდებარე ტერიტორიიდან, რუსთაველი ნუგზარ პეტრიაშვილის ასევე სამარშრუტო ტაქსი „ფორდ-ტრანზიტი" მოიტაცა. თავად პეტრიაშვილი გორის რაიონის სოფელ ერედვში მანქანიდან გადმოსვა, სამარშრუტო ტაქსი ცხინვალის რეგიონში გადაიყვანა და ვინმე „ალანას" 3.000 აშშ დოლარად მიჰყიდა. გამოძიების ინფორმაციით, აბრამიანმა ეს დანაშაული სხვა, ჯერჯერობით დაუდგენელ პირთან ერთად ჩაიდინა. **მედია-ნიუსი**

# ტერორიზმზე არასამთავრობო ორგანიზაციები ალაპარაკდნენ

თამარ კაციტაძე

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში შექმნილ მძიმე კრიმინოგენულ ფონს მოსალოდნელი ტერორიზმის საშიშროებაც დაემატა. სიტუაციის გართულებასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებებს აკეთებენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე თავად სამართალდამცავი ორგანოების პირველი პირებიც. მიუხედავად შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების მხრიდან მასმედიის საშუალებებით გაკეთებული განცხადებებისა მოსალოდნელი ტერორიზმის შესახებ, არც ერთი მათგანი მინიშნებასაც არ აკეთებს იმ ძალებსა თუ პიროვნებებზე, ვისი მხრიდანაც საფრთხეა მოსალოდნელი.*



*რევანშისტულ ძალებს არასამთავრობო ორგანიზაციები არ აკონკრეტებენ.*

გუშინ საქართველოში მოსალოდნელი საერთაშორისო ტერორიზმის თემას არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია "მოძრაობა ღირსეული მომავლისათვის" გამოეხმაურა და, სამართალდამცველთაგან განსხვავებით, განცხადებაც გააკეთა. კოალიციის წარმომადგენლებმა - მზია ალავიძემ, ირაკლი კაკაბაძემ და ზვიად ბუჩუკურმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მასმედიას გააცნეს სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაციის თავმჯდომარის გიორგი ლეონიძის მისამართით გაკეთებული მიმართვა.

**"საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ გარკვეული რევანშისტული ჯგუფები აწარმოებენ კამპანიას, რომელიც მიმართულია სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ. ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებობს საქართველოში საერთაშორისო ტერორისტული ქსელი, რისთვისაც საქართველოში შემოდის გაურკვეველი წარმოშობისა და მიზნის კაპიტალი. ჩვენი სურვილია, ღია და გამჭირვალე გზით გაირკვეს ამ კაპიტალთა შემომტანთა ვინაობა და რა მიზანს ემსახურება ეს ფული,"** - აღნიშნულია მიმართვის ტექსტში.

კონკრეტულად რა ინფორმაციას ფლობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ან ვის გულისხმობენ რევანშისტულ ძალებში, პრესკონფერენციის ორგანიზატორები არ აკონკრეტებენ.

**"მიუხედავად იმისა, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც ვფლობთ, გადამოწმებულია, ჩვენ არ გვინდა ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიოთ, ამიტომ კონკრეტულ პიროვნებებს ამ ეტაპზე არ დავასახელებთ. გვინდა, პირდაპირ ეთერში შევხვდეთ ბიზნესმენებს - ვანო ჩხარტიშვილს, ბადრი პატარკაციშვილს და უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას, რათა ტელედებატებში გაგვცენ პასუხები იმ კითხვებზე, რომელიც დღეს საზოგადოებაში არსებობს,"** – განაცხადეს მზია ალავიძემ და ირაკლი კაკაბაძემ.

ტელედებატებისთვის კოალიციის წევრებმა ტელე-რადიო კორპორაციის თავმჯდომარეს ვადა გუშინდელ საღამომდე მისცეს. იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები აპირებენ მასმედიის ყველა საშუალებით იმ მასალების გამოქვეყნებას, რაც მათ გააჩნიათ.

**"დღეს ამ ინფორმაციას იმიტომ არ ვაქვეყნებთ, რომ ტელედებატით კიდევ ერთხელ გვინდა მისი გადამოწმება. კითხვები უკვე არსებობს. თუ ჩვენ გვსურს საქართველოს ნათელი მომავალი, ყოველი ჩვენგანი უნდა პასუხობდეს იმ შეკითხვებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება,"** - ამბობს მზია ალავიძე.

რა კავშირი აქვს ტელედებატებში მიწვეულ ბიზნესმენებს საქართველოში არსებულ საერთაშორისო ტერორისტულ ქსელთან, ჯერჯერობით, უცნობია. ამასთან დაკავშირებით ირაკლი კაკაბაძე ზოგად მინიშნებას აკეთებს: **"საქართველოში მოსალოდნელი ტერორისტული აქტების უკან ცალკეული პოლიტიკოსები კი არ დგანან, არამედ ვიწრო კორპორაციულ-პოლიტიკური დაჯგუფებები, რომელთაც სურთ, საკუთარი ფინანსური სტაბილიზაციის გარანტიები პოლიტიკური გზით მიიღონ. ჩვენი აზრით, დასახელებულ პიროვნებებს შეუძლიათ, დაასახელონ ის ხალხი, ვინც ტერორისტული ჯგუფების უკან დგას,"** – ასეთია ირაკლი კაკაბაძის მინიშნება.

მიუხედავად წაყენებული ულტიმატუმისა, გუშინ ტელედებატი არ შემდგარა იმ მიზეზით, რომ ტელე-რადიო კორპორაციის თავმჯდომარე თბილისში არ იყო; თუმცა, როგორც მოგვიანებით მზია ალავიძემ გვითხრა, აღნიშნული შეხვედრა ღია ეთერში დღეს, სახელმწიფო ტელევიზიის გადაცემაში "რა ხდება?" შედგება.

# აჭარაში თავისუფალ აზრს ძალადობას უპირისპირებენ

პირველი გვერდიდან

ცნობისათვის, ორგანიზაცია "დემოკრატია და სამართლიანობა" უკვე მეორე, ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციაა. პირველს – საზოგადოებრივ კომიტეტს სათავეში თავად ლევან კაჭარავა უდგას.

ორგანიზაციის - "დემოკრატია და სამართლიანობა" – დამფუძნებელ შეხვედრაზე მათი საქმიანობის პრიორიტეტებიც გამოიკვეთა: აჭარის რეგიონში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა და აჭარაში 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების უპირობო ჩატარება. შესაბამისად, ამ ორგანიზაციის დაფუძნებით აჭარის ხელისუფლება მაინცდამაინც არ უნდა აღფრთოვანებულიყო. კაჭარავამაც მომხდარი დაუკავშირა მის მიერ აჭარის ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებსა და რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნას და პასუხისმგებლობა პირადად ასლან აბაშიძეს დააკისრა. ჯერ კიდევ მაშინ მოუწოდა ლევან კაჭარავამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერს, პატივი სცეს რეგიონში არსებულ განსხვავებული აზრის მატარებელ საზოგადოებრივ ჯგუფებს და შეაჩეროს დესტრუქციული ძალების მოქმედება.

თუმცა, დესტრუქციულმა ძალებმა გუშინ, შაბათისგან განსხვავებით, მოქმედების სხვა ტაქტიკა აირჩიეს. დილით შინიდან ეუთო-ს მისიაში, შეხვედრაზე მიმავალ ლევან კაჭარავას რამდენიმე ადამიანი დახვდა. იგი თეთრი ფერის "ფორდში" ძალით ჩასვეს და გაუჩინარდნენ. რამდენიმე საათის მანძილზე კაჭარავას ადგილსამყოფელის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. დაახლოებით დღის 4 საათზე კი იგი კვარიათში გამოჩნდა. უცნობებს კაჭარავა სასტიკად უცემიათ და კვარიათში დაუტოვებიათ.

ლევან კაჭარავას ნაამბობის თანახმად, გამტაცებლებმა მისგან მოითხოვეს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაშლა, რომლის ჩამოყალიბებაშიც მიიღო მონაწილეობა.

იგი შეშფოთებას გამოთქვამს აჭარაში თავისუფალი აზრის მქონე ადამიანთა დაუცველობის ხარისხით და აცხადებს, რომ მომხდარის შემდეგ ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ოჯახის წევრებსა და თანამოაზრეებს ხელისუფლების მხრიდან სერიოზული საფრთხე ემუქრებათ.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად კაჭარავა თხოვნით მიმართავს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს და ქვეყანაში მოქმედ ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, რათა მათ რეაგირება მოახდინონ აჭარის ხელისუფლების მხრიდან წარმოებულ ზეწოლაზე.

პირველი კაჭარავას თხოვნას საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი დებორა ჯონსი გამოეხმაურა. მან შეშფოთება გამოთქვა აჭარაში ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის ლევან კაჭარავას ცემის ფაქტის გამო და იმედი გამოთქვა, რომ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები აჭარაში აუცილებლად ჩატარდება.

ჯონსი დარწმუნებულია, რომ ასლან აბაშიძე გაითვალისწინებს საერთაშორისო საზოგადოებრიობის რჩევას და, მიუხედავად ყველაფრისა, აჭარაში 4 იანვარს საარჩევნო უბნები გაიხსნება.

# დახვრეტილთა ოჯახის წევრები "თვითმფრინავის ბიჭების" საქმის გამოძიებას ითხოვენ

*პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს "თვითმფრინავის ბიჭების" საქმეზე დახვრეტილი მღვდლის, მამა თევდორე ჩიხლაძის მეუღლე გულიკო ერისთავი და ამ მოთხოვნით იგი საქართველოს გენერალურ პროკურატურასაც მიმართავს.*



*"თვითმფრინავის ბიჭების" საქმე კვლავ ამოტივტივდა.*

**"ედუარდ შევარდნაძეს ბრალს ვდებ უდანაშაულო მამა თევდორეს დახვრეტაში; ჩემი ოჯახის მიმართ წლების მანძილზე განხორციელებულ ტერორში; ჩემი ქალიშვილის, ეკა ჩიხლაძის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტერორში; პირადად ჩემს წინააღმდეგ განხორციელებულ ავტოკატასტროფაში, რომელსაც ღვთის წყალობით გადავურჩი. მე წლებია, ამ მოთხოვნას ვაყენებ, მაგრამ - უშედეგოდ. მივმართავ გენერალურ პროკურატურას, აღძრას საქმე და ობიექტურად გამოიძიოს,"** – აცხადებს გულიკო ერისთავი და მისი ყოფილი მეუღლის - მამა თევდორე ჩიხლაძის რეაბილიტაციასა და 1984 წლის 13 აგვისტოს "თვითმფრინავის ბიჭების" საქმეზე გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის ავტორის - ედუარდ შევარდნაძის გასამართლებას კატეგორიულად მოითხოვს. **"თუ საქართველოს გენერალური პროკურატურა უარს იტყვის საქმის გამოძიებაზე, არსებობს საერთაშორისო იურიდიული პრაქტიკა და მას გამოვიყენებ, მივმართავ ადამიანის უფლებების დამცავ საერთაშორისო სასამართლოს,"** – ასეთია გულიკო ერისთავის პოზიცია. მისი ინფორმაციით, ამ მოთხოვნას უერთდებიან 20 წლის წინ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ბრძანებით დახვრეტილი ბიჭების ახლობლებიც, რომლებიც წლების მანძილზე ტერორის ქვეშ ცხოვრობდნენ.

მამა თევდორეს ყოფილი მეგობარი, მამა მურმან სულაქველიძე კი, რომელიც მამა თევდორესთან მეგობრობის გამო "კგბ"-ს ზეწოლის ობიექტი გახდარა, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო შეკრების მოწვევასა და დახვრეტილთა საეკლესიო წესით რეაბილიტაციას სთხოვს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე (20 წლის შემდეგ) საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს ჯერ 1983 წლის 18 ნოემბერს თბილისის აეროპორტში, შემდეგ კი 1984 წლის 13 აგვისტოს საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასამართლოში გამართულ დახურულ პროცესზე გათამაშებული დრამა, სადაც "თვითმფრინავის ბიჭებს" და მამა თევდორეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს, თუმცა განაჩენი წლების შემდეგ მოიყვანეს სისრულეში - მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს ექვსი წლის შემდეგ მიუვიდათ ცნობა, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი. ხელისუფლებაში ეროვნული მთავრობის მოსვლის, ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტების შემდეგ, მისივე ბრძანებით შეიქმნა "თვითმფრინავის ბიჭების" საქმის შემსწავლელი კომისია, თუმცა - უშედეგოდ. დღესაც, 20 წლის შემდეგ, ამ საქმის გასაიდუმლოებული დეტალები საზოგადოების ინტერესს იწვევს.

*24 საათი*

# "სადახლოს" დირექტორი პატიმრობაში რჩება

*საოლქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, "სადახლოს" ბაზრობის დირექტორი თამაზ სუპატაშვილი წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დარჩა. საოლქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.*

გუშინდელ სასამართლო პროცესს თავად ბრალდებული, რომელსაც იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებაში ედავებიან, არ დასწრებია, რადგან ის დიღომში მდებარე გადაუდებელ კარდიოლოგიურ ცენტრში მკურნალობის კურსს გადის.

შეგახსენებთ, სუპატაშვილს გულის მწვავე შეტევის დიაგნოზი დაუსვეს და შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორიდან საავადმყოფოში დაკავებიდან მეორე დღესვე გადაიყვანეს.

ერთი სიტყვით, საოლქო სასამართლომ გუშინ არ დააკმაყოფილა ბრალდებულის ადვოკატის შუამდგომლობა მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გაუქმების მოთხოვნით და ძალაში დატოვა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამრთლოს გადაწყვეტილება.

**"არის საშიშროება, რომ თამაზ სუპატაშვილმა საქმის გამოძიებას თავი აარიდოს, ამიტომ სასამართლო აღმკვეთ ღონისძიებას სხვა, უფრო მსუბუქი ფორმით ვერ შეცვლის,"** - ასე დაასაბუთა საკუთარი გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოს მოსამართლემ.

გუშინდელი პროცესი საოლქო სასამართლოს ეზოში შეკრებილი თამაზ სუპატაშვილის ოჯახის წევრებისა და ახლობლების საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა.

სუპატაშვილის ნათესავები მის დაკავებას შს მინისტრ გიორგი ბარამიძისგან პირად ანგარიშსწორებად აღიქვამენ. მათი განმარტებით, **"თამაზ სუპატაშვილი "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. შემდგომ ბარამიძესა და მას შორის უთანხმოება მოხდა, რომელმაც კულმინაციას 2003 წლის 13 მაისს მიაღწია, როდესაც ცსკო-თან "მოქალაქეთა კავშირის" მიტინგი მიმდინარეობდა თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით. თამაზ სუპატაშვილმა გიორგი ბარამიძე ცესკო-ს შენობაში არ შეუშვა, მაშინ ბარამიძე სუპატაშვილს დაემუქრა,"** - აცხადებენ ბრალდებულის ახლობლები. იმავეს იმეორებს "სადახლოს" ბაზრობის დირექტორის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი და სასამართლოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებს. უდანაშაულოდ მიიჩნევს თავს საავადმყოფოში მყოფი სუპატაშვილიც.

**"თამაზ სუპატაშვილი უკანონოდ არ დაუკავებიათ. მას სამართალდამცველებმა ავტომანქანის საბარგულში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი უპოვეს და, შესაბამისად, ბრალიც კანონიერად წაუყენეს. დაკავება არანაირი პირადი ანგარიშსწორების მიზნით არ განხორციელებულა. მის დაკავებას ჩემს პირად ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს,"** - აცხადებს გია ბარამიძე და "სადახლოს" დირექტორის ოჯახის წევრებისა და ახლობლების მხრიდან მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

*24 საათი*

# 15-წლიანი პატიმრობა მეტროში მომხდარი მკვლელობისათვის

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ უზენაესმა სასამართლომ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა მკვლელობაში ბრალდებულ არტურ სტეფანიანს. საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საბრალდებო დასკვნის თანახმად, სტეფანიანს ბრალი მიმდინარე წლის 30 მარტს სერგო მიმინოშვილის მკვლელობისთვის წარედგინა.

როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, სერგო მიმინოშვილი ძმასთან, ზვიად მიმინოშვილთან, რძალთან, ნინო მელაძესთან და მცირეწლოვან ძმისშვილთან ერთად, მეტრო-სადგურ "მარჯანიშვილიდან" მეტრო "ისანის" მიმართულებით მიდიოდა. როგორც მოგვიანებით დადგინდა, "თავისუფლების მოედნზე" ვაგონში ნასვამი არტურ სტეფანიანი შევიდა. იგი ჯერ ზვიად მიმინოშვილს მიუჯდა, შემდეგ კი ნინო მელაძესთან გადაჯდა. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ახალშესულმა, უცნაური მოქცევის გამო, მგზავრების ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მატარებელში მისთვის შენიშვნა არავის მიუცია.

მეტრო-სადგურ "ისანში" მიმინოშვილები ჩავიდნენ. მათ გაჰყვათ სტეფანიანიც, რომელმაც ყოველგვარი შეკამათების გარეშე, ჯიბიდან დანა ამოიღო და სერგო მიმინოშვილს გაეკიდა. ნინო მელაძე, თურმე, უცნობს იჭერდა და ეხვეწებოდა დაწყნარებულიყო, მაგრამ იგი გაიქცა და სერგო მიმინოშვილს დანა გულ-მკერდის არეში დაარტყა. შემდეგ სტეფანიანი მეორე ძმას მიუტრიალდა და მისი დაჭრაც მოინდომა, თუმცა ზვიად მიმინოშვილს მხოლოდ ქურთუკი გაეჭრა. სერგო მიმინოშვილი კი საავადმყოფოში გადაყვანამდე, გზაში გარდაიცვალა.

ამის შემდეგ სტეფანიანი გაიქცა. მეტროს თანამშრომლების ჩვენებების მიხედვით, მას სხვა პიროვნებაც ახლდა, რომელიც ჩხუბში არ ჩარეულა.

დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით, თავდაპირველად, საქმე თბილისის რეგიონალურ სატრანსპორტო პროკურატურაში აღიძრა, მოგვიანებით კი იგი საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გადაიგზავნა.

თითქმის ერთი თვის განმავლობაში საქმე გაუხსნელი იყო, მაგრამ როგორც პროკურორმა გურამ დანელიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ოპერატიული სამსახურის და გამოძიების სწორი მიმართულებით მუშაობის შემდეგ, 23 მარტს არტურ სტეფანიანი დააკავეს.

გამოძახების შემდეგ სტეფანიანი პროკურატურაში საკუთარი ნებით გამოცხადდა. მოწმის სახით დაკითხვისას და, საერთოდ, გამოძიების პროცესში სტეფანიანი მკვლელობის ფაქტს უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ მკვლელობის ღამეს იგი თავისი ძმის ფეხსაცმელების საწარმოში იყო და სახლში, ძმასთან ერთად, ტაქსით დაბრუნდა. აღნიშნული ვერსიის დასამტკიცებლად, დაცვის მხარემ რამდენიმე მოწმეც დაასახელა. თუმცა, დაკითხვისას თითოეული მოწმე ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს ანვითარებდა. მაგალითად: თავდაპირველად თავად სტეფანიანი აღნიშნავდა, რომ საამქრო "აფრიკის" დასახლებაში იყო. გადამოწმებით დადგინდა, რომ მის ძმას აღნიშნულ დასახლებაში არანაირი საამქრო არ ჰქონდა და იგი ავლაბარში მათი სახლის გვერდით მდებარეობდა. ამასთან, ბრალდებულის მეორე ვერსიის თანახმად, იგი მკვლელობის ღამეს მეგობართან ფეხბურთის სანახავად წავიდა, რაც დასახელებულმა მეგობარმა არ დაადასტურა. ერთ-ერთი ახლობლის ჩვენებით კი, სტეფანიანს პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა და მას ღამღამობით მეტროთი უყვარდა სიარული, რა დროსაც რამდენჯერმე ჩხუბიც მოუვიდა.

გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, გამოძიებას სტეფანიანის დაკავების უტყუარ არგუმენტად აქვს თავად დაზარალებულთა ჩვენებები და ამოცნობა. ზვიად მიმინოშვილმა, ნინო მელაძემ და მათმა მცირეწლოვანმა შვილმაც ამოცნობისას განაცხადეს, რომ სწორედ სტეფანიანმა მოკლა სერგო მიმინოშვილი. ამასთან, მიმინოშვილის, მელაძის და სტეფანიანის ტანსაცმელზე ჩატარებულია ბოჭკოვანი ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულების ტანსაცმელზე ნამდვილად აღმოჩნდა სტეფანიანის ტანსაცმლის ბოჭკოები. ეს კი იმას ადასტურებს, რომ მკვლელობის ღამეს სტეფანიანი ნამდვილად იყო მეტროში.

ამ და სხვა მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ, სატრანსპორტო პროკურატურამ გამოძიება დაასრულა და საქმე შემდეგი განხილვისთვის უზენაეს სასამართლოში გადაგზავნა. მართალია, სტეფანიანის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობას ამტკიცებდა და უკანონო პატიმრობიდან მის სასწრაფო გათავისუფლებას მოითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა ბრალდების მხარდამჭერი პროკურორების გივი არსოშვილის და გურამ დანელიას პოზიციები გაიზიარა და სტეფანიანს 15 წლით, მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სტეფანიანის ადვოკატმა სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ სისხლის სამართლის საკასაციო პალატამ პირვანდელი გადაწყვეტილება ძალაში უცვლელად დატოვა.

# მრავალმილიონიანი კორუფციული სქემები საგზაო პოლიციაში

გიორგი ჰაჰუაშვილი
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს კანონის უზენაესობის პროგრამის დირექტორი

საქართველოში ერთ-ერთ უპირველეს კორუმპირებულ სტრუქტურად საგზაო პოლიცია მიიჩნევა, რადგან ამ სისტემასთან მოსახლეობის დიდ ფენას აქვს შეხება. ამასთან, საზოგადოებაში არსებობს ის აზრიც, რომ აქ კორუფციული პრობლემები დაკავშირებულია მხოლოდ წვრილმან კორუფციასთან და იმ დაბალჩინოსან საგზაო პოლიციელებთან, რომლებიც მოქალაქისგან ქრთამის სახით 2-5 ლარს იღებენ. არადა, ამ სისტემაში კორუფციული გზით მიღებული თანხები ათეულ მილიონობით ლარს შეადგენს.

წარმოდგენილი წერილის მიზანია, საქართველოს საგზაო პოლიციის მაგალითზე წარმოაჩინოს და გააანალიზოს კორუფციული გარიგებების კონკრეტული სქემები და გზები. ეს შესაძლებლობას იძლევა, საგზაო პოლიციის ახალი ხელმძღვანელობისა და, რაც მთავარია, ქვეყანაში შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობების პირობებში გადაიკეტოს კორუფციის გზები და გატარდეს სტრუქტურული, საკანონმდებლო და საკადრო რეფორმები სიტუაციის შესაცვლელად.

საკადრო გადაადგილებები, ე.წ. "ტეკებიდან" შემოსავლები, ავტომანქანების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის სავალდებულო დაზღვევა და ამ სისტემის სხვა სფეროები საკმაოდ დიდ კორუფციულ გარიგებებთან არის დაკავშირებული. მაგრამ, ამჟამად მოცემულია მხოლოდ ის კორუფციული სქემები, რომლებზეც შესაძლებელია კონკრეტული თანხობრივი მონაცემების წარმოდგენა.

## არაკანონიერი დაჯარიმების სისტემიდან - პირამიდულ სისტემამდე

ერთ-ერთი საკვანძო და მნიშვნელოვანი მომენტია საგზაო პოლიციელისა და მის მიერ დარღვევისთვის გაჩერებული მძღოლის კორუფციული ურთიერთობა, როდესაც საჯარიმო ქვითარი ოფიციალურად აღარ იწერება და შედარებით ნაკლებ თანხას მძღოლი ხელზე იხდის. ამგვარი "წვრილმანი" კორუფციული გარიგებებიდან შემოსული თანხის ნაწილს ქვემდგომი თანამშრომლები ზევით გზავნიან და, შესაბამისად, კარგად აწყობილი პირამიდული სისტემა მუშაობს.

2002 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ოფიციალური ჯარიმის სახით ამოღებულ იქნა მილიონ შვიდას ათასამდე ლარი. საქართველოში მოქმედია, ანუ ტექნიკურ დათვალიერებას გადის 300 ათასამდე ავტომობილი. გამოდის, რომ თითოეული ავტომობილის მძღოლი წელიწადში ოფიციალურად იხდის საშუალოდ 6 ლარს. გამოკითხული მძღოლები აღნიშნავენ, რომ ჯარიმდებიან როგორც ოფიციალურად, ისე კორუფციული გზით, არაოფიციალურად, თვეში დაახლოებით ერთხელ-ორჯერ მაინც, ხოლო სამარშრუტო ტაქსები - კვირაში ერთხელ მაინც. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ოფიციალურად მინიმალურადაც რომ დაჯარიმებულიყვნენ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მინიმალური გადასახადი არის 5 ლარი), მაშინ თვეში საშუალოდ 10, ხოლო წელიწადში 120 (და არა 6 ლარი) ლარამდე მაინც უნდა გადაეხადათ. უბრალო არითმეტიკიდან ჩანს, რომ ამოღებული მილიონ შვიდასი ათასის ნაცვლად, ბიუჯეტში შესატანი უნდა ყოფილიყო 20-ჯერ მეტი. თუ ამ თანხას გავანახევრებთ (რადგან კორუფციული გარიგებით, დაახლოებით ორჯერ ნაკლებ თანხას იღებს საგზაო ინსპექტორი), მაშინ გამოდის, რომ არაოფიციალური დაჯარიმებიდან შავი ფული, სულ ცოტა, 17 მილიონს აღწევს, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია.

საინტერესოა, რომ დამატებით მარტო თბილისში ერთი ხაზის სამარშრუტო ტაქსები კრეფენ გარკვეულ თანხას (ერთ მანქანაზე 2-3 ლარის ოდენობით) ყოველთვიურად და ამ თანხას გადასცემენ იმ პოლიციელების ხელმძღვანელებს, რომლებიც სტაბილურად მორიგეობენ ამ მონაკვეთზე. რეალობიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო თბილისში 7 ათასამდე მოქმედი სამარშრუტო ტაქსია, მხოლოდ ამ მარტივი კორუფციული სქემით (თუნდაც მხოლოდ ლარის გადახდა თითოეულ სამარშრუტო ტაქსზე) დღეში გროვდება 14 ათას ლარამდე, რაც თვეში, სულ ცოტა, 400 ათასი, ხოლო წელიწადში 5 მილიონ ლარამდეა.



ზაურ გულაშვილის ფოტო

საგზაო პოლიცია საზოგადოებას კორუმპირებულ სტრუქტურად მიაჩნია.

## სანომრე ნიშნები

მარტო 2002 წელს გაცემულია 35 985 ათასი სანომრე ნიშანი. თითოეულის ოფიციალური ღირებულება 28 ლარია. გამოკითხულ მძღოლთა და რესპონდენტთა ინფორმაციით, რეალურად ნომრების ასაღებად არაოფიციალური გადასახადი 55 ლარამდეა. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ კორუფციული გზით ამ სფეროდან შემოსული თანხის რაოდენობაზე. კერძოდ, 2002 წელს ეს შავი ფული მილიონ ლარამდე ადიოდა.

სანომრე ნიშნების გაცემიდან მიღებული კორუფციული შემოსავლების გარდა, რამდენიმე წლის წინ შსს მინისტრის კახა თარგამაძის დროს გამოცვალეს სანომრე ნიშნები. რეალური ტენდერისა და კონკურსის გარეშე ნიშნების დამზადების უფლება მიიღო შსს-სთან დაახლოებულმა კერძო ფირმამ, რომელსაც აქედან, რა თქმა უნდა, ოფიციალური შემოსავალი უნდა ჰქონოდა. ამავე დროს, სანომრე ნიშნების რეალური თვითღირებულებაა არა 28 ლარი, არამედ გაცილებით ნაკლები. მისი ფასი ორჯერ მაინც არის გაზრდილი. თუ, სულ ცოტა, 6 ლარს ავიღებთ გაზრდილ თანხად (14 ლარითაა გაზრდილი, მაგრამ ამას აკლდება დღგ-ს და სხვა შესაძლო გადასახადები და ფულის გასაცოცხლებლად სხვა წვრილმანი დანახარჯები), გამოდის, რომ თვითღირებულების ხელოვნური გაზრდის გზით 300 ათასი მანქანისთვის დამატებით სანომრე ნიშნების გამოცვლაზე ერთი მილიონ რვაასი ათას ლარამდე "გაკეთდა".

## მანქანის პასპორტები

2002 წელს გაიცა 52 ათასზე მეტი ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა (პასპორტი). მისი ოფიციალური ღირებულება 26 ლარია. გამოკითხულ მძღოლთა მონაცემებით, ამ მოწმობებისთვის არაოფიციალურად ისინი 50 ლარამდე იხდიან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დაახლოებითი კორუფციული თანხის გამოთვლაც, რომელსაც ამ სფეროდან იღებენ საგზაო პოლიციის სისტემაში. კერძოდ, 2002 წელს კორუფციული შემოსავალი სარეგისტრაციო მოწმობებიდან, დაახლოებით, მილიონ ლარზე მეტს უნდა შეადგენდეს.

## მართვის მოწმობები

მართვის მოწმობის ასაღებად საკმაოდ რთული პროცედურაა გათვალისწინებული, რაც მძღოლებს კორუფციული გზით მართვის მოწმობის აღების მარტივი ხერხების ძიებისკენ უბიძგებს. ამ რთული პროცედურის გვერდის ასავლელად, უფრო ადვილია გადაიხადო 100-300 ლარი (ნაცნობობის ხარისხიდან გამომდინარე) და მართვის მოწმობა რამდენიმე დღეში ხელზე მიიღო. ასეთ დროს ხშირად საჭირო არ არის არც ჯანმრთელობის ცნობისა და არც სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტის წარდგენა (თუმცა, ეს თანხა არის მხოლოდ კატეგორიის ანუ ავტომოყვარულის მართვის მოწმობის ფასი). ე.წ. კლასის მძღოლის მოწმობის მისაღებად კი ამ ფასს კიდევ 100 ლარი ემატება თითოეულ კლასზე. რაც შეეხება D კატეგორიას (მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მართვა), იგი დამატებით 200 ლარამდე ღირს).

საგზაო პოლიციის მონაცემებით, 2002 წელს გაიცა 44 ათასამდე მართვის მოწმობა. აქედან გამომდინარე, წლიური კორუფციული შემოსავალი (თუ საშუალოდ თითოეულისთვის 200 ლარს ავიღებთ), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 8 მილიონ ლარს აღწევს.

იმის გამო, რომ მართვის მოწმობები სულ 400-500 ათასამდეა, კორუფციული გზით მისი აღებისთვის საშუალო თანხა კი – 200 ლარი, ხოლო მისი ოფიციალური ღირებულება – 28 ლარი, ახალი მართვის მოწმობების ასაღებად კორუფციული გზით შემოსავალი, სულ ცოტა, 100 მილიონ ლარს აღწევს.

აღსანიშნავია, რომ მართვის მოწმობის გამოცვლაც, რომელიც ყოფილი შს მინისტრის კახა თარგამაძის პერიოდში რამდენჯერმე განხორციელდა, სანომრე ნიშნების მსგავსად, დიდი თანხის "მოტეხვასთან" იყო დაკავშირებული. მართვის მოწმობის ოფიციალური ფასი 28 ლარია, ხოლო მისი რეალური თვითღირებულება გაცილებით ნაკლებია. აქაც გაურკვეველი და დაკეტილი პროცედურით შეირჩა შსს-ს მაღალჩინოსნებთან დაახლოებული ფირმა. რეალურად მართვის მოწმობის (მთლიანობაში 500 ათასამდე) თვითღირებულება 5-დან 10 ლარამდე უნდა მერყეობდეს. ე.ი. მართვის მოწმობების მხოლოდ ერთხელ გამოცვლის შედეგად "მოტეხილი" თანხა, სულ ცოტა, 5 მილიონი ლარია (დღგ-სა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით).

## მინდობილობის სისტემა

არსებული წესით, საგზაო პოლიციაში ხდება ნებისმიერი უკვე ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის სავალდებულო დამოწმება. მინდობილობის დამოწმებისთვის საგზაო პოლიცია 5 ლარს ითხოვს, რაც კანონით გათვალისწინებული არ არის, ამიტომ კორუფციული შემოსავალია. მინდობილობების ზუსტი ციფრი არ არსებობს, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ მინდობილობის სისტემას (განსაკუთრებით კი გენერალურ მინდობილობებს) მასობრივად იყენებენ როგორც ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის მანქანის გადასაცემად, ისე მანქანების ფაქტობრივი ყიდვა-გაყიდვის დროს, ყოველწლიურად ასი ათასამდე მინდობილობა უნდა გაფორმდეს და, შესაბამისად, ავტოინსპექციამ დაამოწმოს. მაშასადამე, მინდობილობის დამოწმებისთვისაც საგზაო პოლიციაში ასი ათასი ლარიდან ხუთასი ათას ლარამდე კორუფციულ შემოსავალზე შეიძლება იყოს საუბარი.

## კორუფციული შემოსავლები დიაგნოსტიკური ცენტრებიდან

დიაგნოსტიკურ ცენტრებს, რომლებიც კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ, ავტომანქანების დიაგნოსტიკურ შემოწმებაზე ლიცენზიას შსს ანიჭებს. შსს ამგვარ ლიცენზიას თავისთან დაახლოებულ ხალხს აძლევს და, შესაბამისად, "წილში" უზის მათ.

დიაგნოსტიკურ ცენტრებში ავტომობილებს დიაგნოსტიკურად და ეკოლოგიურად ამოწმებენ. აქ მომსახურების კანონით დადგენილი ნიხრები, შესაბამისად, შეადგენს 7 და 5 ლარს მსუბუქი ავტომობილებისთვის, ხოლო სატვირთო ავტომობილებისთვის, ტვირთამწეობის შესაბამისად, მეტი გადასახადია დაწესებული.

გამოკითხულ მძღოლთა ინფორმაციით, დიაგნოსტიკურ ცენტრებში ოფიციალური ნიხრების გარდა (საიდანაც მათ ოფიციალური მოგებაც რჩებათ), დამატებით ჯამში დაახლოებით 10 ლარს ახდევინებენ. აქაც, შესაბამისად (300 ათასი ავტომანქანის გათვალისიწინებით), არაკანონიერი კორუფციული შემოსავალი ჯამში, სულ ცოტა, 3 მილიონამდე ადის.

## ტექდათვალიერების გატარებიდან აღებული კორუფციული შემოსავლები

დიაგნოსტიკურ ცენტრებში დაზღვევისა და საგზაო ფონდის გადასახადის გადახდის შემდეგ, საბოლოოდ, ავტომანქანის მფლობელს ტექდათვალიერების შესაბამისი "ბირკა" უფასოდ უნდა მიეცეს და ტექდათვალიერების გავლა დაამოწმოს შესაბამისმა რაიონულმა საგზაო ინსპექციამ. მძღოლებს აქ მაინც გამოსძალავენ თანხას, მანქანის გამართულობისა და ტვირთამწეობის მიხედვით - 10-დან 30 ლარამდე. თუ საშუალოდ ავიღებთ თითოეული მანქანისთვის აღებულ 15 ლარს, 300 ათას მანქანაზე წელიწადში საშუალო კორუფციული თანხით შემოსავალი გამოდის 5 მილიონ ლარამდე, რაც აგრეთვე სერიოზული შავი შემოსავალია.

## დასკვნა

საგზაო პოლიციაში არსებული ძირითადი კორუფციული სქემების ანალიზმა აჩვენა, თუ კორუფციის რა მასშტაბებზეა საუბარი ამ სფეროში. მარტო ჯარიმებთან (22 მილიონი), ტექდათვალიერებასთან (დიაგნოსტიკური ცენტრები – 3 მილიონი; ტექდათვალიერების გაფორმება – 5 მილიონი; სულ 8 მილიონი), მართვის მოწმობებთან (8 მილიონი), მანქანის სარეგისტრაციო დოკუმენტებთან (1 მილიონი), სანომრე ნიშნებთან (1 მილიონი), მინდობილობებთან (500 ათასი ლარი) დაკავშირებით, ჩვენი გათვლებით, წელიწადში რამდენიმე ათეულმილიონიანი (კერძოდ, **წელიწადში, სულ ცოტა, 40 მილიონი ლარი)** თანხის კორუფციული დინებები მოქმედებს (აქ არ არის დათვლილი სამსახურებრივი წინსვლის, დაზღვევის სისტემასთან, ე.წ. ტეკებთან, აგრეთვე, სანომრე ნიშნებისა და მართვის მოწმობების მწარმოებელ ფირმებთან დაკავშირებული კორუფციული გარიგებები, სადაც, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, ასევე დიდი "შემოსავლები" უნდა იყოს).

საგზაო პოლიციაში არსებული კორუფცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოდელი შსს-ს საქმიანობის სხვა მიმართულებებისთვისაც. წარმოდგენილი მოდელი შეიძლება ტიპური მაგალითი იყოს როგორც შსს-ს სისტემის, ისე მთლიანად ქართული კორუმპირებული სახელმწიფო ბიუროკრატიის წარმოჩენისთვის.



შაბათს,
20 დეკემბერი - 3 იანვრის ნომერში
თქვენ იხილავთ

ნაწყვეტს აკა მორჩილაძის ახალი, გამოუქვეყნებელი რომანიდან
წლევანდელი ნობელის ლაურეატის, ჯონ მაქსველ კუტზეეს სანობელო ლექციას
ინტერვიუებს ნუგზარ შატაიძესთან და ბორის აკუნინთან
რეცენზიებს ბერონტი ქიქოძის, დათო ტურაშვილის, ზაზა ბურჭულაძის წიგნებზე.
მსოფლიოს ახალ ამბებს
თვის ქართულ ბესტსელერებს

წიგნები

პროზა პოეზია კრიტიკა ინტერვიუ რეცენზია ბესტსელერი საგამომცემლო საქმე

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ახალი ხელისუფლების მთავარი გამოწვევა ეკონომიკაა

*ცნობილმა გერმანელმა სოციოლოგმა რობერტ მიხელსმა თქვა - თუ დროდადრო მთავრობა არ გამოიცვალა, ის გადაგვარდება... ბატონ რომან გოცირიძეს ამ ფრაზის გამეორება უყვარს. ის საკუთარ თავს მრავალჭირნახულ ადამიანად მიიჩნევს, რადგან, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ - სამი სახელმწიფო გადატრიალების მოწმე გახლავთ. პირველს "ცოცხების რევოლუცია" ერქვა. მაშინ მან "სახალხო ფრონტთან" ერთად კომუნისტურ პარლამენტს ყვირილითა და შეძახილებით პარტიის წამყვანი როლის თუ რაღაც ამდაგვარის პუნქტი გააუქმებინა, რაც კომუნისტების ხელისუფლებიდან გახვეტას ნიშნავდა. ამის შემდეგ, სამწუხაროდ, სამოქალაქო ომი და "თოფების რევოლუცია" მოხდა. "ვარდები" მესამედ და იმედია, უკანასკნელად იყო... ახალი ხელისუფლება თავის მოღვაწეობას უამრავი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემით, ცარიელი ხაზინით და ნათელი გეგმებით იწყებს.*

მაია ჭალაგანიძე

**- მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლება ეკონომიკის ზრდას დეკლარირებდა, ინფლაციის დონე დაბალი იყო და ეროვნული ვალუტა სტაბილური - მოსახლეობის კეთილდღეობაზე ეს გავლენას ვერ ახდენდა, პირიქით, დაუცველი ფენა სულ უფრო გაიზარდა და მათი მდგომარეობა გაუარესდა. თქვენ წინა მთავრობისგან განსხვავებულ მონაცემებს ამზეურებდით ხოლმე. რას გვეუბნება სტატისტიკა, რატომ ხდება ასე?**

- წინა მთავრობამ უმძიმესი ეკონომიკური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მაგალითად, საქართველოში 900 ათას პენსიონერს ბიუჯეტიდან, წელიწადში, დაახლოებით, 220 მილიონი ლარი სჭირდება. მიმდინარე წელს პენსიების მეოთხედზე მეტია გაუცემელი. ასე დაგვიანებით გაიცემა ხელფასებიც, ბიუჯეტი ყოველწლიურად შეუსრულებელია, რაც უამრავ პრობლემას ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლიდან მოყოლებული საქართველომ მოახერხა ეკონომიკური კოლაფსიდან გამოსვლა, ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე დღეში მხოლოდ 2 აშშ დოლარი იხარჯება, ეს კი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არსებულ ციფრზე 40 პროცენტით ნაკლებია. არსებული შეფასების თანახმად, მოსახლეობის 60 პროცენტი სიღარიბის საფრთხის წინაშე იმყოფება. ღარიბთა ფენას ხელი არ მიუწვდება ნორმალურ საზოგადოებრივ მომსახურებაზე - ჯანდაცვა, განათლება.

ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი 60 პროცენტია, ხოლო ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი 1.7 მილიარდი აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტია.

**- რატომ ადგენდნენ და იღებდნენ ისეთ ბიუჯეტს, რომელსაც წლიდან წლამდე ვერ ასრულებდნენ?**

- ამას ორი მიზეზი ჰქონდა. რეალისტური ბიუჯეტი პოლიტიკურად "კაპიტულანტური" იქნებოდა - კაპიტულანტური კონტრაბანდისტების და გადასახადების დამმალავების წინაშე. მეორე მიზეზი ის იყო, რომ დაფინანსების სიმცირის გამო პრეზიდენტს საკუთარი კაბინეტი, ყველა უწყება აუმხედრდებოდა. პრეზიდენტის თამაშის წესის თანახმად, ის ყველას უკმაყოფილებდა მოთხოვნას. მან იცოდა, რომ ბიუჯეტი შეუსრულებელი დარჩებოდა და ფინანსთა მინისტრის თავში სახლელი იქნებოდა. ამით პრეზიდენტი ორთქლის გამოშვების საშუალებას იტოვებდა და როგორც წესი, მინისტრებს ხსნიდა (11 წელიწადში საბაჟოს 11 უფროსი მოხსნა). შემდეგ - პარლამენტთან ერთად არაპოპულარულ ზომას - ბიუჯეტის სეკვესტრს ახორციელებდა, რითიც საკანონმდებლო ორგანოც არაპოპულარული ქმედებების წილში გაყავდა.

**- რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი?**

- 200-300 მილიონიანი სეკვესტრი მხოლოდ პოლიტეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

**- "ვარდების რევოლუციის" შედეგად, შევარდნაძის გაკოტრებული ხელისუფლება გადაიბარეთ. მოსახლეობისთვის უკანასკნელი გამოწვევა გაყალბებული არჩევნები იყო...**

- ცხადია, არჩევნებმა ბიძგი მისცა რევოლუციას. მთავარი მაინც ის არის, რომ არჩევნების შედეგებს ხალხი ელოდა, როგორც ახალი ცხოვრების დაწყების შანსს...

**- რომელიც, ჯერჯერობით, წლობით ნაგვიანევი კუთვნილი 14 ლარის მიღებას გულისხმობს...**

- ჯერჯერობით, ასეა, მაგრამ თუ უკეთესობისკენ შესამჩნევი ცვლილებები სწრაფად არ მოხდა, რამდენიმე წლის შემდეგ სათუო იქნება ამჟამინდელი პოლიტიკური გუნდის მომავალი და გზა გაეხსნება დამარცხებულ პოლიტიკურ ძალებს, სოციალური დემაგოგიის ოსტატებს, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლად არიან და ბოლო დრომდე ელექტორატის საკმაოდ დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი აზრი და მთავარი გამოწვევა მაინც ეკონომიკაში მდგომარეობს. ახალმა ხელისუფლებამ მდგრადი ეკონომიკური განვითარება და კორუფციის მნიშვნელოვანი შემცირება უნდა მოახერხოს.

**- როცა კორუფციის შემცირებასა და არა მთლიანად აღმოფხვრაზე საუბრობთ, უშვებთ, რომ ხელისუფლება, რომელიც თქვენი თანამოაზრეებისგან შედგება, კორუფციას მოერგება? ანუ, სისტემა კვლავ დაუშვებს კორუფციას?**

- რა თქმა უნდა, თუ სისტემა არ შეიცვალა, ადამიანის ხარისხი საკმარისი არ არის ამ სენის დასაძლევად. ადამიანი სუსტი არსებაა და ამისი უამრავი ნათელი მაგალითი გვაქვს, როდესაც მთავრობაში მოსული ადამიანები საზოგადოების სიმპათიებით სარგებლობდნენ და არათუ გაკოტრებულან ამ კორუმპირებულობით, არამედ - ოდიოზურადაც კი ქცეულან. ამიტომ, ბუნებრივია, ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანების ტიპებზე - ერთია ძველი კომკავშირელი სამეურნეო აქტივისტი, რომელიც დაგეშილია კორუფციაზე და მეორე - ახალი თაობა, რომელსაც სხვა ზნეობრივი ღირებულებები აქვს, მაგრამ თუ არ ჩამოყალიბდა სახელმწიფო ადმინისტრირების სამართლებივი ბაზა, მაშინ, ფაქტობრივად, კარგი კადრები ცუდებად გადაგვარდებიან.

**- ახალ ხელისუფლებას მრავალი შიდა თუ საგარეო საფრთხეები ემუქრება, რომელიც ერთ და ორ დღეში არ მოგვარდება. რა უნდა იყოს ის პირველი მიღწევა, რომელიც მოსახლეობას სხვა საფრთხეების შიშს გაუნელებს?**

- ეკონომიკაში მიღწეული პირველი რეალური წარმატება ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებისა და შემდგომი წარმატების საფუძველი შეიძლება გახდეს. ამ ეტაპზე ხელისუფლების მთავარი ამოცანა სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა და სიღარიბის დაძლევაა. უნდა შემუშავდეს საშუალოვადიანი პროგრამა მომავალი ოთხი წლისთვის და მისი შესრულების ძირითადი შედეგი უნდა იყოს ადეკვატური საგადასახადო სისტემის ფორმირება, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება და ხელისუფლების დებიუროკრატიზაცია, სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა, სოციალური სფეროს რეფორმირება და ახალი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბება, სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება...

**- ეს თემები უფრო ეკონომისტთა კონფერენციისთვის გამოდგება, საინტერესოა უპირველესად და ლამის, ხვალვე რა სიკეთეს იგრძნობს მოსახლეობა, მას ამის პასუხი ჭირდება.**

- ეკონომიკური შედეგები სწრაფად არ იგრძნობა, მაგრამ ადამიანმა ძალიან სწრაფად ცხოვრების გაიოლება შეიძლება იგრძნოს. არის რაღაცეები, რასაც დიდი დრო არ სჭირდება. მაგალითად - საქართველოში 400 000 მანქანაა. ამდენივე ადამიანი მიდის და ავტომობილს უტარებს "ტექდათვალიერებას", რომელიც უკანასკნელ 10 წელიწადს არასდროს გაკეთებულა. თუკი რეალური ფუნქცია არ ხორციელდება, ამას "ტექდათვალიერების" ნაცვლად რეგისტრაციის გავლა შეიძლება დაერქვას - გადაიხადე 1 ლარი მინაზე მისაკრავისთვის და ამით დაამთავრე. სახელმწიფო არ უნდა შეეჭიდოს იმ ფუნქციას, რომლის შესრულებაც მას იმ მომენტში არ ძალუძს. უნდა გამარტივდეს ის ბიუროკრატიული პროცედურები, რომელიც საქმისთვის არ არის დაწესებული. უამრავი ასეთი წვრილმანია, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ლამის ყოველ დღე აწუხებს.

**- ყველა საუბრობს პრობლემებზე, რომელსაც მოსახლეობა აქ და ახლა ხედავს. მაგრამ არსებობს უკონტროლო ტერიტორიები, რომელიც არა მხოლოდ პოლიტიკური პრობლემაა. დღეისთვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 16 პროცენტს. და ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს...**

- კონფლიქტური რეგიონების არსებობა შემზღუდველ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური განვითარების ტემპებზე. გარდა ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვით წარმოქმნილი პრობლემებისა, რომლებიც ეკონომიკის დეზინტეგრაციაში, მისი დიდი ნაწილის ერთიანი ორგანიზმიდან მოწყვეტაში გამოიხატება, არსებობს კონფლიქტის დაკონსერვების შედეგად წარმოქმნილი სხვა სახის სირთულეებიც, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. გავლენიანი ძალების ინტერესებში არ შედის კონფლიქტებისა და მათგან გამოწვეული პრობლემების მოგვარება. ისიც ნათელია, თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს იმ სუსტ დემოკრატიას, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების მრავალწლიანი "დაბალანსების" პოლიტიკის წყალობით კორუფციულ სტაბილურობაზე იყო დაფუძნებული. მაგრამ ახალ ხელისუფლებას აქვს შანსი და იგი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

**- ამ შანსს ახალი ხელისუფლება, არასწორი საკადრო პოლიტიკით ხელიდან უშვებს. ძალოვან თანამდებობაზე ზოგჯერ ისევ მენტალობაშელახული ფიგურები გვევლინებიან, რაც ძირშივე გამორიცხავს ძირეულ რეფორმებზე ფიქრსაც კი. რას გამოიწვევს 4 იანვრის შემდგომი შესაძლო ახალი საკადრო პოლიტიკა?**

- კადრების შერჩევის პოლიტიკური კულტურა და მექანიზმები არ არსებობს. სამწუხაროდ, ეს დანიშვნები მომავალშიც ასევე გაგრძელდება. 4 იანვრის შემდეგაც იქნება საკადრო შეცდომები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, 4 იანვრის შემდეგ მუშაობა დაიწყება სისტემის შეცვლაზე.

ყველა დროს იყვნენ ადამიანები, თანამდებობების სუნს რომ იკრავენ და რიგში დგებიან. ეს ადამიანები კი არ არიან დამნაშავენი, არამედ ისინი, ვინც ამათ თანამდებობებზე უშვებს. ბუნებრივია, ასეთი ადამიანები ახლაც არიან, მაგრამ, დღევანდელობის პლუსი ის არის, რომ საქართველოში ზომაზე მეტი გამჭვირვალობაა და ერთმანეთის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. თუმცა, ეს საკმარისი როდია - გამჭვირვალობა პროდუქტი უნდა გახდეს და სიტყვა საქმედ გადაიქცეს.

**- ბუნებრივია, რეფორმები გარდაუვალია. იქნებ უფრო კონკრეტულად ბრძანოთ, როგორი შეიძლება იყოს რეფორმების შედეგები?**

- ასეთი პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს თვისებრივად ახალ დონეზე გასვლას. თუკი ყველა სექტორში რეფორმები კონსოლიდირებულად და პატიოსნად დაიწყო, მომდევნო 4 წლის განმავლობაში ზრდა თითქმის იმდენივე იქნება, რაც იყო წინა 7 წლის განმავლობაში. მოსახლეობის შემოსავლების მატების ტემპი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე სამომხმარებლო ფასების ზრდა. ამასთან, ინფლაცია 4-5 პროცენტს არ გადააჭარბებს. შესაბამისად, გაიზრდება პენსიები და ხელფასები. სახელმწიფო სექტორში რესურსების დიდი ნაწილი მოხმარდება სოციალური პროგრამების განხორციელებას. ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის შემოსავლები უპირატესი ტემპებით გაიზრდება და აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარების შედეგად სხვადასხვა შემოსავლის მქონე ფენებს შორის არსებული უთანასწორობა შემცირდება. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რაოდენობა შემცირდება დაახლოებით 1,5-ჯერ.

**- საქართველოში კორუფცია ცხოვრების წესად იქცა. იგი მოდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. ამას არა მხოლოდ კრიმინალური, არამედ ეკონომიკური დევნაც ჭირდება. ფიქრობთ, რომ ერთბაშად ყველა მიმართულებით მოქმედება შედეგს მოიტანს?**

- ჩემი აზრით, ეს ძალების დაქსაქსვის ტოლფასი იქნება. საჭიროა ანტიკორუფციული პროგრამის ფარგლებში მიზანმიმართული და ეტაპობრივი მოქმედება. აუცილებელია "თავიდან" დაწყება (როგორც ამბობენ, თევზი თავიდან ყარს).

კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლენა არის საგადასახადო შეღავათების დაწესება ბიზნესის იმ სეგმენტისათვის, სადაც გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფების ინტერესებია. ამ მოვლენამ ბოლო წლებში აშკარა ლობირების ხასიათი მიიღო. ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მასში ცვლილებების შესატანად ორმოცამდე კანონი მიიღეს. აქედან ოცზე მეტი საგადასახადო შეღავათებს ეხება, რის შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა გადასახადების სხვადასხვა სახეობის მიხედვით 150-მდე გათავისუფლებას და შეღავათს ითვალისწინებს. სახელმწიფოში ყალიბდება ე.წ. "შეღავათების ბაზარი", რითიც მოსახლეობის დაუცველი ფენების ნაცვლად ხელისუფლებასთან დაახლოებული მაღალშემოსავლიანი პირები და მეწარმეები სარგებლობენ. შეღავათები არათანაბარ პირობებში აყენებს სამეწარმეო სუბიექტებს და ქვეყანაში არაჯანსაღი კონკურენციის გარემო ყალიბდება. სუსტი საგადასახადო ადმინისტრირების პირობებში, შეღავათები ხელს უწყობენ ეკონომიკის არალეგალური სექტორის გაფართოებას. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტი უფრო მეტ თანხას კარგავს არა უშუალოდ გარკვეული სფეროების გათავისუფლების, არამედ ამ გათავისუფლებების უკანონოდ გამოყენების შედეგად.

საქართველოში საგადასახადო შეღავათების დაწესება ტერიტორიული ნიშნის მიხედვითაც (აჭარის რეგიონისთვის) ხდება, რაც რეგიონული ხელისუფლების მხრიდან ცენტრზე პოლიტიკური ზეწოლითა და შანტაჟით არის განპირობებული. რა თქმა უნდა, საგადასახადო შეღავათების გაუქმება საკმაოდ მწვავე რეაქციას გამოიწვევს მათი მხრიდან, ვისაც იგი უშუალოდ ეხება. მაგრამ, საქართველოში შექმნილი მძიმე საბიუჯეტო ვითარების გამო, ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და მოაწესრიგოს საგადასახადო შეღავათების სისტემა.

**- რამდენად შესწევს უნარი ახალ ხელისუფლებას, დაძლიოს გავლენიანი ძალებისა და ბიუროკრატიის წინააღმდეგობა?**

- "ვარდების რევოლუციად" წოდებული ხელისუფლების შეცვლას შედეგად უნდა მოჰყვეს ქვეყანაში ძირეული ცვლილებების დაწყება. უკვე გამოჩნდნენ ახალი ძალები, რომლებიც მზად არიან, შეეწინააღმდეგონ გავლენიან ჯგუფებს, აიძულონ ისინი, დაიცვან ეკონომიკური საქმიანობის "თამაშის წესები" და ამით ქმედითი იმპულსი მისცენ რეფორმების დაჩქარების პროცესს.

შესაძლებელია, აგრეთვე, რომ მზარდმა საშუალო კლასმა უფრო აქტიურად გამოიყენოს პოლიტიკური ცვლილებები გავლენიანი ჯგუფების განსაკუთრებული პრივილეგიების მოხსნის მიზნით. ეს უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, შეეცდებიან, თავიანთი პოზიციების დასაცავად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ფინანსური ბერკეტები. მაგრამ, შესაძლებელია და სასურველიცაა, რომ ჩამოყალიბდეს პოლიტიკურად გავლენიანი საშუალო კლასი და ორგანიზაციულად განმტკიცდეს.

**- არის თუ არა იმის საშიშროება, რომ დამარცხებული, კორუმპირებული ჯგუფები გამოფხიზლებას, ძალების მოკრებას და წინააღმდეგობის გაწევას შეძლებენ?**

- ძალიან დიდი საშიშროება არსებობს, რადგან ხალხი სწრაფ შედეგს ელის, სწრაფი შედეგი კი არ ხდება და ეს კი პოლიტიკური დემაგოგიის ინსტრუმენტია და ფულიანები შეძლებენ პერიოდულად ორგანიზებას. ფულიანებმა ერთხელ დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა პარტიები შექმნეს. ფულიანი პარტიები გაკოტრდნენ, რადგან ჰქონდათ ფული, მაგრამ არ ჰქონდათ გულწრფელობა, რასაც საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოჰყვება. ახლა უკვე ფული ასე ველარ იმუშავებს.

აღნიშნული, შიდა და საგარეო ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგად, შევარდნაძის რეჟიმის პერიოდში აღმოცენებულ და განმტკიცებულ გავლენიან ჯგუფებს მოუხდებათ პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის მნიშვნელოვანი შეცვლა მრავალი მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ეროვნულ ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. პოლიტიკურად გაერთიანებულმა წვრილმა მეწარმეებმა უნდა შეძლონ მრავალი შეზღუდვის გაუქმება და სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული "რეკეტის" დაძლევა.

ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების განვითარება, რის შედეგადაც "ზევიდან" დაწყებულ რეფორმებს "ქვემოდან" ჩაენაცვლება თავისუფალი მეწარმეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური აქტივობა.

**- უკვე აღიძრა სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე მსხვილ სახელმწიფო მოხელეზე და მეწარმეზე, რომლებსაც ბრალი ედებათ კორუფციაში და მრავალი მილიონი ლარის ოდენობის სახელმწიფო ქონების მითვისებაში. რამდენად მისაღებია პრივატიზების შედეგების გადასინჯვა და საკუთრების ხელახალი განაწილება?**

- ხელისუფლება, ფაქტობრივად, მწვავე დილემის წინაშე დგას: საკუთრების უფლებების არსებული განაწილება არცთუ ისე კანონიერია, მაგრამ, ყოველი სერიოზული მცდელობა, გადანაწილდეს უკვე უკანონოდ მითვისებული ქონება, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საერთოდ საკუთრების უფლებების მთელი სისტემის დაცულობას.

რენაციონალიზაციის მოთხოვნა და ქონების შემდგომი ხელახალი პრივატიზება კარგა ხნის განმავლობაში სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური ძალების დისკუსიის თემა იქნება. ხელისუფლების და ქონების ხელახალი დანაწილებისათვის ხელჩართული ბრძოლის დაწყება დაუშვებელია. პრივატიზაციის შედეგების გადასინჯვის მცდელობა იქნება არა სამართლიანობის აღდგენა, არამედ კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა. როგორც ჩანს, ამჟამად ამ საკითხის ეფექტიანი და სამართლიანი გადაჭრის ხერხი არ არსებობს. შეიძლება მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ ეკონომიკური ზრდა, კორუფციის წინააღმდეგ მიმართული სწორი საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა, თანდათანობით გააბათილებს საკუთრების უფლებების თავდაპირველი უსამართლო განაწილების შედეგებს.

როგორი კეთილი მიზნებითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი უკანონოდ მითვისებული ქონების დაბრუნება, ეს პროცესი დიდ სიფრთხილეს საჭიროებს და იგი ქვეყნის სამომავლო განვითარების შესაძლებლობებთან შედარებით გადამწყვეტი მაინც არ არის.

ამიტომ, მთავარი ამოცანა დღეს საკუთრების ხელახალი გადანაწილება კი არ უნდა იყოს, არამედ ის, რომ ქვეყანაში არსებული პრივილეგირებული კაპიტალი მის მიერ ხელში ჩაგდებულ ეკონომიკური პოლიტიკის უზურპირების ფუნქციას ჩამოვაშოროთ.

**- სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის ანტიკორუფციული ბრძოლის რა ფორმები არსებობს?**

- შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძე კორუფციას, კონკრეტულად კი მის სპეციფიკურ გამოვლინებას - "საარჩევნო კორუფციას" შეეწირა. ხალხმა ხელისუფლებას აპატია მისი ქონების მითვისება, მაგრამ არ აპატია საკუთარი საარჩევნო ხმის მოპარვა. საარჩევნო პროცედურების სისუფთავისათვის და გამჭვირვალობისათვის ბრძოლის დაწყება აუცილებელია. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ამოცანა არჩევნების პროცესზე კორუფციის გავლენის შემცირებაა. უნდა გამკაცრდეს საარჩევნო კომპანიების დაფინანსების წესები, დარღვევებისათვის სასჯელი უნდა იყოს არანაკლები, ვიდრე ტრადიციული ეკონომიკური "თამაშის წესების" დარღვევებისთვის.

მართალია, კორუფციასთან ბრძოლა უაღრესად ძნელია, მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლებას ამის სურვილიც კი არ გასჩენია. ანტიკორუფციული რიტორიკა სიამოვნებით გამოიყენება პოლიტიკური სპექტრის ყველა წარმომადგენლის მიერ, მაგრამ საქართველოში კორუფციის შეზღუდვის მიმართულებით გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ატარებდა ან სიმბოლურ, ან პოპულისტურ ხასიათს.

მთავრობის ძალა ხალხის მხარდაჭერაშია. ახალ ხელისუფლებას აქვს ნდობის მანდატი, რაც მან რეფორმების გასატარებლად და გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფების და კორუმპირებული ჩინოვნიკების უკანონო საქმიანობის აღსაკვეთად უნდა გამოიყენოს. ჩვენ მოგვეცა ისეთი შანსი, რომელზეც ვერც კი ვიოცნებებდით და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

თუ უკეთესობისკენ შესამჩნევი ცვლილებები სწრაფად არ მოხდა, რამდენიმე წლის შემდეგ სათუო იქნება ამჟამინდელი პოლიტიკური გუნდის მომავალი.

ამ ეტაპზე ხელისუფლების მთავარი ამოცანა სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა და სიღარიბის დაძლევაა.

სახელმწიფო არ უნდა შეეჭიდოს იმ ფუნქციას, რომლის შესრულებაც მას იმ მომენტში არ ძალუძს.

4 იანვრის შემდეგაც იქნება საკადრო შეცდომები, მაგრამ 4 იანვრის შემდეგ მუშაობა დაიწყება სისტემის შეცვლაზე.

ფულიანებმა ერთხელ დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა პარტიები შექმნეს.

ჩვენ მოგვეცა ისეთი შანსი, რომელზეც ვერც კი ვიოცნებებდით და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.



რომან გოცირიძე

# გახდი ქველმოქმედი და "გაგივლის"

თეონა ჯაფარიძე

ქართველებმა მსოფლიოში თითით საჩვენებელი რევოლუცია მოვახდინეთ და ახლა ახალი წლის დადგომას ველოდებით. აქამდე თუ აქტუალური იყო, რომ "ვილაცისტები" ვყოფილიყავით, დღეს უფრო აქტუალურია ის, რომ "ვილაცისტობა" გაგვივლის და ცხოვრებას კიდევ უფრო ჯანსაღი თვალით შევხედავთ. მაგალითად, სიკეთის კეთებას დავიწყებთ და ქველმოქმედები გავხდებით. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი იგრძნობა **ბიბისა და სერგის (ბიბი კვაჭაძე და სერგი გვარჯალაძე)** საშობაო პროექტში. პროექტს მათი მუსიკალური დუეტის ერთ-ერთი ცნობილი კომპოზიციის სახელწოდება – **"გაგივლის"** ჰქვია.



სერგი და ბიბი - ანიმაციაში და ცხოვრებაში



ცნობისათვის - დუეტი "ბიბი და სერგი" ხუთი წლის არის და მსმენელს, რატომღაც, ყოველთვის ახალი წლის დღეებში ახსენებს ხოლმე თავს. გავიხსენოთ მათი ცნობილი კომპოზიციები, რომელთა საახალწლო ვიდეოვერსიებს მსმენელი კარგად იცნობს: "ჩურჩხელა", "სატელიტი", Fish, "მე და შენ". მათში ბევრი ელექტრონული მუსიკაა და ცოტა - როკი და ფოლკი. რაც შეეხება კომპოზიციას "გაგივლის", ის სამი წლის წინ შეიქმნა, ხშირად ტრიალებდა სხვადასხვა რადიოარხზე და, შესაბამისად, ჯერ კიდევ სამი წლის წინ გვაფრთხილებდა, რომ "პესიმისტი ხარ, თუ ოპტიმისტი, ანარქისტი ხარ თუ ალტრუისტი, მაინც გაგივლის"... და მერე მისამღერში ასეთი დასკვნა კეთდებოდა: "ვისიისტიც ხარ, რისიისტიც ხარ, გაგივლის."

დუეტის მიერ მოწოდებულ პრეს-რელიზში ამ კომპოზიციის შესახებ ვკითხულობთ: "სიმღერა "გაგივლის" სამი წლის წინ ჩაიწერა. მის ჩაწერაში ჩვენმა მეგობრებმა: **დათო ოძელაშვილმა, რეზო ჭკადუამ, დათო კიკაბიძემ და კახა გრიგალაშვილმა** მიიღეს მონაწილეობა. სიმღერა რამდენიმე რადიოსადგურმა ენთუზიაზმით წარუდგინა მსმენელს, 2003 წლის დასაწყისში კი თავიდან ჩაიწერა. ბოლო რამდენიმე დღის წინ ამ სიმღერის ანიმაციური, ინტერნეტ და სატელევიზიო ვერსიის დამზადებაც დასრულდა."

კომპოზიციის ანიმაციური ვერსიით, ბიბისა და სერგის დუეტი სკაფანდრებით ციდან ეშვება და შეგვახსენებს, რომ ჩვენს ირგვლივ უამრავი უსახლკაროა; ჰოდა, ყველაფერი "გაგვივლის", ოღონდ საახალწლოდ აუცილებლად უნდა დავეხმაროთ მათ. ჯონ ლენონი, ჩე გევარა და დალაილამა კი, ქართული ფოლკის ელემენტების თანხლებით, მღერიან: "ვისიისტიც ხარ, რისიისტიც ხარ, გაგივლის".

კლიპის ავტორი ახალგაზრდა და ჯერჯერობით უცნობი მულტიპლიკატორი **ზოზო ანუ გიგი ჯაბიძე** გახლავთ.

ვიდეორგოლში განთავსებულია ჯეოსელის მიერ გამოყოფილი ფასიანი ნომერი – **70-20**, რომლის აკრეფვისას აბონენტებს საშუალება ეძლევათ, თანხა გადარიცხონ საპატრიარქოს სოც. უზრუნველყოფის დეპარტამენტთან არსებულ "წმინდა ნიკოლოზის " სახელობის საქველმოქმედო კავშირში უპოვართა თავშესაფრისათვის.

24 დეკემბრიდან კლიპი დატრიალდება სხვადასხვა ტელე თუ რადიოარხზე, ინტერნეტვერსია კი განთავსდება "კომუნას" ვებ გვერდზე www. komuna.ge). სპეციალურად ამ პროექტისათვის კი სტუდია "თბილისი" დაამზადებს სინგლ-კასეტებს და კომპაქტ დისკებს, რომლებიც უსასყიდლოდ დაურიგდება იმ პირველ 50 აბონენტს, რომლებიც ქველმოქმედებისთვის აკრეფენ ჯეოსელის სპეც-ნომერს.

ასე რომ, გახდით ამ მუსიკალური ქველმოქმედების თანამონაწილე და გარწმუნებთ: ყველაფერი გაგივლით.

# ახალი თაობა ახალ წამებს აფიქსირებს

მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურსი - "ქოლგა"

თეონა ჯაფარიძე

ამდენი ფოტომოყვარული თბილისს არ ახსოვს: სადაც გაიხედავ, ყველგან აუცილებლად ფოტოაპარატიანს დაინახავ, ან ფოტოკამერის ჩხაკუნი გესმის. ეს დღევანდელი დღისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა. პროფესიონალებს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ფოტომოყვარულთა ბუმია. შესაბამისად, ყოველდღიურად უამრავი ფოტოობიექტივი აფიქსირებს ჩვენს გარემომცველ სამყაროს, დროსა თუ სივრცეს. ალბათ, სწორედ ამ დიდი ინტერესის გამოა, რომ წელს მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურს "ქოლგაზე" 1400-მა ნამუშევარმა მოიყარა თავი. ექვსკაციანმა ჟიურიმ კი საკონკურსოდ მხოლოდ 151 ფოტო შეარჩია. ჟიურის შემადგენლობას საზოგადოება კარგად იცნობს: ცნობილი ფოტოხელოვანები - გურამ წიბახაშვილი და დათო ცხადაძე; ფოტოგრაფი და ოპერატორი გიკა ჭელიძე; დიზაინერი თეა თელია და პოეტი დავით ჩიხლაძე.

კონკურსისათვის შერჩეული ნამუშევრები, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, გუშინ ქალაქის სამ გალერეაში გამოიფინა: TMS-ში, N გალერეასა და "უნივერსიში". უკვე თამამად შეიძლება საუბარი ახალი თაობის ქართულ ფოტოსკოლაზე, ტენდენციებსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოდურ ფოტოსა და მოდურ ფოტოგრაფებზე. დამთვალიერებელს ფოტოების ნახვა 27 დეკემბრამდე შეეძლება. 27 დეკემბერს კი კონკურსი "ქოლგა" გამოავლენს: საუკეთესო ფოტოსერიას, საუკეთესო ჟანრულ ფოტოსა და საუკეთესო პეიზაჟს. გადაიცემა ორგანიზატორთა სიმპათიის პრიზი და მთავარი პრიზი. როგორც ნომინაციათა ჩამონათვალიდან ჩანს, კონკურსი ჟანრობრივად შეზღუდული არ არის. გალერეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, TMS შავ-თეთრ ფოტოებს მასპინძლობდა, N გალერეა შერეულს, "უნივერსიში" კი მხოლოდ ფერადი ფოტო გამოიფინა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მოყვარულთა ფოტოკონკურსი გაიხსნა

თავს უფლებას მივცემ და ჩემთვის ფავორიტ ფოტოებზე მოგახსენებთ: TMS-ში ჩემი ყურადღება მიიპყრო არჩილ ქიქოძის სოციალურ თემაზე შექმნილმა სერიამ - საინტერესო ტიპაჟებმა და გამოკვეთილმა დოკუმენტალისტიკამ, ალექს მიქაძის "კოცნა" უფრო განწყობის ფოტოა, სადაც ინტიმურ გარემოს არეული ფოკუსის ეფექტი ქმნის. N გალერეაში კი ტატო კოტეტიშვილი უმცროსის თვალით დანახული, უცნაური "ვარდების რევოლუცია" იპყრობს დამთვალიერებლის ყურადღებას. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ჩემი პროგნოზი და როგორ შეაფასებს ჟიური ამ ნამუშევრებს.

27 დეკემბერს დაჯილდოების ცერემონიალს კინოთეატრი "ამირანი" უმასპინძლებს - დაველოდოთ...

# ფოტომოგზაურობა დაუმორჩილებლებთან ერთად

დალი კუპრავა

*გალერეა TMS-ში დამკვიდრებამდე (28-დან 30 დეკემბრამდე) რევოლუციური ნოემბრის, "ვარდების რევოლუციად " მონათლული დღეების ამსახველმა ფოტოგამოფენამ ქუთაისი, ფოთი და ზუგდიდი "მოინახულა". მართალია, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, სამივე ქალაქში ექსპოზიცია-99 ფოტონამუშევარი სრულად ვერ გამოიფინა, მაგრამ საერთო სურათი თვალნათელია: საქართველოს მოქალაქეების დიდი ინტერესი იმ ოცი დღის მიმართ, რომელმაც შეძრა საქართველო.*

ფოტოგამოფენამ "გიორგობა 2003" მოგზაურობა ქუთაისით დაიწყო. ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის ფოიეში ნამუშევრების ორი მესამედი - 66 ფოტო გამოიფინა. მხოლოდ იმდენი, რის საშუალებაც საკიდებმა მოგვცა. თუ გავითვალისწინებთ ცუდ განათებასაც, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ შედეგი ძალიან კარგი იყო.

დაუმორჩილებლობის კომიტეტის მოლოდინში თეატრში შეკრებილი საზოგადოება ფოტოგამოფენას ათვალიერებდა და ისმოდა "აქ მეც ვიყავი...", "აი, ეს მე ვარ..." ფოტოებს გვთხოვდნენ და ზოგიერთი საკუთარსაც გვთავაზობდა, - მეც გადავიღე და იქნებ საინტერესო იყოსო.

ქუთაისიდან გამოფენამ ფოთში გადაინაცვლა. მეზღვაურთა კლუბის შესაძლებლობებმა ვერ შეგვაშინა და ექსპოზიციისთვის ფანჯრის რაფები და საარჩევნო ბოქსები გამოვიყენეთ. "ამ ფოტოზე მე ვარ" ან "აქ მეც ვიყავი " ისმოდა ფოიეში და ფოტონამუშევრების ერთ-ერთ ავტორს, "24საათის" ფოტოჟურნალისტს ვახო ბესელიას საკუთარ მისამართებს უტოვებდნენ, რომ ფოტოების ელექტრონული ვერსია მაინც მიეღოთ. დარბაზში კი საზოგადოება კვლავ დაუმორჩილებლებს გულწრფელად ესაუბრებოდა.



ვახო ბესელიას ფოტო

ლაშა ბულაძე ფოტოგამოფენას დასავლეთ საქართველოში წარმოადგენს

ფოტოგამოფენა ფოთიდან ზუგდიდში გაემგზავრა. ექსპოზიციის მომზადებაში ზუგდიდელები აქტიურად გვეხმარებოდნენ და კიდევ უფრო მეტ აქტიურობასა და ინტერესს იჩენდნენ დაუმორჩილებლებთან შეხვედრის დროს. უშუალო, გულწრფელ საუბარს ვერც უდენობამ შეუშალა ხელი: სცენაზე სანთლების შუქით განათებული დაუმორჩილებლები ისხდნენ და ჩაბნელებული დარბაზი მათგან სიმართლეს და იმედს ითხოვდა. დაუმორჩილებლები კი დაუღალავად ესაუბრებოდნენ საზოგადოებას იმაზე, რომ სახელმწიფოში დემოკრატიის ჭეშმარიტი გარანტი მოქალაქეები არიან.

ფოტოგამოფენას კრიმინალის გარეშე არ ჩაუვლია - ზუგდიდში ორი ექსპონატი დაიკარგა.

**P.S.** თბილისში დაბრუნებულს რედაქციაში, ჩემს სამუშაო მაგიდაზე წერილი დამხვდა: "დაურეკე ოზურგეთის სამხატვრო გალერეის დირექტორს, ავთო თავართქილაძეს, უნდა, რომ ფოტოები ოზურგეთში გამოიფინოს, - გურულები ელოდებიანო".

# რეპეტიციიდან კონცერტამდე

"დოლი" თანამედროვე სუხიშვილებზე

ვერა ნეფარიძე

*მოიპოვებს თუ არა "დოლი!" "სუხიშვილების" ახალი, სრულფასოვანი ვიდეომემატიანის სტატუსს, ამის დადგენას, ალბათ, გარკვეული დრო დასჭირდება. მთავარია, რომ გაბედული ნაბიჯი უკვე გადაიდგა და თანამედროვე "სუხიშვილების" შესახებ დოკუმენტური ფილმი შეიქმნა. მესამე თაობამ ქართული ნაციონალური ბალეტის ახალ მატიანეში მორიგი ფურცელი გუშინ კინოთეატრ "ამირანში" გამართული ახალი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაციით ჩაწერა.*

2003 წელი "სუხიშვილების" აქტიურობით დაიწყო და, როგორც ჩანს, ამითაც დამთავრდება. წლის დასაწყისში ანსამბლის საკლუბო პროექტის - "ასსა-ფართის" პრემიერა ამჯერად "სუხიშვილების" შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმით გაგრძელდა. მათ შორის კი შეიქმნა ქართული ნაციონალური ბალეტის განახლებული საკონცერტო პროგრამა, რომელიც წინასაახალწლოდ, 24 დეკემბრიდან იქნება წარმოდგენილი დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე. გუშინდელი პრემიერა კი, ვფიქრობ, კარგი შესავალი იყო მორიგი თბილისური კონცერტებისთვის ჩვენი საზოგადოების შესამზადებლად.

ალბათ, ზედმეტი იქნება აღნიშვნა, რომ გუშინ კინოთეატრ "ამირანში" საკმაოდ დიდი აუდიტორია შეიკრიბა – "სუხიშვილებმა" წელს ეს რამდენიმეჯერ შეძლეს. წარმატებული გამოდგა როგორც "ასსა-ფართის" წარმოდგენები, ისე ანსამბლის განახლებული კონცერტები და მათივე გასტროლები. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ხალხმრავლობა იყო გუშინაც, როდესაც უკანასკნელი თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში შეიქმნა პირველი დოკუმენტური ფილმი "სუხიშვილების" ახალი თაობის მოცეკვავეებზე. თუმცა, ვიტოვებ უფლებას, ამ ფილმს უფრო კონკრეტული კონცერტის, კერძოდ კი განახლებული საკონცერტო პროგრამის "სამზარეულო" ვუწოდო, ვიდრე სრულყოფილი დოკუმენტური ფილმი "სუხიშვილების" შესახებ. იმის მიუხედავად, რომ ფილმის ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია.



სუხიშვილები და რეჟისორი

დოკუმენტური ფილმი "დოლი!" სტუდია "აბკ"-ს შემოქმედებითმა კოლექტივმა გადაიღო. ფილმს ახალგაზრდა რეჟისორები ჰყავს – დათო უჯმაჯურიძე და გიგი გულედანი. წლის დასაწყისში "24 საათი" წერდა, რომ ახალგაზრდა რეჟისორებს კარგა ხანია, აწუხებდათ "სუხიშვილებზე" დოკუმენტური ფილმის გადაღების იდეა. მათგან დამოუკიდებლად, ქართული ნაციონალური ბალეტის ვიდეოარქივის გამდიდრებაზე თავად სუხიშვილებიც ფიქრობდნენ, მაგრამ, როგორც გუშინდელ პრემიერაზე ილიკო სუხიშვილმა თქვა, თავი ვერ მოაბეს. იდეის განხორციელება შესაძლებელი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა ფილმის დაფინანსება მოისურვა. "თავიდან დისკომფორტსაც კი ვგრძნობდით, რომ გადამღები ჯგუფი ყველგან იყო. შემდეგ შევეჩვიეთ და, აქედან გამომდინარე, კადრებიც საკმაოდ ბუნებრივი გამოვიდა", - თქვა ილიკო სუხიშვილმა ფილმის შესახებ საუბრისას.

"დოლი!" ციფრულ ფორმატზეა დამზადებული. გადაღებები ორი თვის განმავლობაში, ახალი საკონცერტო პროგრამის სამზადისში მიმდინარეობდა – რეპეტიციებიდან აპრილის კონცერტებამდე. "მე მგონი, ფილმი გამოვიდა. საინტერესოდ ასახავს ჩვენს შავ სამუშაოს - როგორ იბადება და კეთდება ცეკვა; გადაღებულია კულისებში; არის კადრები კონცერტის მსვლელობიდან. მგონი ეს ყველაფერი საინტერესო იქნება ჩვენი ტელემაყურებლებისთვისაც", - "დოლის" შესახებ საუბრობს თენგიზ სუხიშვილი. შედარებით თვითკრიტიკული აღმოჩნდა ნინო სუხიშვილი, რომელმაც შენიშვნის სახით გვითხრა, რომ მსგავსი ტიპის ფილმები, ალბათ, უფრო ხანმოკლე უნდა იყოს, რაც საკმაოდ ობიექტური შეფასებაა. "მაგრამ, ჩემი აზრით, ახალგაზრდა რეჟისორებს უნდოდათ შეძლებისდაგვარად მაქსიმუმი ეჩვენებინათ საზოგადოებისთვის და ამიტომაც, წინა ფილმებთან შედარებით "დოლი" გაცილებით ფართოდ აშუქებს ანსამბლის "სამზარეულოს", - ამბობს ნინო სუხიშვილი.

ახალი დოკუმენტური ფილმი "სუხიშვილების" შესახებ მთლიანად დოკუმენტურია. ახალგაზრდა რეჟისორებს გამოყენებული აქვთ სულ რამდენიმე კადრი წინამორბედი ფილმებიდან. ასეთი კი, როგორც თენგიზ სუხიშვილმა გვითხრა, თორმეტია. ამ ფილმების ძირითადი ნაწილის რეჟისორი გიორგი ასათიანი იყო. ცნობილი კინოდოკუმენტალისტი ანსამბლს დაჰყვებოდა გასტროლებზე, რის შემდეგაც გადაიღო ფილმები: "ძველი ელადის ქვეყანაში", "მეხუთე კონტინენტზე" და ა.შ., - ამ ფილმების სრულ ჩამონათვალს დღეს თენგიზ სუხიშვილიც ვერ იხსენებს. მაგრამ, ყველაზე სრულყოფილი კინონამუშევარი "სუხიშვილების" შესახებ, ალბათ, ფარული კამერებით "შეიარაღებული" ომარ გვასალიასა და მერაბ გვანცელაძის "რეპეტიცია" რჩება. სწორედ "რეპეტიციიდან" ამოღებული კადრებით ცოცხლდება უკანასკნელ ფილმში ნინო რამიშვილის, ილიკო (უფროსი) და თენგიზ სუხიშვილების ცეკვა თუ მუშაობა ანსამბლის წევრებთან. "რეპეტიცია" თავის დროზე იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ ფილმს არ ჰქონდა იდეოლოგიური დატვირთვა, ძირითადი აქცენტი კი ანსამბლზე და მის წევრებზე იყო გადატანილი. ალბათ ამიტომაცაა, რომ კადრები "რეპეტიციიდან" საკმაოდ შთამბეჭდავად დარჩა ჩვენს მეხსიერებაში (ფილმს საკმაოდ ხშირადაც აჩვენებდნენ საქართველოს ტელევიზიით).

გუშინდელი პრეზენტაცია "ამირანში" მხოლოდ ფილმის ჩვენებით არ ამოიწურა. კინოთეატრის ფოიეში წარმოდგენილი იყო ანსამბლის რეპეტიციებზე გადაღებული საკმაოდ კარგი ფოტონამუშევრების გამოფენა. მათი ავტორიც სტუდია "აბკ"-ს შემოქმედებითი კოლექტივის წევრი, ანკა ნიჟარაძეა.

## ანონსი

### წიგნის სახლი

დღეს, 17 საათზე, "წიგნის სახლში" (გამსახურდიას 31) შედგება ბადრი ვადაჭკორიას ფოტოალბომის "საქართველოს" პრეზენტაცია.

■ ■ ■

ხუთშაბათს, 25 დეკემბერს 17 საათზე "წიგნის სახლში" მწერალ ზაალ სამადაშვილის ციკლის "ახალი განზომილების" სტუმარი იქნება მწერალი დავით-დეფი გოგიბედაშვილი.

■ ■ ■

შაბათს, 27 დეკემბერს, 17 საათზე შედგება წიგნის, "სამკურნალო პრეპარატები საქართველოში" (ცნობარი) პრეზენტაცია.

## მოკლედ

### მიღება პარტნიორებისთვის

გუშინ გერმანული კულტურის ცენტრში ორდღიანი ღონისძიება დაიწყო. პარტნიორებისთვის გამართული საშობაო მიღებითა და კონცერტით "გოეთეს" ინსტიტუტი წელს მუშაობას ასრულებს.

2003 წელი "გოეთეს" ინსტიტუტისთვის აქტიურობით გამოირჩეოდა. გერმანული კულტურის ცენტრი წელს განსაკუთრებით ცდილობდა პირველობას სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების ორგანიზებაში. პირველობის სურვილი მას არც ამჯერად განელებია - ის ამჯერადაც პირველი იყო მათ შორის, ვინც პარტნიორებთან ერთად წინასაშობაო დღეები აღნიშნა. "ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ, გილოცავთ ახალ წელსა და შობას, როცა არ უნდა აღნიშნოთ ის", - მიესალმა გუშინ "გოეთეში" შეკრებილ პარტნიორებს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ამჟამად ენის განყოფილების უფროსი ჰარალდ ბიკი. მომავალი წლის იანვრიდან კი "გოეთეში" დირექტორის ადგილს ჩიკაგოდან ჩამოსული უვე რიკენი დაიკავებს. იმედია, ახალი ხელმძღვანელის დანიშვნა თბილისში არსებული გერმანული კულტურის ცენტრის აქტიურობას კიდევ უფრო ხელს შეუწყობს. "გოეთეს" ინსტიტუტს რომ ქართულ კულტურულ ცხოვრებაში თავისი წვლილი შეაქვს, ამაში დასარწმუნებლად ალბათ საკმარისია უკანასკნელ პერიოდში მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა ნუსხას გადავხედოთ (იგივეზე მეტყველებდა გუშინ შეკრებილ პარტნიორთა რაოდენობაც). ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად ისიც გამოდგება, რომ "გოეთეს" კედლებზე ჯერ კიდევ არ ჩამოუხსნიათ მიხეილ კალატოზიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოექსპოზიცია.

გუშინდელი მიღება პარტნიორებისთვის საგულდაგულოდ გაწყობილი ფურშეტის გარდა, ცოცხალი მუსიკითაც აღინიშნა. საღამოს მუსიკალურ გაფორმებაზე ჯგუფი "რეგთაიმი" ზრუნავდა. დღეს კი სტუმრებს კლასიკური მუსიკის საღამო ელით. ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ორკესტრი "თბილისის კონცერტინო" (შავლეგ შილაკაძის ხელმძღვანელობით) ჰენდელის, მოცარტის, კორელისა და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებებს შეასრულებს. **24 საათი**

### აღმოჩენა ტაო-კლარჯეთში

ისტორიკოსმა ვალერი სილოგავამ ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე ოშკის ტაძარში მიაკვლია ჯამესგან (ანუ მუსულმანური სალოცავისგან) დარჩენილ გვიანდელ (XVII საუკუნე), კედელში ჩაშენებულ ორ მონუმენტურ ქვა-ხატს. მათზე გამოსახულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყრმით და მეფე დავით კურაპალატი (სიმაღლე 130 სმ). ამასთან, ორივე ქვა-ხატზე მოთავსებულია სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის 16 ასომთავრული წარწერა. მათ შორის ერთი, ისტორიული შინაარსითა და თარიღის აღმნიშვნელი ტექსტით, ამოკვეთილია 33 სტრიქონად. ძველი ქართული კულტურის ეს ძეგლები თარიღდება 966-973 წლებით.

სხვადასხვა დროს პროფესორ ვალერი სილოგავას ხუთჯერ ჰქონდა ტაო-კლარჯეთის ძეგლების დათვალიერებისა და შესწავლის საშუალება. ამ აღმოჩენამდე, 2003 წლის 6 ნოემბერს მეუფე თეოდორეს ლოცვა-კურთხევითა და უშუალო დახმარებით, ვალერი სილოგავა ოშკში თურქოლოგ როინ ყავრელიშვილთან, ოპერატორ ალექსი გელაშვილთან და საპატრიარქოს თანამშრომელ გიორგი ქურციძესთან ერთად გაემგზავრა.

ამჟამად სტელა გადატანილია არზრუმის მუზეუმში. თურქული მხარე ქართველ მეცნიერებს შეპირდა, რომ თუკი ოდესმე ოშკის ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდება, სტელებს ისევ ტაძარს დაუბრუნებენ. **მედია-ნიუსი**

### მოდის საღამო ბათუმში

ბათუმელი დიზაინერი ნინო სურგულაძე მშობლიურ ქალაქში საშობაო ჩვენებისთვის ემზადება. ჩვენებასთან ერთად, გაიმართება საკონცერტო შოუ-პროგრამაც, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის კულტურის სახელმწიფო კოლეჯის სტუდენტები.

მოდის საღამოს ორგანიზატორია აჭარის კულტურის სამინისტრო. ჩვენებაზე წარმოდგენილი იქნება 2004 წლის ზამთრისა და ზაფხულის კოლექციები. სტუმრები ამ საღამოს ნინო სურგულაძის შექმნილ საცურაო კოსტიუმებსაც იხილავენ. ჩვენება დღეს გაიმართება. **მედია-ნიუსი**

# ორი დღე პარიზში

## სტერეოტიპული გზამკვლევი ტურისტებისთვის

თამარ ბაბუაძე

*მოსაწვევი ბარათი: გაზეთ "24 საათის" სტილის განყოფილებას, გეპატიჟებით "ლოლიტა ლემპიკას" "ღია კარის დღეზე" 2004 წლის სიახლეების გასაცნობად პარიზში, კაროლინას ქუჩა N18-ში, 18 დეკემბერს 10-იდან 19 სთ-მდე.*

ეს მოსაწვევი ბარათი ჩვენს რედაქციაში ერთი მარტივი მიზეზის გამო მოხვდა: პარიზელი ქალების "საფიცარი" "ლოლიტა ლემპიკა" ქართულ ბაზარზე გაფართოებას სერიოზულად აპირებს და იმიტომ. გამოჩენით კი ის "ისი პარის" მაღაზიათა ქსელში მაისის შუა რიცხვებში გამოჩნდა და თან საკმაოდ პომპეზურადაც. "ისი პარიმ" ხომ ქალისა და მამაკაცის ამ სუნამოებს, რომლებიც პარიზში საუკეთესო ხუთეულში შედის, ღირსეული დახვედრა "მერიოტში" მოუწყო. მას შემდეგ საქართველომ "ლოლიტა ლემპიკას" პრიორიტეტული ქვეყნების ნუსხაში გადაინაცვლა და, შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელებმაც საერთაშორისო ღონისძიებაზე აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან ერთად საქართველოც დაპატიჟეს.

აი, ამ "სურნელოვანი მიზეზით" გავემგზავრეთ წინასაშობაო პერიოდის პარიზში და ერთ ჭეშმარიტებასაც მივაკვლიეთ: თურმე, ყველაზე შთამბეჭდავი და წარმატებული პარფიუმერული პრეზენტაციების მოწყობა მხოლოდ პარიზშია შესაძლებელი; რადგან, რაც უნდა დახვეწილი და უცხო იყოს სურნელი, რაც უნდა ზეაწეული და ფილოსოფიური იყოს საუბრის მანერა და, რაც უნდა ელიტური იყოს სტუმართა ნუსხა, ამ ქალაქისთვის ეს ყველაფერი მაინც ორგანული და ბუნებრივი იქნება. აქ ხომ მოდის, მაღალი კლასის პარფიუმერიისა და არომატების ვირუსი პირდაპირ ჰაერში დაფრინავს. თუმცა, ამაზე - ოდნავ ქვემოთ. ჯერ ორიოდე სიტყვით წინასაშობაო პარიზზე მოგახსენებთ.

### რატომ გარშემო და არა - ში

ყოველთვის მიკვირდა, თუ მაინც რას ნიშნავდა ტერმინი "მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო". მხოლოდ პარიზში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ გავარკვიე ეს რა იყო: როგორ შეიძლება თავხედურად ამტკიცო, რომ პარიზში იყავი, როდესაც ეს "ყოფნა" პარიზის მეტროსა და ქუჩებში თავქუდმოგლეჯილ სირბილს გულისხმობს – რაიმე უნახავი არ დაგრჩეს, ვიზუალურ მეხსიერებაში ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი დააფიქსირო, პირადად შეამოწმო – ეიფელი სადმე ხომ არ გადაუტანიათ, თუ კვლავაც იქ დგას, უნუგეშოდ გახედო ლუვრთან გაწელილ გრძელ რიგებს და მხოლოდ პირამიდების ნახვითღა დაკმაყოფილდე.

თუმცა, ისიც ხომ ფაქტია, რომ სულ არაობას ეს "გარშემო" მოგზაურობაც ჯობია, მით უმეტეს, "მშენებარე" ქვეყნიდან – წინასაშობაო პარიზში. და მივდივართ...

ჩემი ფრანგული ვოიაჟი ძალიან ქართულად იწყება. აფრენისთვის ქართული პოპ-ჰანგების, უფრო ზუსტად, რომელიღაც უცხოენოვანი სიმღერის სტეფანესეული ვერსიის ფონზე ვემზადებით. გადალაპარაკებას – "შეიკარით ქამარი! არ მეკვრება, ბატონო და გადამიჭირეთ, თუ გნებავთ, "სკოჩი", ორენოვანი გაფრთხილება მოჰყვება – "რეისი თბილისი-ამსტერდამი მზადაა ასაფრენად, სასიამოვნო მგზავრობას გისურვებთ". იქვე ვასკვნი: ქართველ სტიუარდესებს ყველაზე სევდიანი ხმა აქვთ მთელი მსოფლიოს სტიუარდესებს შორის. მონდომებისა და პროფესიული ვალდებულების მიუხედავად, ისინი ხომ ცაშიც ვერ იშორებენ გაპრანჭულ, ძალით დასევდიანებულ თბილისურ ტონს.

მე კი მანქანებისა და მინი-ბუსების წამოსაყვანად ევროპაში გადმოხვეწილ ქართველებს ამსტერდამში ვტოვებ, რითაც მშობლიურ (პრე და, ჯერჯერობით, "პოსტ-ვარდულ") რეალობას საბოლოოდ ვემშვიდობები და პარიზამდე გზას "ჰოლანდიის სამეფო ავიახაზების" ბოინგით ვაგრძელებ.

ზოგადად, ყველა აეროპორტი თანამედროვე ბაბილონის გოდოლი, სხვადასხვა ენაზე შესრულებული "ინტერნაციონალია" და, ფრანგების პატრიოტიზმის მიუხედავად, ასეთია მათი შარლ დე გოლის საერთაშორისო აეროპორტიც – ულტრათანამედროვე დაწესებულება, სამი ტერმინალით, ყოველდღიურად გასასტუმრებელი თუ მისაღები 200 ათასი მგზავრითა და 6 ათასი ტონა ტვირთით.

მეტიც, პარიზი გლობალიზაციას ხარკს უხდის იმ პირველი 23 კილომეტრიდანვე, რომელიც აეროპორტს ქალაქის ცენტრს აშორებს: პირველი რეკლამა, რომელსაც ფრანგული აეროპორტიდან გზატკეცილზე გამოსვლისას დაინახავთ, კორეული "სამსუნგის" ტელეფონებისაა. შემდეგ პარიზულ გზებზე ერთმანეთს ცვლის მანქანების ბაზრობა – მზეზე აბრჭყვიალებული გერმანულ-იაპონურ-ამერიკული მანქანების გრძელი რიგით, ამერიკული "კონიკას" ოფისები, ასევე, ამერიკული წარმოშობის DHL-ის შენობები და ბოლოს – გლობალიზაციის ყველაზე ცინცხალი დასტური – "ბეჭდების მბრძანებელი-3"-ის პერსონაჟები დიდ სარეკლამო ბილბორდზე. თანაც – თუ არ ჩავთვლით უზარმაზარ და სახელგანთქმულ სტადიონს, "სტად დე ფრანსს" – პარიზის პირველი "მისადგომები" არცთუ ისე პარიზულად მოგეჩვენებათ – ძალიან ჩვეულებრივი პეიზაჟითა და იმდენად ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინებით, რომ გაბედავ და ამ ყველაფერს თბილისის აეროპორტის გზაზე გაშენებულ კორპუსებსაც შეადარებ.

თუმცა, ხელის ჩაქნევა ნაადრევია. ამ სახედაკარგული გლობალურობის ფონზე პარიზული მყუდროება და რომანტიკა უმალ შემოაქვს ერთ უბრალო სახელს – Cafe Brasserie და მერე უკვე ფსიქოლოგიურად შემზადებული ხვდები ძველისძველ სასაფლაოს, მონმარტრს, Sacre-Cceur-ის უზარმაზარ ბაზილიკას და ნამდვილ, ძველებურად მაცდურ და წითელ წისქვილს, მულენ რუჟს, სადაც უზარმაზარი აბრა გვატყობინებს, რომ სტუმრებს ამაღამ ასამდე გოგონა ახალ ფანტასტიკურ შოუს, Feerie-ს სთავაზობს.

აქედან უკვე პარიზი ისე უცებ "შედის ძალაში", რომ ველარც ხვდები, როგორ მიუახლოვდი დღის შუქზეც საოცრად ამაყად მდგომ უდიდეს სავაჭრო ცენტრს "ლაფაიეტს" (თანამედროვეობის კიდევ ერთ მონაპოვარს), კაპუცინების ბულვარს და გრანდიოზულ ოპერას, რომლის ფართო კიბეებიც სიარულისგან ქანცგაწყვეტილი ტურისტების, შეყვარებული წყვილების, მტრედებისა და, ბუნებრივია, ოპერაში მოსიარულეთათვის – პირდაპირ მისწრებაა.

თუ ოპერა თქვენი პირველი პარიზული გაჩერებაა, გზის გაკვლევაში საინფორმაციო-ტურისტული ცენტრი მოგეხმარებათ. სანამ რუკით ხელში სასტუმრომდე მიმავალ გზას იპოვიდეთ, უფრთხილდით ღარიბ პარიზელებსაც, რომლებიც ერთ დაბნეულ ტურისტს ათას გამვლელში თვალდახუჭულნი არჩევენ; თქვენი შესახედაობის მიხედვით, ან "კე ბელათი," ანდა "ვოთ ე ბიუთით" გელაქუცებიან და ოპერის ფონზე გადაღებულ "პოლაროიდის" ორ ფოტოში 15 ევროს გთხოვენ. იცოდეთ, მათთან შევაჭრება ისეთივე მიღებული წესია, როგორც ქაიროს ბაზრობებზე ვაჭრობის გაჩაღება. ამავე კანონს ექვემდებარებიან ეიფელთან თუ მონმარტრის ფუნიკულიორზე შექუჩებული აფრიკელი ბიჭები – სენეგალელი, უფრო ზუსტად, დაკარელი მუმბა და მისი ძმაკაცები, რომლებიც აფრიკული ეპოსით გაგართობენ, "დავაის" დონეზე რუსული ენის ცოდნით მოგაწონებენ თავს და წამში მოგიქსოვენ "თილისმას ბედნიერებისთვის".

...პარიზი ორგვარ ასოციაციას იწვევს. გახედავ ქალაქს, წარმოსახვიდან პარიზის ქუჩებში გადმოსხავ ათასჯერ შემეცნებული სტერეოტიპების პერსონაჟებს და დაასკვნი – არა, ამ ქალაქში არაფერი შეცვლილა: სენა კვლავაც ისეთია, რომ ვან გოგი უნდა ხატავდეს, ელისეს მინდვრებს წვიმაში – პისარო, კაპუცინების ბულვარზე ლუი დე ფიუნესი უნდა მორახრახებდეს თავისი წითელი მანქანით, ვერსალში ძველი, სამეფო ინტრიგები იხლართებოდეს.

თუმცა, მეორე მხრივ, გახედავ ქალაქს და "ცუდი ბიჭი" არქიტექტორის, რენცო პიანოს ფანტაზიის შედეგი – მილებიანი პომპიდუს ცენტრი და ლუვრში ამოზრდილი მინის პირამიდები მოგჭრით თვალს (სხვათა შორის, ამ ათვალწუნებულ პომპიდუს ცენტრს პარიზელები ისე შეეჩვივნენ, რომ სულ უფრო იშვიათად იმეორებენ წლების განმავლობაში ამოჩემებულ სარკასტულ ფრაზას: "საფრანგეთს არ აქვს ნავთობი, მაგრამ აქვს ნავთობსახდელი – პომპიდუს ცენტრი"); "დისნეის" გამოჩენა კი ძველი არქიტექტურის, ისტორიისა და კინოს ტყვეობიდან საბოლოოდ დაგაბრუნებთ ახალ პარიზულ რეალობაში – გაბრდღვიალებული ლაფაიეტის, სტადიონის, ათასი ნათურით გაკაშკაშებული ეიფელისა და შაილოტის სასახლის, მოხერხებული მეტროს, რუკებიანი ტურისტებით სავსე ლათინური კვარტლისა და უამრავი არალეგალური ემიგრანტის ქალაქში, რომელშიც სიცოცხლე დუღს: გრანდ პალასი გამოფენის - "გოგენი ტაიტიზე," სტუმრებს ვერ იტევს, "პომპიდუ" – ჟან კოკტოსა და ინტერაქტიული დიზაინის მოყვარულებს, "ორსეი" – აბსტრაქციონიზმის; მუდმივი სტუმრები ჰყავს იმპრესიონიზმის, მოდის და სხვა მუზეუმებს, ნოტრდამში საეკლესიო საგალობლებისა და კლასიკური მუსიკის კონცერტები იმართება, გარეთ, ნაძვის ხესთან კი სახელდახელო, საშობაო კონცერტს მართავენ ქუჩის მუსიკოსები (სხვათა შორის, ამ საერთო პარიზულ სიტუაციას უერთდება საქართველოც: სენ ჟერმენთან რომელიღაც პატარა და მყუდრო ქუჩაზე, ასევე, პატარა კინოთეატრში საქართველოზე გადაღებული ფილმი "მას შემდეგ, რაც ოთარი წავიდა" გადის, იქვე ქართული რესტორანი "ფიროსმანი" ამაოდ ელის პოპულარობას და ბევრ კლიენტს, ეიფელთან კი აფრიკელებთან და აზიელებთან ერთად ქართველი ჯიბის ქურდი ბიჭებიც "მუშაობენ". ისინი, ძირითადად, რუს ტურისტებს ყვლეფენ – ალბათ, ამით ისტორიულ-პოლიტიკურ სამართლიანობას აღადგენენ და ქართველების დანახვაზე ხშირად გარბიან).

ერთი სიტყვით, ინტერნაციონალური და ეთნიკურად აჭრელებული პარიზი ცოცხალი ორგანიზმივით სუნთქავს, განიცდის, უყვარს, უსმენს, იპრანჭება, ათვალიერებს, და, რა თქმა უნდა, შობისთვის ემზადება.

შობა კი, რაც უნდა არარომანტიკული იყოს, პარიზში თოვლის გარეშე ჩაივლის. სამაგიეროდ, ცივ ამინდებს ელფერს მზე მიანიჭებს. დიდი ქუჩების თავზე ჩამოკიდებული მორთული ნაძვის ტოტები, ანთებული ეიფელი და ტრიუმფალური თაღი; ხელოვნების დონეზე აყვანილი ე.წ. ფანჯრის დეკორაციები, რომელთაგან განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩევა შანზელიზეზე განთავსებული მსოფლიო მნიშვნელობის მაღაზიები და, რაღა თქმა უნდა, საშობაო კონცერტები.

### "ლოლიტა ლემპიკა" და პარიზელები

და აი, ბოლოს "ლოლიტა ლემპიკას" ღონისძიების დროც დგება. დილას რეცეპციონისტი ფრანგი ბიჭი მირეკავს და დამტვრეული ინგლისურით მახსენებს – ადგომის დროა (ეს ბიჭი უცხო ენების ფლობის თვალსაზრისით, სხვებთან შედარებით, კიდევ ანგელოზია: თუ სადმე დაიკარგე და რიგითი პარიზელის დახმარება დაგჭირდა, ზედა და ქვედა კიდურების აქტიურად მოხმარებისთვის უნდა შეემზადო და თან ინატრო, - სხეულის ენა, ნეტავ, უკეთ მესწავლაო. რას იზამ – ფრანგებს, უბრალოდ, არ უყვართ, როცა მათ ქვეყანაში ჩადიხარ და იმასაც არ ცდილობ, "გამარჯობა", "მადლობა" და "უკაცრავად" მათ ენაზე ისწავლო).

დილის ცხრის ნახევარია, სასტუმრო "მაგელანის" უწყნარესი ქუჩიდან (იმდენად წყნარი, რომ არ მცოდნოდა, ქვემოთ სასტუმროს მეტრდოტელი იდგა, ვირწმუნებდი, რომ მთელ ქუჩაზე ერთადერთი სულიერი მე ვიყავი) პორტ დე შამპერეს მეტრო-სადგურისკენ მივდივარ. სიამოვნებით ვუერთდები პარიზელების მასას და პარიზულ დილას – მოედნის კუთხეებში შეყუჟული კაფეები პირველი ფინჯანი ყავით უმასპინძლდებიან კლიენტებს, ყვავილების მაღაზიებში მცენარეებს რწყავენ, პარიზელები გაზეთით ხელში მეტროსკენ მიისწრაფვიან, ჯერ მზე მაღალი შენობების ჩრდილში ვერ აღწევს და ეს ყველაფერი დილის სუსხიან ბინდ-ბუნდში კიდევ უფრო რომანტიკული ჩანს.

თუმცა, როდესაც "ლოლიტა ლემპიკას" ეზოს ვუახლოვდები, ვხვდები, რომ რომანტიკაზე საუბარი სწორედ აქედან უნდა დამეწყო – "ლოლიტა ლემპიკა" – 21-ე საუკუნის პარიზელი ქალების თანამედროვე რომანტიკულობა გახლავთ და ეს ეზოდანვე იგრძნობა. თუმცა, მივყვეთ თავიდან.

ახლა მე (და თქვენც ჩემთან ერთად) კაროლინას ქუჩაზე ვიმყოფები კომპანია Pacific Creation Parfums-ის ოფისში. ეს სახელი ორ ცნობილ სავაჭრო ნიშანს აერთიანებს: Castelbajac-ს და "ლოლიტა ლემპიკას". პირველი ამ ეტაპზე თბილისში არ იყიდება, მეორე კი – მართალია, ისეთი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის, როგორც პარიზში, მაგრამ მას თბილისელები "ისი პარის" მაღაზიათა ქსელიდან მაინც კარგად იცნობენ.

სხვადასხვა ფერად განათებულ ორ ფანჯარას ფართო კიბე ჰყოფს. ერთი ფანჯარა Castelbajac-ის დარბაზს ეკუთვნის და, ამ ხაზის კონცეფციიდან გამომდინარე, მყვირალა ვარდისფერ სინათლეს აფრქვევს, მეორე ფანჯარა კი – "ლოლიტა ლემპიკას," და ის ნაზი იისფერია.

ღონისძიების პირველი სტუმარი მე ვარ (დაგვიანების შიშით ადრე მივსულვარ). კარში პირდაპირ კომპანიის პრეზიდენტი კეტრინ დოფინი მეგებება და როცა ხვდება, რომ, გზააბნეული გამვლელი კი არა, ჟურნალისტი ვარ, თავად მათვალიერებინებს ორივე დარბაზს. თან ნაჩქარევად მპირდება, რომ თბილისურ ბაზარზე მალე Castelbajac-იც გამოჩნდება. "7 წელია, ბაზარზე ვართ და უკვე ამხელა წარმატებები - ეს საოცარია", - დასძენს სწრაფად და ჩემს თავს პიარ გოგონას, ვალერის გადაულოცავს. თუმცა, ვალერიმ ერთი სიტყვაც რომ არ მითხრას, "ლოლიტა ლემპიკას" "სულისკვეთება," საპრეზენტაციო დარბაზის შესანიშნავი დეკორაციის გამო, უკვე გათავისებული მაქვს:

იატაკზე კვადრატულად ამოჭრილი ხავსის ხალიჩა აფენია. აქეთიქით რკინის ტიხრებზე შემოხვეული სურო იზრდება, კედლებზე ბაროკოს სტილის, თეთრი ჩარჩოები ჰკიდია. ფოთლებში ჩამაგრებულია ბრჭყვიალა თვლებით მორთული პეპლები; მაგიდებზე აწყვია მოოქროვილი, ვაშლის ფორმის სუნამოს ფლაკონები ქალებისთვის (აკრძალული ხილის ასოციაციით) და იასამნისფერი, ხის კუნძის ფორმის – მამაკაცისთვის... ერთი სიტყვით, ამ დეკორაციებით უკვე ყველაფერია ნათქვამი:

"ლოლიტა ლემპიკა" უცნაურ და მრავალფეროვან სამყაროს გვთავაზობს – ერთდროულად ბაროკოს და თანამედროვეს, მაცდურს და უმანკოს, ბუნებრივსა და ყალბს, ოცნებებით სავსეს და რეალურს.

ამ ყველაფერს თავის თავში აერთიანებს მამაკაცის ახალი 2004 წლის სურნელიც, რომელიც თბილისში გაზაფხულიდან შემოვა. ის წინაზე უფრო ცინცხალი და გრილია. ეს ახალი ტენდენცია ფლაკონსაც ეტყობა – ალარსად არის ოქროსფერი წინწკლები და ოღრო-ჩოღრო ზედაპირი. ფლაკონი კვლავაც ხის კუნძს წააგავს, მაგრამ პრიალა ზედაპირი აქვს, წარწერაც ღიაა; ძველ რომანტიკას კი მას "ლოლიტა ლემპიკას" ლოგო უნარჩუნებს – რომელიც, თითქოს, შეყვარებული კაცის მიერ ხეზე დანით ამოკვეთილ საყვარელი ქალის სახელს ჰგავს. "ჩვენ მამაკაცებს ოცნების საბაბს ვაძლევთ, ეს სურნელი მათ ახალი სამყაროს აღმოსაჩენად ეპატიჟება", - მიხსნის ვალერი.

მე კი მაშინვე მიჩნდება კითხვა: გასაგებია, რატომაც ირჩევენ პარიზელი ქალები "ლოლიტა ლემპიკას" - ის მათ იმ ქალურობას და სინაზეს უბრუნებს, რომელიც მანდილოსნებმა ახალ საუკუნეში დაკარგეს. მაგრამ, საინტერესოა, ამ ზეაწეული ტონით წარმოთქმული ფილოსოფიური კონცეფციების მოსმენა მამაკაცებს არ ბეზრდებათ? სჭირდებათ მათ "ლოლიტა ლემპიკას" სურნელთან ერთად ნაყიდი ოცნება?

ვალერი მარწმუნებს, რომ სჭირდებათ და ეს სუნამოების პოპულარობითაც იოლად მტკიცდება. "ბოლო ხანებში მამაკაცები ძალიან შეიცვალნენ. ისინი უფრო მგრძნობიარენი გახდნენ და ამის გამოხატვაც ისწავლეს. ჩვენ მათ ძლიერებას (ხის კუნძი) და ემოციას (იისფერი ტონი) ერთდროულად ვთავაზობთ და მათ ეს იდეალური კომბინაცია ძალიან მოსწონთ. ჩვენ მამაკაცებს საზღაპრეთში ვეპატიჟებით და ისინიც მოგვყვებიან", - მიხსნის ვალერი.

როგორც ჩანს, ეს ასეც არის. რადგან "ლოლიტა ლემპიკა" ფრანგულ ბაზარზე პირველ ხუთეულში შედის – "ენჯელთან", "ჟადორთან" და "შანელთან" ერთად. გარდა ამისა, ის 80-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება და ძალიან წარმატებულადაც", - ფაქტების გახსენებაში ვალერის კარენიც ეშველება და დასძენს: "ლოლიტა ლემპიკას" სუნამოებს ისინიც კი ყიდულობენ, ვისაც სურნელი დიდად არ მოსწონს – მათ, სამაგიეროდ, ხელოვნების რანგში აყვანილი ფლაკონები ხიბლავთ. ჩვენ ხომ ბოთლსაც და სურნელსაც მარადიულ ფასეულობებზე ვაფუძნებთ: არა ერთჯერადად მოდურ, არამედ უკვდავ ღირებულებებზე: სიყვარული, ზღაპარი, ოცნება".

...შეიძლება ვარდების რევოლუციის შემდეგ, მშენებარე ქვეყანაში ასეთი საუბრები ძალიან უადგილო გეჩვენოთ, მაგრამ პარიზს მსგავსი დიალოგები ძალიან უხდება. კაროლინას ქუჩაზე გამართული პრეზენტაციის აურა ხომ მთელ შანზელიზეზე ილვრება, პირველ რიგში კი - ვიქტორ ჰიუგოს ავენიუზე მოთავსებულ "ლოლიტა ლემპიკას" მდიდრულ ბუტიკში. როგორც კარენი მეუბნება, თუ ნამდვილი პარიზელი ხარ, საქორწინო კაბა აუცილებლად ამ ბუტიკში უნდა შეარჩიო – ეს დაუწერელი კანონივით არის, რადგან "ლემპიკა" მთელ პარიზში ყველაზე მოდურ კაბებს კერავს. ამ სავაჭრო ნიშნის პოპულარობას კიდევ უფრო ზრდის 2004 წლის კოლექციაც, რომელიც ნაზი, ღია ფერებით, ატლასისა და აბრეშუმის კაბებით არის სავსე.

აი, ასეთია "ლოლიტა ლემპიკას" უსაზღვრო და დუალისტური სამყარო, რომლის ნაწილიც თბილისში მისი სუნამოებით არის წარმოდგენილი.

და აი, ასეთია ორდღიანი სირბილის შედეგად დანახული პარიზი წინასაშობაო პერიოდში. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ეს "გარშემო" სირბილიც ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლო იყო. ბოლოს და ბოლოს, პარიზი ხომ მუზეუმების ქალაქია და, წესით, მაშინ უნდა ინახულო, როცა მოგენატრება; და მეც მომავალ მონატრებამდე ვემშვიდობები.



"ლოლიტა ლემპიკა" 2004 წელს სიახლეებით ხვდება


მონმარტრის ფუნიკულიორი


პარიზის სიმბოლოები


ლუვრის პირამიდები



ფეხბურთი

# ინტერვიუ "ოქროს ბურთის" მფლობელთან

*ყოველკვირეულმა ფრანგულმა ჟურნალმა France Football-მა, რომელიც ყოველი წლის დასასრულს ევროპაში მოთამაშე წლის საუკეთესო ფეხბურთელს ირჩევს და მას "ოქროს ბურთს" გადასცემს, უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2003 წლის ლაურეატი "იუვენტუსის" ჩეხი ნახევარმცველი, პაველ ნედვედია. მიუხედავად იმისა, რომ "ოქროს ბურთის" გადაცემის ცერემონიამდე მისი მფლობელის ვინაობა, როგორც წესი, მკაცრად არის გასაიდუმლოებული, France Football-ის ინფორმაციამ ერთი კვირის წინათ გაჟონა. ასე რომ, 2003 წლის "ოქროს ბურთის" მფლობელია პაველ ნედვედი, რომელთან ინტერვიუს ქვემოთ გთავაზობთ.*



*ნედვედი ევროპაში მაინც საუკეთესოა*

**- პაველ, თქვენს გადაბირებას მრავალი კლუბი ცდილობს. სულ ცოტა ხნის წინათ რომან აბრამოვიჩმა სარფიანი კონტრაქტი შემოგთავაზათ, თუმცა, "ჩელსიში" გადასვლისგან თავი შეიკავეთ და "იუვენტუსში" დარჩით...**

- "იუვენტუსში" გადასვლამდე მე მადრიდის "ატლეტიკოსა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" წინადადებებზე ვთქვი უარი. "იუვენტუსში" ძალიან მაფასებენ და აქ ყოფნით უაღრესად კმაყოფილი ვარ. მინდა, ამ კლუბში კიდევ სამ წელიწადს მაინც ვითამაშო. ბევრს შურს ჩემი, იმიტომ რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ორი სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში სამჯერ გავხდი ჩემპიონი. იტალიის ჩემპიონატში გამარჯვება, მართლაც, დიდი წარმატებაა და ეს ადვილად არ მოდის.

**- "იუვენტუსს" თავისი სტილი აქვს. შენი აზრით, რა განაპირობებს ამ კლუბის ასეთ სიძლიერეს?**

- შესაძლოა, ჩვენ არ გვაქვს ისეთი ელეგანტური სტილი, როგორიც მადრიდის "რეალს" ან "მილანს", მაგრამ ძალიან მეგობრული, კარგად შეთამაშებული გუნდი ვართ. ჩვენი კოზირი საიმედო დაცვა და ნახევარდაცვაა, რომელთა გარღვევა ძალიან ძნელია. ასე რომ, მეტოქეებისთვის "საზიზღარი ბიჭები" ვართ. "იუვენტუსი" სპეციალურად არჩევს ფსიქოლოგიურად მყარ, გაბედულ ფეხბურთელებს. მათი გატეხვა ძალიან ძნელია. მათ კარგად ესმით, რომ გუნდში ისინი ტიტულებისთვის საბრძოლველად აიყვანეს. საერთოდ, იტალიაში ფეხბურთელისგან ყოველთვის მაღალი კლასის თამაშს მოელიან, თითქოს ეს თავისთავად იგულისხმება.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მწვრთნელთან ურთიერთობა და მისი პირადი თვისებები?**

- მწვრთნელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, გუნდში არსებული კლიმატი. მარჩელო ლიპი შესანიშნავი დამრიგებელია. ის ძალიან თავშეკავებული და კორექტულია, საერთოდ, იშვიათად საუბრობს. მისგან ქების სიტყვებსაც ვერ ეღირსები, მაგრამ როდესაც ჩუმად არის, ეს კარგი ნიშანია. ესე იგი, ლიპი კმაყოფილია. დიდი მადლიერებით ვიხსენებ "შკოდას" მწვრთნელს, პლზენ იოზეფ ჟალუდკას, რომლის ხელმძღვანელობითაც ბავშვობაში ვთამაშობდი. მასზე უკეთესი მწვრთნელი არ შემხვედრია!

**- რომელი იყო ყველაზე ძნელად მოპოვებული გამარჯვება იტალიაში?**

- ალბათ, 2002 წელს, როდესაც მეორედ გავხდი იტალიის ჩემპიონი. მაშინ "იუვენტუსში" ახალი მოსული ვიყავი და ვერაფრით ვერ ვეგუებოდი ახალ სტილს. აი, 2000 წელს კი, "ლაციოს" შემადგენლობაში ერთი ამოსუნთქვით მოვიგეთ "სკუდეტო". თანაგუნდელებმა "ლაციოში" Duracell-ი შემარქვეს, იმის გამო, რომ ასეთი ენერგიული და სწრაფი ვარ. "იუვენტუსის" წლევანდელი ტრიუმფი სრულიად დამსახურებული იყო. პირველ წრეში ჩვენ დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ და ეს უპირატესობა ბოლომდე შევინარჩუნეთ. თვით მარჩელო ლიპისაც კი, რომელიც იშვიათად გამოხატავს ემოციებს, ეს გამარჯვება ბავშვივით უხაროდა.

**- ალბათ, გულშემატკივრები ხელით გატარებდნენ...**

- ტურინის ცენტრში ასი ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი. იტალიელები ყოველთვის გიჟებივით ზეიმობენ გამარჯვებას. ზოგჯერ ეს, მართლაც, საშიშ ფორმებს იღებს. "იუვენტუსში" თითოეულ ფეხბურთელს პირადი დაცვა ჰყავს. "ლაციოში" კი არავინ მიცავდა. მართალია, მე არაფრის მეშინია, მაგრამ გამაღიზიანებელია, როდესაც მანქანაში წყნარად ჩაჯდომის საშუალებას არ გაძლევენ. გასახდელისკენ გზაზე გულშემატკივრებმა თითქმის ბოლომდე გამაშიშვლეს. ამან ძალიან გაახალისა ჩემი ქალიშვილი ივანკა. მან ჩათვალა, რომ ეს ერთგვარი თამაში იყო.

**- თქვენი შვილები ხშირად დადიან თქვენს მხარდასაჭერად?**

- ისინი ჯერ ძალიან პატარები არიან და არ ესმით, თუ რა ხდება. თუმცა, როდესაც ჩემი უმცროსი შვილი, პავლიკი, დედამ ფინალზე არ წამოიყვანა (მაშინ ავად იყო), მთელი ერთი საათი ტიროდა. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, ბავშვები აჟიოტაჟს მოვარიდოთ. ხომ იცით, როდესაც გულშემატკივრები ბავშვებს დაინახავენ, თითს გაიშვერენ – "ნახეთ, ნედვედის შვილები არიანო". ცხადია, მსიამოვნებს, როდესაც ჩემი შვილები ჩემით ამაყობენ. ხანდახან მათთვის იმ გაზეთებსაც ვყიდულობ, სადაც ჩემი ფოტოებია დაბეჭდილი. იტალიურ პრესას კი თითქმის არ ვკითხულობ.

**- იმიტომ რომ იტალიური არ იცით?**

- არა. უბრალოდ, გაზეთებისთვის დრო აღარ მრჩება. ენა საკმაოდ მალე ავითვისე. მახსოვს, 1996 წელს, როდესაც "ლაციოში" გადავედი, მწვრთნელი ზდენეკ ზემანი იყო, ხოლო მისი დისშვილი ზდენეკ შესტაკი ჩემი ახლო მეგობარი გახლდათ. სწორედ მან მოიგონა ენის სწავლების საკუთარი მეთოდიკა. ქაღალდის პატარა ნაჭრებზე ფრაზებს წერდა, მე კი ვიზეპირებდი.

**- რა რეაქცია გექნებათ, თუ თქვენი შვილიც ფეხბურთელის პროფესიას აირჩევს და მეორე პაველ ნედვედი გახდება?**

- მხოლოდ გამეხარდება. თავის დროზე მამაჩემს ეშინოდა, რომ წარმატება გონებას ამირევდა. მე ხომ უბრალო ბიჭი ვიყავი, სოფელში გავიზარდე. 19 წლის ასაკში, როდესაც პრაღის "დუკლაში" თამაში შემომთავაზეს, მამაჩემი არ მიშვებდა. ფიქრობდა, რომ დიდ ქალაქში ცხოვრება გამაფუჭებდა, მაგრამ ჩემს დაკავებას აზრი არ ჰქონდა.

**- ჰოო, ნამდვილად მტკიცე ხასიათი გაქვთ. ტყუილად ხომ არ ხართ ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი...**

- მართალია. როდესაც იოზეფ ხოვანეცი გუნდის ლიდერს ეძებდა, არჩევანი ჩემზე გააკეთა. ამან ძალიან გამახარა. კარგი ხასიათი ნამდვილად არ მაქვს. თუ მოედანზე რაღაც არ გამოდის, ისე ვბრაზდები! მნიშვნელოვანი მატჩების წინ ჟურნალისტებს უარს ვეუბნები ინტერვიუზე, რათა კონცენტრაცია არ დავკარგო. მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ მართალი ვარ...

# ჩაშლილი საშობაო ზეიმი მილანსა და ტურინში

ნინო პირველი

კვირას სერია ა-ს საშემოდგომო სეზონი დასრულდა და ფეხბურთელებიც და ტიფოზებიც საშობაო არდადეგებზე წავიდნენ. ბოლო ტური მეტად დრამატული და სიურპრიზებით აღსავსე აღმოჩნდა. ახალი წლის ზურბლზე სერია ა-ს გრანდებს თითქოს ძალა გამოელიათ, თითქოს მობეზრდათ ლიდერის მძიმე ტვირთის ტარება. "მილანი", "ინტერი", "იუვენტუსი"... სამივე ძალაგამოცლილი და დაღლილი იყო. ბოლო ტური მათთვის მძიმე მოვალეობად იქცა, რომელიც აუცილებლად უნდა მოეხადათ. მოიხადეს კიდეც, ოღონდ მეტად უცნაური შედეგებით. ვინ იცის, ტოტალიზატორის რამდენ აზარტულ მოყვარულს ჩაუშალეს შობის წინ გამდიდრების გეგმები "მილანმა" და "იუვემ", ვინ დათვლის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით რამდენი გაწბილებული ფანი იხსენიებს უდიერად "ინტერს" და გაოცებულია "ლაციოსა" და "უდინეზეს" კარგი თამაშით. აი, საშობაო საჩუქარიც ასეთი უნდა... მილანში და ტურინში დაღლილობამ და მოწყენილობამ დაისადგურა. სამაგიეროდ, რომში დიდი ზეიმია. შაბათს ფაბიო კაპელოს "რომამ" სტუმრად მოუგო ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ "ემპოლის" და ზამთრის არდადეგებზე ლიდერის ამპლუაში წავიდა. ტოსკანელთა კარში რომაელებმა ორი გოლი გაიტანეს და ორივე "რომას" კაპიტნის ფრანჩესკო ტოტის ანგარიშზეა. ტოტი დღის გმირად იქცა. შაბათ საღამოს ნახევარი რომი ზეიმობდა, მეორე ნახევარი კი "ინტერთან" მატჩისთვის ემზადებოდა. "ლაციო", რომელმაც ამ სეზონში საოცრად ცუდად ითამაშა ევროასპარეზზე და არათუ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვერ გავიდა, არამედ უეფას თასის ტურნირზეც კი ვერ მოხვდა, თავის ძირითად მიზნად სერია ა-ში აღზევება დაისახა. რობერტო მანჩინი შაბათს მეტად აღტაცებული იყო ფრანჩესკო ტოტის კარგი თამაშით. "ემპოლის" დამარცხების შემდეგ "ლაციოს" თავკაცმა ქებაც კი შეასხა მეტოქე გუნდის კაპიტანს: "იუვენტუსში" რომ ყოფილიყო, აქამდე "ოქროს ბურთს" მიიღებდაო. "ლაციომ", თავისდაუნებურად, დიდად შეუწყო ხელი ცხრილის სათავეში "რომას" წამოსკუპებას. თუმცა მანამდე "რომას" ხელი წააშველა "ინტერმა", რომელმაც ტურინის "დელე ალპიზე" სეზონის პირველი მარცხი აგემა მარჩელო ლიპის ჩემპიონებს. წლის ბოლო მატჩში "ლაციოს" სწორედ "ინტერთან" უწევდა შეხვედრა. იმ გუნდთან, რომელმაც "იუვენტუსს" შემოდგომის სეზონის პირველ ადგილზე დასრულების სიამოვნება წაართვა. "ლაციოს" ფეხბურთელები მილანელებთან სათამაშოდ გულმოდგინედ ემზადებოდნენ. არ უნდოდათ, რამით ჩამორჩენოდნენ "რომას" გმირებს, რომელთაც ტიფოზებს ასეთი შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნეს საშობაოდ. ჩემპიონთა ლიგიდან მოულოდნელად გამოვარდნილი "ინტერი" ოდნავ შებორკილი, მაგრამ საკუთარ თავში სრულიად დარწმუნებული ჩავიდა რომში. "ლაციოს" ექს-თავკაცი ალბერტო ძაკერონი მილანელ ფანებს გამარჯვებას ჰპირდებოდა, მაგრამ თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. პირველი გოლი ვიერიმ გაიტანა და "ინტერი" იოლი გამარჯვების მოპოვების იმედით აღივსო, მაგრამ კორადიმ პირველი ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შეძლო წონასწორობის აღდგენა. მეორე ტაიმში თამაში



REUTERS

*ტოტი და რომა საშობაოდ კარგ ხასიათზე არიან*

ნერვულად და დაძაბულად წარიმართა. ყველაფერს მაშინ დაესვა წერტილი, როცა 78-ე წუთზე ალმეიდამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და "ინტერი" ათი კაცით დარჩა. ძაკერონი უკვე გამარჯვებაზე აღარ ფიქრობდა, ბედნიერი იქნებოდა, თუ ერთ ქულას მაინც წამოიღებდა მარადიული ქალქიდან, მაგრამ "ლაციოს" ფეხბურთელებმა თავიანთ ყოფილ ხელმძღვანელს ეს სიამოვნება არაფრით არ მიანიჭეს. "ინტერი" ერთხანს უძლებდა "ლაციოს" შეტევებს და თითქოს ნანატრი ფრეც სულ ახლოს იყო, მაგრამ მატჩის დასრულებამდე ხუთი-ექვსი წუთით ადრე ძაურიმ ტოლდოს აჯობა და "ინტერის" წამებაც ამით დასრულდა. ახლა, ძაკერონის გუნდის მსგავსად, რომაელებსაც 28 ქულა აქვთ და იმედოვნებენ, რომ არდადეგების შემდეგ აუცილებლად მოახერხებენ საუკეთესო ოთხეულში მოხვედრას.

იმ დროს, როცა "ინტერი" რომის ოლიმპიურ სტადიონზე გადარჩენისთვის იბრძოდა, მილანის "სან-სიროზე" კარლო ანჩელოტის ჩინ-მედლებით დამძიმებული "მილანი" უსახელო და უტიტულო "უდინეზესთან" სულს ლაფავდა. "მატჩის მეორე წუთზე დინო ფავას გოლით ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. მილანის" ტიფოზები 22 წუთის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის საპასუხო გოლს. "მილანი" ვერაფერს გახდა ფრიულელებთან. 22-ე წუთზე სერჟინიომ პენალტის შესრულების უფლება მოიპოვა, მაგრამ რად გინდა, ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა. ანდრეა პირლომ, რომელმაც ინტერკონტინენტალური თასის ფინალშიც უზუსტოდ დაარტყა არგენტინული "ბოკა ხუნიორსის" კარში, იაპონური შეცოდება მილანშიც გაიმეორა. ეს უკვე განგაშის ნიშანი იყო. მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე "მილანმა" ანგარიშის გათანაბრების ნაცვლად მეორე გოლი მიიღო ვალერიო ბერტოტოსგან. 69-ე წუთზე მასპინძელთა ვეტერანმა მცველმა, ბრაზილიელმა მარკოს კაფუმ ერთი ბურთი გაქვითა და მილანელებს იმედი მიეცათ, მაგრამ მე-80 წუთზე კახა კალაძემ სულელური წითელი ბარათი მიიღო და ათი კაცით დარჩენილმა "მილანმა" ველარაფერი გააწყო გალაღებულ სტუმრებთან. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ ყველაფერი დაღლილობას გადააბრალა - იაპონიიდან ჩამოსვლის შემდეგ დასვენება ვერ მოვასწარითო. ალბათ, ასეც იყო, მაგრამ ეს წაგებულ მატჩს ნამდვილად ვერ შველის.

იტალიის მოქმედი ჩემპიონი, ტურინის "იუვენტუსიც" მეტად უსახურად დაემშვიდობა ტიფოზებს ზამთრის არდადეგების წინ. მართალია, ტურინელები სტუმრად თამაშობდნენ "ლეჩესთან", მაგრამ ეს მოულოდნელი ფრე მაინც არ ეპატიება "იუვენტუსს", რომელიც ამ სეზონში ოცდამერვე "სკუდეტოს" მოგებას აპირებს. ტურინელებმა მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს თავის გადარჩენა. ანგარიში "ლეჩემ" გახსნა 24-ე წუთზე, 59-ე წუთზე იულიანო გააწითლეს და ნაადრევად გაისტუმრეს შხაპის მისაღებად. "იუვემ" თითქმის მთელი მეორე ტაიმი ათი კაცით ითამაშა და როცა უკვე ტურინელ ტიფოზებს საბოლოოდ დაეკარგათ სალენტინის ნახევარკუნძულიდან თუნდაც ერთი ქულის წამოღების იმედი, სწორედ მაშინ ივარგა შეცვლაზე შესულმა დავიდ ტრეზეგემ და "ბებერი სინიორა" სეზონის ყველაზე დიდ სირცხვილს გადაარჩინა. აი, ასე მოულოდნელი შედეგებით დასრულდა დეკემბრის ბოლო ტური იტალიაში.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალის" მცველს, სოლ კემპბელს კლუბთან კონტრაქტი ორი წლის შემდეგ უმთავრდება. მიუხედავად ამისა, ლონდონელებმა ამ ხელშეკრულების გაგრძელება ახლავე მოისურვეს და კემპბელს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ, თანაც, 2009 წლამდე! ეს ინფორმაცია "არსენალის" ფრანგმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმაც დაადასტურა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 18 წლის ამერიკელი ფეხბურთელი კენი კუპერი "დალას მუსტანგზის" საკუთრებაა, თუმცა, ამჟამად, იჯარის წესით "მანჩესტერ იუნაიტედში" ირიცხება. როგორც ჩანს, სერ ალექს ფერგიუსონს 18 წლის ამერიკელი მოეწონა, რადგან "მანჩესტერი" კუპერთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ინგლისური კლუბი "დალას მუსტანგზს" კუპერის სანაცვლოდ ერთ მილიონ გირვანქას სთავაზობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბერლინის "ჰერტამ", რომელმაც ჯერ ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰუუბ სტივენსი დაითხოვა, შემდეგ კი მისი შემცვლელი ანდრეას ტომიც გააძევა, გუნდის ახალ დამრიგებლად 61 წლის ჰანს მაიერი დანიშნა. მაიერის უკანასკნელი გუნდი იყო მიონხენგლადბახის "ბორუსია", საიდანაც ის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გააგდეს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ჰანს მაიერი იყო იენის "კარლ ცაისის" მწვრთნელი, როდესაც ეს კლუბი 1981 წლის 13 მაისს თბილისის "დინამოს" შეხვდა თასების მფლობელთა თასის ფინალში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გაზეთმა "Советский спорт"-მა დაასახელა 2003 წლის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელი, რომელიც გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა. ეს გამოკითხვა 100 წამყვან სპორტულ ჟურნალისტს, 176 ფეხბურთელსა და რუსეთის ჩემპიონატის კლუბების 16 მწვრთნელს შორის ჩატარდა. რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელად მოსკოვის "ლოკომოტივისა" და რუსეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი, დიმიტრი ლოსკოვი აღიარეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩინელი ბიზნესმენი სუი მინი ინგლისური "ლიდსისა" და იტალიური "პარმას" შეძენით დაინტერესდა. სუი მინი ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ქიმიური ქარხნის მეპატრონეა და, ამავდროულად, ჩინურ საფეხბურთო კლუბს, "დალიან შიდეს" ფლობს. ახლა კი ის ევროპული კლუბების შეძენით დაინტერესდა. აღსანიშნავია, რომ "ლიდსიც" და "პარმაც" ფინანსურ პრობლემებს განიცდიან და ახალ ინვესტორებს საჭიროებენ. ჩინური პრესა იუწყება, რომ მულტიმილიონერი აპირებს, ავსტრალიის, აშშ-ს და სამხრეთ კორეის ფეხბურთშიც დააბანდოს ფული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კამერუნის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ვალერი ნეპომნიაში, რომელიც უკანასკნელ ხანს ჩინური კლუბის, "შანდუნის" მწვრთნელად მუშაობდა, რუსეთში დაბრუნდა. თავად ნეპომნიაშის განცხადებით, "შანდუნთან" კონტრაქტი მან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გაწყვიტა. ნეპომნიაში ამბობს, რომ გადაწყვიტა, სამშობლოში მომჯობინდეს და უახლოესი ნახევარი წლის განმავლობაში სამწვრთნელო საქმიანობისგან დაისვენოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური ჟურნალი People იუწყება, რომ ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი, სვენ გორან ერიქსონი მომავალ კვირას გაემგზავრება მადრიდში, სადაც ინგლისის ნაკრების კაპიტანს, დევიდ ბექჰემს შეხვდება. ერიქსონის ვიზიტის მიზანი ბექჰემთან ნაკრების თავდასხმის ხაზის პრობლემების შესახებ საუბარი ყოფილა. მაიკლ ოუენი ტრავმირებულია, უეინ რუნი კი უკანასკნელ ხანს ცუდად გამოიყურება. ერიქსონს სურს, რომ ნაკრებში ვეტერანი ალან შირერი დააბრუნოს. მადრიდში ის სწორედ ამ საკითხს შეუთანხმებს ბექჰემს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი თავისი გუნდის მცველის, რვა თვით დისკვალიფიცირებული რიო ფერდინანდის შემცვლელის ძებნას შეუდგა. ფერგიუსონი ახალი, მაღალი კლასის მცველის შეძენას აპირებს და სამი კანდიდატურა უკვე შეარჩია კიდეც. შოტლანდიელ მწვრთნელს სურს შეიძინოს ბარსელონელი კარლეს პუიოლი, დანიელ ვან ბუიტენი ("მარსელი"), ან ვენსან კომპანი ("ანდერლეხტი").



*ინფოთეკა*

**ჩოგბურთი.** ამერიკელი სერენა უილიამსი უარზეა, მონაწილეობა მიიღოს ჰოპმანის თასის გათამაშების გუნდურ ტურნირში, რომელიც ავსტრალიის ქალაქ პერტში 3 იანვარს დაიწყება. სერენამ უარის მიზეზად ის გარემოება დაასახელა, რომ მას სურს, რაც შეიძლება, უკეთ მოემზადოს ავსტრალიის ღია ჩემპიონატისთვის, რომელიც 19 იანვარს დაიწყება და ტურნირის გამარჯვებულის რეპუტაცია დაიცვას. რაც შეეხება ჰოპმანის თასს, აქ უმცროს უილიამსს ლინდსი დევენპორტი შეცვლის.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა გადაწყვიტა, გამოტოვოს ათენის 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, რომელიც თითქმის იგივე ვადებში იმართება, რომელშიც ამერიკის ღია ჩემპიონატი. ჰიუიტმა განმარტა, რომ მომავალ წელს აპირებს, მთელი ძალისხმევა "დიდი სლემის" ოთხ ტურნირზე და დევისის თასზე გადაიტანოს. ოლიმპიური ტურნირი 22 აგვისტოს დამთავრდება, აშშ-ის ღია ჩემპიონატი კი 8 დღის შემდეგ დაიწყება.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ფრანგულმა გამოცემამ l'Equipe დაასახელა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი. აღიარება წილად ხვდა "სან-ანტონიო სფურსის" გამთამაშებელ ტონი პარკერს. კალათბურთელმა ეს ჯილდო პირველად მიიღო. ტონი პარკერი პირველი ფრანგია, ვინც წელს NBA-ის ჩემპიონი გახდა. გამოკითხვაში პარკერმა აჯობა საფრანგეთის ქალ ხელბურთელთა ნაკრებს, რომელმაც ხორვატიაში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო და სიგრძეზე მხტომელ იუნის ბარბერს, რომელიც პარიზში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულია.

■ ■ ■

**კრივი.** ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა გამოცემამ, რომელიც კრივს ეძღვნება, ჟურნალმა "რინგი", გამოაქვეყნა თავისი ახალი რეიტინგი, რომელშიც თავმოყრილია საუკეთესო მოკრივეთა ნუსხა - მათი წონითი კატეგორიების მიუხედავად. წინა რეიტინგისგან განსხვავებით, ფილიპ ნ`დოუს დამაჯერებელი დამარცხების შემდეგ ფლოიდ მეივეზერმა ორი საფეხურით ზევით აიწია და ერიკ მორალესი და კონსტანტინ ცზიუ ჩამოიტოვა. გთავაზობთ რეიტინგის პირველი ათეულის ნუსხას.

როი ჯონსი
ბერნარდ ჰოპკინსი
მარკო ანტონიო ბარერა
შეინ მოსლი
ოსკარ დე ლა ჰოია
ფლოიდ მეივეზერი
კონსტანტინ ცზიუ
ერიკ მორალესი
რიკარდო მაიორგა
ჯეიმს ტონი

■ ■ ■

**კრივი.** სუპერქვემსუბუქ წონით კატეგორიაში კრივის ამომავალმა ვარსკვლავმა, პუერტორიკოელმა ხოსე მიგელ კოტომ (22-0-0) საკუთარ კედლებში მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ენტონი მარტინესი. თუმცა, არ არის საჭირო, ხოსე მიგელი კიდევ ერთ პუერტორიკოელ ამომავალ ვარსკვლავში მიგელ ანხელ კოტოსთან ავურიოთ (18-0-0).

■ ■ ■

**კალეიდოსკოპი.** გერმანელებმა წლის საუკეთესო სპორტსმენი დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ ლეგენდარულმა გერმანელმა ავტომრბოლმა მიხაელ შუმახერმა სამშობლოში აღიარება ვერ პოვა. პირველობა წილად ხვდა ველომრბოლ იან ულრიხს. გერმანული სპორტული გამოცემების გამოკითხვის შედეგად ულრიხმა ყველაზე მეტი ხმა მიიღო - 3338. მსოფლიოს 6-გზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მეორე ადგილზე გავიდა - 2862. მესამე ადგილზე სათხილამურო ორჭიდში მსოფლიო თასის მფლობელი რონი აკერმანია - 1897. ქვეყნის საუკეთესო გუნდად სპეციალისტებმა დაასახელეს გერმანიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

■ ■ ■

**კალეიდოსკოპი.** სპორტულ მიმომხილველთა ევროპის კავშირმა ევროპის საუკეთესო სპორტსმენ ქალად ბელგიელი ჩოგბურთელი ჟიუსტინ ენინ-არდენი დაასახელა. მამაკაცთა თანრიგში კი საუკეთესო სპორტსმენის ჯილდო მიხაელ შუმახერს ერგო.

■ ■ ■

**კალეიდოსკოპი.** "ბი-ბი-სიმ" და "როიტერმა" 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენად ამერიკელი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი დაასახელა. ამ ორი საინფორმაციო საშუალების აზრთა თანხვედრასა და აღიარებას არმსტრონგმა თავმდაბლურად უპასუხა: "ტემპის დაგდებას არც მომავალ სეზონში ვაპირებ". ჩემპიონმა ისიც აღნიშნა, რომ აპირებს, "ტური" 2004 წელსაც მოიგოს.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** მძლეოსნობის ევროპის ასოციაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენად შვედები - კაროლინა კლუფტი და კრისტიანა ოლსონი აღიარეს. კლუფტი ერთ-ერთია იმ სამი სპორტსმენიდან, რომლებმაც შვიდჭიდის ერთ ტურნირზე 7000 ქულის მოგროვება შეძლეს. ეს მოხდა პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც მან ოქროს მედალი მოიგო. უკანასკნელად ამ შედეგის მიღწევა 11 წლის წინათ, ამერიკელმა ჯესი ჯოინერკერსიმ მოახერხა. 24 წლის ოლსონმა სამხტომში ზედიზედ 15 ტურნირი მოიგო. მისი საუკეთესო შედეგი 2001 წლის შემდეგ, 55 ტურნირიდან 53-ში, 17 მეტრს აღემატებოდა.

*ფეხბურთი*

# ბენდელას თასი: ჩემპიონი მარცხით იწყებს

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში მე-12 სტარტი აიღო აფხაზეთში გმირულად დაღუპული ქართველი ფეხბურთელის, ზაზა ბენდელიანის სახელობის ტრადიციულმა ტურნირმა მინიფეხბურთში, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს. ორგანიზატორებმა გუნდები სამ ქვეჯგუფად დაყვეს. A ჯგუფში მოხვდნენ "ოფისლაინი", "ნაციონალები", თსუ და "დინამო 2", B ჯგუფში – "მაისი", "ჩიხურა", "თბილისი" და "კახეთი", C ჯგუფში – GWS, "ზოოვეტი", "ლოკომოტივი" და "ვაკე 91".

ტურნირის სასტარტო მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ "ოფისლაინისა" და "ნაციონალების" გუნდები. "ნაციონალების" სახელმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ: ამ გუნდს არც მიხეილ სააკაშვილთან აქვს რამე საერთო და ფეხბურთელებიც ვარდებით არ გამოსულან მოედანზე. რაც შეეხება სახელს, გუნდს სპონსორის, კაზინო "ნაციონალის" სახელი დაერქვა. და მაინც, ამ რევოლუციურმა სახელმა მატჩის მსვლელობაზე და შედეგზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. მართალია, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ცნობილი სამორინეს გუნდმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ასევე საკმაოდ პოპულარული საოფისე ინვენტარის ექსპორტიორი ფირმის წარმომადგენლებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა. პრინციპში, არც არის გასაკვირი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "ოფისლაინის" შეფობამ მოახერხა და თავისი გუნდის განაცხადში შეიყვანა დონეცკის მეტალურგისა და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი, გიორგი დემეტრაძე. სწორედ დემეტრაძემ ითამაშა მატჩში მთავარი როლი: მაშინ, როდესაც ანგარიში საყაიმო (2:2) იყო, გიორგიმ მესამედ აიღო "ნაციონალების" კარი და შეხვედრაში საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. სხვათა შორის, დემეტრაძე "ბენდელას" ტურნირის ერთ-ერთ ვეტერანადაც შეიძლება ჩაითვალოს: წლეულს ის მეოთხედ მონაწილეობს ამ საახალწლო მინიტურნირში და ორჯერ მისი საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. აღსანიშნავია, რომ "ოფისლაინის" ღირსებას საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, მოსკოვის სპარტაკელი აბრამიძე იცავს.

საინტერესო გამოდგა "მაისისა" და "ჩიხურას" დაპირისპირება, რომელიც, პირველ რიგში, იმით გამოირჩა, რომ მაყურებელმა "მაისის" რიგებში თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების 3 ფეხბურთელი – შაშიაშვილი, ბურდული და გოგობერიშვილი იხილა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ასე დაკომპლექტებულ "მაისს" "ჩიხურა" დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ასეც მოხდა: საგაზაფხულო გუნდმა დიდი ანგარიშით - 6:2 გაიმარჯვა. "დუბლით" კი ამ მატჩში ბურდულმა გამოიჩინა თავი.

ფეხბურთელებისა და მინიფეხბურთელების დაპირისპირება აღინიშნა "დინამო – 2"-ისა და თსუ-ს თამაშში. "დინამო – 2", მოგეხსენებათ, "დინამოს" ფარმკლუბია და საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ასპარეზობს. თსუ კი პროფესიონალური სამინიფეხბურთო კლუბია და გასულ წელს მინიფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატში ვერცხლის მედლებს დაეუფლა. ამის მიუხედავად, "დინამო – 2"-მა მალე აუღო ალღო მისთვის შედარებით უცხო სამინიფეხბურთო გარემოს და მოწინააღმდეგე 3:2 დაამარცხა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თსუ-მ, პრაქტიკულად, 6 ფეხბურთელით, სათადარიგოების გარეშე ითამაშა, რაც მინიფეხბურთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა "თბილისისა" და "კახეთის" მატჩში. "კახეთი" რეგიონალლიგაში თამაშობს. "თბილისი" კი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით ზეექვსეულში დაიკავა ადგილი და გაზაფხულიდან ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ამ წყვილში აშკარა ფავორიტად ითვლებოდა. თუმცა, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მინიფეხბურთში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს რეგალიებს და რანგში განსხვავებას. "კახეთმა" არაფერი დაუთმო მეტოქეს, 2-ბურთიანი სხვაობითაც დაწინაურდა და მხოლოდ მატჩის მიწურულს მისცა "თბილისს" მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვის საშუალება.

მთავარი სენსაცია კი წინ იყო: ტურნირის ჩემპიონმა, თბილისის "ლოკომოტივმა", არათუ ვერ შეძლო "ვაკე – 91"-ის დამარცხება, არამედ, დაძაბულ ბრძოლაში თავად დათმო მატჩი დღის ყველაზე პოპულარული ანგარიშით, 2:3 და, როგორც ჩანს, ძალზე გაუჭირდება ტიტულის დაცვა.

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ოფისლაინი | 3:2 | ნაციონალები |
| დინამო-2 | 3:2 | თსუ |

**B ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| მაისი | 6:2 | ჩიხურა |
| თბილისი | 1:2 | კახეთი |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| GWS | 2:1 | ზოოვეტი |
| ვაკე-91 | 3:2 | ლოკომოტივი |

მეორე წრის მატჩები დღეს გაიმართება. თამაშები დაიწყება 10 საათსა და 30 წუთზე.

# სვენ გორან ერიქსონი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს

ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიქსონი გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. ამის შესახებ ერიქსონმა "სქაი სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან შვედი სპეციალისტის მიმდინარე შეთანხმება 2006 წლამდე არის გაფორმებული (მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლით). ამას წინათ კი მას შესთავაზეს ახალი, 2-წლიანი კონტრაქტის გაფორმება, რომელსაც 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპიც უნდა მოეცვა. წლეულს სვენ გორან ერიქსონის ხელმძღვანელობით ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა პირდაპირ, ყოველგვარი გადათამაშების გარეშე მოიპოვა პორტუგალიის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ერიქსონი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს, ის აპირებს, ამ ორგანიზაციასთან მოლაპარაკების მაგიდას მომავალი წლის დასაწყისში მიუჯდეს. მწვრთნელის თქმით, ის ფიქრობს



*რა ჩაიფიქრეს ერიქსონმა და აბრამოვიჩმა?*

ინგლისის ნაკრებთან კონტრაქტის გაგრძელებაზე, მაგრამ "2008 წლამდე ჯერ შორს არის", - ამბობს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი. სხვათა შორის, შვედი სპეციალისტი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მწვრთნელთან ახალი კონტრაქტის გაფორმების სურვილი გაახმაურა.

შეგახსენებთ, რომ შემოდგომაზე სვენ გორან ერიქსონს ჯიქურ უშვებდნენ ლონდონის "ჩელსიში". ამის მიზეზი გახდა შვედისა და რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის კონფიდენციალური შეხვედრა. ცეცხლს ნავთი დაასხა თავად მწვრთნელმა, როცა განაცხადა, რომ არ გამორიცხავს რომელიმე გუნდში მწვრთნელად დაბრუნებას. მოარული ხმების თანახმად, აბრამოვიჩმა შვედს, სხვადასხვა ბონუსის გარდა, ოთხ წელიწადში 34 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, რაც ორჯერ მეტია ერიქსონის ახლანდელ ჯამაგირზე.

ამის შემდეგ ბევრმა სპეციალისტმა ერიქსონი "ჩელსის" მწვრთნელად მონათლა. ახლა თუ არა, მომავალში მაინც. ამის ვარაუდის საშუალებას კი სპეციალისტებს სვენ გორან ერიქსონის მიერ პორტუგალიაში გაკეთებული განცხადება აძლევს, სადაც ის წინადადებით მიმართავს იტალიის ნაკრების მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის, სერიოზულად დაფიქრდეს ბრიტანეთის რომელიმე კლუბში მუშაობის პერსპექტივაზე.

*კრივი*

# კლიჩკო ლუისს ელოდება

48 საათიც კი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ვლადიმირ კლიჩკომ დანიელ ნიკოლსონი გალახა, რომ კლიჩკოები მოსკოვში ჩავიდნენ. მათი ვიზიტი ძმების წიგნის - "ფიტნესის 12 რაუნდი" პრეზენტაციას ეძღვნებოდა. "ბევრი ნაცნობი გვეკითხებოდა, როგორ ვახერხებდით ფიზიკური ფორმისა და მორალური სიმშვიდის შენარჩუნებას. პასუხად ეს წიგნი დავწერეთ, - თქვა ვლადიმირ კლიჩკომ, - ჩვენი გლობალური ამოცანაა, სხვადასხვა ვერსიით მსოფლიო ჩემპიონები გავხდეთ. იმედი გვაქვს, ამას მომავალ წელს მივაღწევთ".

ბუნებრივია, ვიზიტის ფარგლებში ძმები ჟურნალისტების წინაშე წლის შემაჯამებელი გამოსვლითაც წარდგნენ. ჩანს, კლიჩკოები ზაფხულის კოშმარის შემდეგ ცოტათი მომჯობინდნენ. ყოველ შემთხვევაში, ღიმილი მათ სახეზე სწორედ ამის მაუწყებელი იყო. სამმა გამარჯვებამ, რომელიც ორ მარცხს მოყვა, თავისი საქმე გააკეთა. პირველი სიტყვა ვიტალის ერგო.

"ალბათ, გახსოვთ, 21 ივლისს რეფერიმ ტექნიკური ნოკაუტით ლუისის გამარჯვება დააფიქსირა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა შეაჩერა ბრძოლა, რომელსაც ვიგებდი, მე რეიტინგში დეგრადირება დავიწყე. ამის შემდეგ დრო დამჭირდა იმისთვის, რომ პოზიციები დამებრუნებინა და კვლავ ოფიციალური პრეტენდენტი გავმხდარიყავი. 6 დეკემბერს დაგეგმილი იყო ლენოქს ლუისთან მატჩ-რევანში, მაგრამ ბრიტანელმა განაცხადა, რომ მზად არ არის. ამიტომ ფორმის შესანარჩუნებლად ჩემმა პრომოუტერებმა



*ვლადიმირ კლიჩკო კორიფეებთან ჩხუბზე ოცნებობს*

კირკ ჯონსონთან ჩხუბი გამიშანსეს", - ამბობს ვიტალი კლიჩკო.

რაც შეეხება ლუისს, ფაქტი ის არის, რომ ლუისით თუ ლუისის გარეშე სრულიად მსოფლიოს მოკრივეთა კონგრესის ტიტული უნდა გათამაშდეს. "WBC-მ ლუისს ულტიმატუმი წაუყენა. ბრიტანელი ვალდებულია, 2004 წლის ივნისამდე შემხვდეს. თუ ის ბრძოლას თავს აარიდებს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაკარგავს. ახლა მე ლუისის გადაწყვეტილებას ველოდები. წესით, უახლოეს მომავალში მან უნდა გაარკვიოს, აპირებს ჩემთან ბრძოლას თუ მოკრივის კარიერას დაასრულებს. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით ჩემს მომავალ გეგმებსა და პერსპექტივაზე საუბარს აზრი არა აქვს", - განაცხადა უფროსმა კლიჩკომ.

ლუისის გარდა, კლიჩკოს ჰყავს კიდევ ერთი პოტენციური მეტოქე მაიკ ტაისონის სახით. თუმცა, ამჯერად ტაისონთან შეხვედრის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია. "ტაისონი დაესწრო პრესკონფერენციას, რომელიც ჯონსონთან შეხვედრის შემდეგ გაიმართა, - ამბობს ვიტალი კლიჩკო, - მე ვკითხე: "რაო, მაიკ, იჩხუბებ ჩემთან?" - რაზეც მან განაცხადა:

"ვიტალი, ხომ იცი, აღარ ვჩხუბობ. ახლა ტაქსისტად ვმუშაობ".

აქ კი რინგს მიღმა თემებზე საუბარი გააგრძელა კითხვამ: აპირებენ თუ არა ძმები, გამოუშვან საკუთარი შამპანური "კლიჩკოს ქვრივი", რაზეც თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ხუმრობდა ცნობილი სატირიკოსი ევგენი პეტროსიანი. "ჩემი მეუღლე აპირებს, პეტროსიანთან პირადად გაარკვიოს ამ ხუმრობის არსი", - უპასუხა ვიტალი კლიჩკომ. თუ გავითვალისწინებთ, რომ კლიჩკოს მეუღლეც სპორტსმენია, უნდა ვივარაუდოთ, რომ პეტროსიანს საქმე სახუმაროდ არ ექნება.

ვლადიმირ კლიჩკომ კი თავის მხრივ განაცხადა, რომ საინტერესო იქნებოდა მსოფლიო კრივის რომელიმე კორიფესთან შეხვედრა. "ნებისმიერი მოკრივე ცდილობს, შეხვდეს ისეთ მეტოქეებს, როგორებიც არიან მაიკ ტაისონი, ლენოქს ლუისი ან ევანდერ ჰოლიფილდი, - ამბობს უმცროსი კლიჩკო, - ურიგო არ იქნებოდა რომელიმე მათგანთან ჩხუბზე შეთანხმება და ამ ბრძოლის აღმოსავლეთ ევროპაში გამართვა".

*ოლიმპიზმი*

# სჭა-ბაასი ოლიმპიზმზე, თავდაცვასა და ოფიციალურ ფრენაზე

*თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოლიმპიურ მოძრაობას, ამაზე ლაპარაკი ზედმეტი უნდა იყოს. გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ხაზი გაესვა იმას, რომ, რომ ოლიმპიურ მოძრაობას და, ზოგადად, სპორტს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ქართული საზოგადოების აღმშენებლობაში. აღმშენებლობაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომაც. ყოველ შემთხვევაში, ამის არაერთი მაგალითი არსებობს და არცთუ წარუმატებელი.*

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2003 წლის ერთობლივი დადგენილებით გუშინ ეოკ-ში ურთიერთთანამშრომლობას მოეწერა ხელი. ანუ, სეოკ-მა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭომ დაადგინეს, რომ ორ მხარეს შორის ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს. კერძოდ, დამტკიცდა ურთიერთთანამშრომლობის 2004-2006 წლების სამუშაო გეგმა, რაც შემდეგში გამოიხატება: თბილისის, აფხაზეთის, აჭარის სამხარეო ორგანიზაციებმა 2004 წლის 1 აპრილამდე შესაბამისი სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელებთან განიხილონ და დაამტკიცონ ურთიერთთანამშრომლობის გეგმა და გაატარონ ღონისძიებები მათ შესასრულებლად. თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა სამხედრო დანაყოფებმა კი უზრუნველყონ შემუშავებული გეგმის განხორციელება, დამკვიდრება. ამასთან, ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანოებმა და დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა ამ ყოველივეს განხორციელებაში დახმარება აღმოუჩინონ ოლიმპიურ ორგანიზაციებს. იმისთვის, რომ გარკვეული შედეგი იქნას მიღწეული, საჭიროა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მასმედიამ.

ერთი სიტყვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპორტულ სამმართველოში უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იზრუნებს სამხედრო მოსამსახურეთა სპორტულ მიღწევებზე.

"სპორტი მასობრივი თუ არ გახდა, ნებისმიერი მცდელობა ერთეულებისთვის დარჩება. საჯარისო ნაწილები კი ერთეულთათვის არაა განკუთვნილი. იგი მასობრივია, ანუ არმიაა, ისევე როგორც ჯარი", - ჩვეულებისამებრ, მოკლედ მოჭრა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

სეოკ-სა და თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული ერთობლივი ხელშეკრულების გარდა, აღსანიშნავია სეოკ-სა და ავიაკომპანია "აირზენას" შორის გაფორმებული პირობები. დღეიდან ავიაკომპანია "აირზენა" სეოკ-ის ოფიციალური გადამყვანი ხდება. ანუ, 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებს საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია "აირზენას" მომსახურებით ისარგებლებს. როგორც ავიაკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ფერიშვილმა გვითხრა, კონტრაქტი 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე იქნება ძალაში. არაა გამორიცხული, სეოკ-სა და ავიაკომპანიას შორის ურთიერთთანამშრომლობა მეტ ხანსაც გაგრძელდეს.

გარდა ამისა, შევიტყვეთ ისიც, რომ სეოკ-ი ამჯერად უკვე ოფიციალურად ითანამშრომლებს "ბორჯომთან" და მის ხელმძღვანელ მამუკა ხაზარაძესთან, რომელიც იმავდროულად სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტიცაა. მართალია, ოლიმპიური კომიტეტი აქამდეც თანამშრომლობდა "ბორჯომთან" ("ჯორჯიან მინერალ ვოთერს ენდ გლას კომპანი"), მაგრამ დღემდე მათ შორის ოფიციალური ხელშეკრულება არ არსებობდა.

ხელშეკრულებებზე ხელმოწერის შემდეგ ასპარეზი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 2003 წლის აღმასკომის სხდომას დაეთმო. მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს კრივისა და ძალოსნობის ფედერაციების ხელმძღვანელები, რომლებმაც ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაზე ისაუბრეს. იმსჯელეს საქართველოს სპორტული დელეგაციის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხებზეც. მიმოიხილეს ოლიმპიური ფესტივალის შედეგებიც. შეგვახსენეს 2001-2003 წლებში ოლიმპიურ სახეობათა წარმომადგენლების მონაგარი. მართალია, შედეგებს ჩვენც ვაშუქებდით, მაგრამ როდესაც სტატისტიკას გადავხედეთ, ეს უკანასკნელი ბევრად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ანუ, ამ ხნის განმავლობაში ოლიმპიური სახეობის წარმომადგენლებმა, ამ შემთხვევაში, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა, ძიუდოისტებმა, ძალოსნებმა, მოკრივეებმა, ტყვიის მსროლელებმა და მშვილდოსნებმა, მთლიანობაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე 47 მედალი (აქედან 32 ევროპის და 15 მსოფლიო ჩემპიონატების) დაისაკუთრეს.

*TV–სპორტი*

## სამშაბათი. 23 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 2000. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "MIAMI HEAT" - NEW YORK KNICKS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:55 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
19:40 "დარტყმა გოლისთვის"
20:00 "პოსტსკრიპტუმი"
20:30 "ცხრიანი"
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი
23:45 თავისუფალი დარტყმა
00:00 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
01:45 "პოსტსკრიპტუმი"
02:15 02:15-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV - NBA შიგნიდან
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. "HOUSTON ROCKETS" - "INDIANA PACERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
12:15 "რკინის ფაქტორი". ფიტნეს ოლიმპია 2003. ნაწილი მეორე
12:45 თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ქალები. 10კმ.
14:15 თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ვაჟები. დუატლონი 2x15 კმ.
15:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ფინეთში. ნაწილი პირველი
16:00 ჰოკეი. ევროტური. "ბალტიკის თასი". შვედეთი – რუსეთი. შესვენებისას (17:10) პრესცენტრი
18:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სუპერგიგანტი
19:15 საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი პულში. ინგლისი. დღე პირველი. შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ფინეთში. ნაწილი მეორე
23:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი შვედეთში
23:30 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship"
01:20 ახალი ამბები
01:35 შოუ მოტოსპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით
02:10 02:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "WASHINGTON CAPITALS" - "MONTREAL CANADIENS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ევროგოლები
12:00 ექსტრემალური სპორტი
13:00 მულტისპორტი
13:15 ფეხბურთი. საქველმოქმედო მატჩი პორტუგალიაში
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
18:30 მულტისპორტი
19:00 ფეხბურთი. ევროგოლები
20:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
22:30 ფეხბურთი. ევროგოლები
23:00 კრივი საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 კრივი საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 მოტორბოლა. გრან-პრი
04:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი

# რაიტების ოცნება ასი წლის შემდეგ

ზუსტად ასი წლის წინ, 1903 წლის 17 დეკემბერს, ძმებმა, უილბურ და ორვილ რაიტებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველი გაფრენა განახორციელეს საკუთარი კონსტრუქციის აეროპლანით. სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს მეოცე საუკუნის კიდევ ერთი პირმშოს, ავიაციის ისტორია. საფრენი აპარატების შექმნამ ადამიანის ოცნება, დაეპყრო საჰაერო სივრცე, რეალობად აქცია და შეცვალა კაცობრიობის წარმოდგენა დროსა და სივრცეზე.

რაიტების პირველი გაფრენიდან, რომელიც სულ ოციოდე წამს გაგრძელდა, ასი წელი გავიდა და ათასწლეულების მიჯნაზე ადამიანი უკვე წარმოუდგენელ ამოცანებს ისახავს მიზნად და ეს მიზანი საჰაერო სივრცის და მთლიანად კოსმოსის სრულყოფილი ათვისებაა. მეცნიერები, კონსტრუქტორები და ფუტურისტები ირწმუნებიან, რომ ავიაციის ახალი საუკუნე ისეთ განვითარებასა და აღმოჩენებს ჰპირდება კაცობრიობას, რომლის მსგავსი რაიტებს არც კი დაესიზმრებოდათ.

გაცილებით მასშტაბური გახდება სამგზავრო ავიაციის დარგი, სადაც წარმოუდგენლად გაიზრდება კერძო კომპანიების რიცხვი. ეს კომპანიები ათასობით ტურისტს გააგზავნიან კოსმოსში, პირადი საფრენი აპარატები კი ეგრეთ წოდებულ ციფრულ საჰაერო გზებს აითვისებენ, ბიზნესმენთა კერძო თვითმფრინავები კი ჰიპერბგერითი სიჩქარით გადაიყვანენ მათ პატრონებს ერთი წერტილიდან მეორეში. მომდევნო თაობის საფრენი აპარატები მარსსა და მთვარეზე გადაიყვანენ კოლონისტებს, ჩვენი პლანეტის ფარგლებში მფრენი აპარატები მინიმუმ ათასი მგზავრის გადაყვანას შესძლებენ, კერძო მინითვითმფრინავები კი ინდივიდუალური ასაფრენი ზოლიდან აიღებენ სტარტს, რომლებიც მათ მფლობელთა სახლის სიახლოვეს იქნება განლაგებული.

ყველა სიკეთესთან ერთად, ავიაკოსმოსური დარგის სწრაფ განვითარებას თავისი უარყოფითი მხარეც ექნება – ის კოსმოსში და ჩვენი პლანეტის ორბიტაზე ომს გაიტანს. თუმცა, დღეს ამაზე არავინ ფიქრობს. დღეს ავიაციაში მოღვაწე ინჟინრები მომავალს ოპტიმიზმით შესცქერიან და სწორედ ეს ოპტიმიზმი სძენთ ახალი აღმოჩენებისთვის საჭირო ენერგიასა და ენთუზიაზმს.

### კოსმოსური ტურიზმი

"როგორც მეცნიერება, აერონავტიკა ჯერაც არაა სათანადოდ ჩამოყალიბებული და მომწიფებული. ჩვენ ჯერ მხოლოდ ახლა ვიწყებთ მასში გაკეთებული აღმოჩენების გამოყენებას და შეიძლება ითქვას, რომ რაიტების ოცნებისთვის ჯერაც არ შეგვისხამს ფრთები", - ამბობს კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტოს (NASA) ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი მარკ მური.

ფონდ X-პრაიზის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისივე აღმასრულებელი დირექტორი პიტერ დიამანდისი კი დარწმუნებულია, რომ კოსმოსური ტურიზმის დასაწყისი უახლოესი რამდენიმე წლის საქმეა.

ამ კაცმა, ვისაც ბევრი მეოცნებედ მოიხსენიებს, 1996 წელს ჩამოაყალიბა ფონდი X-პრაიზი და დააწესა პრიზი ათი მილიონი დოლარის ოდენობით იმ გამომგონებლისთვის, ან კერძო კომპანიისთვის, რომელიც შეძლებს, დამოუკიდებლად ააგოს საფრენი აპარატი, რომელიც მინიმუმ ორ ადამიანს ხმელეთიდან ასი კილომეტრის სიმაღლეზე (ეს უკვე კოსმოსია) აიყვანს და მალევე დააბრუნებს მიწაზე. პრიზის მისაღებად აუცილებელი პირობაა, რომ ერთხელ განხორციელებული გაფრენა ორკვირიან ვადაში იქნას გამეორებული.

ამ წლის სექტემბერში დიამანდისმა უკვე გამოაცხადა, რომ პრიზს უკვე 2004 წელს გამოუჩნდება პატრონი. ამასთან, იგი დარწმუნებულია, რომ ყოველივე წერტილს დაუსვამს სახელმწიფოთა მონოპოლიას კოსმოსის ათვისებაზე და 2013 წლიდან დასაბამს დაუდებს კოსმოსურ ტურიზმს: "ჩვენ ვიმყოფებით კოსმოსური ეპოქის ზღურბლზე, ეპოქისა, რომლის დროსაც ჩვენი პლანეტის მცხოვრებნი რეგულარულად იფრენენ კოსმოსში, რაც მათთვის ჩვეულებრივ საქმედ იქცევა".

კოსმოსის პირველმა ტურისტებმა, დენის ტიტომ და მარკ შატლუორტმა კოსმოსში გაფრენის უფლების მოსაპოვებლად ახლახან ოც-ოცი მილიონი დოლარი გადაიხადეს. დიამანდისი კი დარწმუნებულია, რომ კერძო კომპანიები სწრაფად შეძლებენ ამ ფასის საგრძნობლად დაგდებას. საერთოდ, კოსმოსში ტურისტულად გამგზავრების სავარაუდო ფასად სპეციალისტები 100 ათას დოლარს მიიჩნევენ.






*რაიტების "ფლაიერმა" 100 წლის შემდეგ ფრენაზე უარი თქვა*

### ჰიპერბგერითებისა და ზეტევადი თვითმფრინავების ეპოქა

2006 წლიდან კომპანია "ერბასი" საჰაერო მაგისტრალებზე პირველად გამოიყვანს ორბაქანიან ლაინერებს, რომელთა ტევადობაც 600 მგზავრი იქნება. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ამის შემდეგ, ლაინერებამდე, რომლებსაც ათასი მგზავრის გადაყვანის შესაძლებლობა ექნებათ, სულ ერთი ნაბიჯიღა დარჩება. კიდევ ერთი მიზანი, რომელსაც სამგზავრო ლაინერების დარგი ისახავს მიზნად, არის ზე და ჰიპერბგერითი კერძო თვითმფრინავები, რომლებსაც უნარი ექნებათ, თითზე ჩამოსავთლელ საათებში შემოუფრინონ პლანეტას.

იმ დროს, როდესაც კომერციული ავიალაინერები სულ უფრო იზრდებიან გაბარიტებში, სულ უფრო მცირე ზომისანი ხდებიან ეგრეთ წოდებული კერძო საფრენი აპარატები. შორს არაა ის დრო, როდესაც ჩვენი პლანეტის მაცხოვრებელთა დიდ ნაწილს საკუთარ ფარეხში ავტომობილის ნაცვლად საკუთარი თვითმფრინავი ეყოლება. ჰოდა, სურათი, რომელსაც დღეს ფანტასტიკურ ფილმებში თუ ნახავს ადამიანი, როცა შენობებს შორის, ჰაერში ხდება გადაადგილება, ჩვეულებრივი ამბავი გახდება.

უკვე რამდენიმე წელია, NASA-ს ლენგლის ცენტრში სწარმოებს მუშაობა პროგრამაზე, რომლის მიზანია კერძო საჰაერო საშუალებების შექმნა. ამასთან, ისინი იმაზეც ზრუნავენ, რომ, რას არ მოიგონებს კაცი, ამ საშუალებებისთვის სპეციალური ციფრული საჰაერო სივრცეც შექმნან.

ამ პროგრამის ხელმძღვანელი მარკ მური თვლის, რომ კერძო საფრენი აპარატი რაღაცით ავტომობილის მოვალეობებს შეასრულებს. ის იქნება სრულიად უხმაურო, ოთხადგილიანი და, რაც მთავარია, ხელმისაწვდომი ფასი ელირება. სპეციალური კომპიუტერული კურსის მეშვეობით, მის მართვას ადამიანი ხუთიოდე დღეში დაეუფლება. თუმცა, ამ აპარატებისთვის პილოტი სულაც არ იქნება აუცილებელი – მას რევოლუციური სანავიგაციო სისტემა გააკონტროლებს და თავადვე გაუწევს პილოტირებას.

პიტერ დიამანდისი უფრო შორსაც მიდის და "გვპირდება", რომ 2025 წლიდან კაცობრიობა დაიწყებს მთვარის კოლონიზაციას, მომავლის ალტერნატიული განვითარების შემსწავლელი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი ჯიმ დეიტორი კი თვლის, რომ 30-50 წლის შემდეგ მარსზე პირველი დასახლებები გაჩნდება.

ყველაფერი კარგი, მაგრამ ავიაციის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილ ზეიმზე, რომლის ერთ-ერთ ორგანიზატორადაც კომპანია "ფორდ მოტორსი" მოგვევლინა, კოსმოსის დამპყრობელი თანამედროვე ინჟინრების მიერ აგებულმა რაიტების პირველი საფრენი აპარატის ასლმა ხმელეთისგან მოწყვეტაც კი ვერ შეძლო. ვინ იცის, იქნებ, ეს იმ წვიმის ბრალია, რომელიც, ისევე როგორც ასი წლის წინ, ამჯერადაც ასველებდა ფრენის მოყვარულ საზოგადოებას?

# მარსის ექსპედიცია წითელ პლანეტას მიუახლოვდა



*"ბიგლ 2" მარსის გზას დაადგა*

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა კოსმოსურ ზონდ "ბიგლ 2"-ის მოგზაურობა, რომელიც ორიოდე დღეში მარსის ზედაპირზე უნდა დაეშვას. ზონდი უკვე მოსწყდა კოსმოსურ ხომალდ "მარს ექსპრესს" და გეზი წითელი პლანეტისკენ აიღო, რომელზეც ახალი წლის დადგომამდე, 25 დეკემბერს დაეშვება.

ბრიტანული წარმოების კოსმოსური აპარატი მოწოდებულია, გაარკვიოს, არის თუ არა მარსზე სიცოცხლის ნიშნები. მან უკვე გაიფრინა 250 მილიონი კილომეტრი და "მარს ექსპრესისგან" განცალკევების შემდეგ კიდევ 1.7 მილიონ კილომეტრს იფრენს, სანამ წითელი პლანეტის ზედაპირს შეეხებოდეს.

თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდება, "ბიგლ 2" იქნება პირველი ევროპული აპარატი, რომელიც მარსზე დაჯდება. მას კვალში უდგას ორი ამერიკული ზონდი სახელწოდებით "სპირიტ" და "ოპორტუნიტი", რომელთაგან პირველი მარსს 3 იანვარს ეწვევა.

"ბიგლ 2" მზიდ კოსმოსურ ხომალდს ორი დღის წინ მოსწყდა და ლამის კრახი განიცადა. საქმე ისაა, რომ დაშორიშორებამდე მას გარკვეული მანევრი უნდა განეხორციელებინა, რომლის გარეშეც მარსზე მისია არ შედგებოდა, რადგან მზიდი "ექსპრესი" ვერ შეძლებდა საჭირო ორბიტაზე გასვლას. თუმცა, დაშორიშორების მოწყობილობა ამუშავდა და რთული მანევრიც შედგა – "ბიგლ 2"-მა კარისკენ დარტყმული რაგბის ბურთის ბურთის სტილში, გეზი წითელი პლანეტისკენ აიღო.

"ექსპრესთან" ზონდის დაშორიშორება დაადასტურა ევროპის კოსმოსური კვლევის ცენტრმა, რომელიც გერმანიის ქალაქ დარმშტადტის სიახლოვეს მდებარეობს. 25 დეკემბერს ამ ცენტრიდან "ბიგლის" მარსზე დაშვების ინფორმაციას ელიან.

# წლის გამორჩეული გამოგონებები ჟურნალ "ტაიმის" ვერსიით



*რობოტი-ჰუმანოიდი "ქრიო"*

*ჟურნალმა "ტაიმმა" გამოაქვეყნა წლის გამორჩეულ გამოგონებათა სია. ზოგიერთი მათგანი შეიძლება ფანტასტიკის სფეროსაც კი მივაკუთვნოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ახლო მომავალში დაინერგება წარმოებაში და მათ მწარმოებელს დიდ მოგებას მოუტანს. გთავაზობთ "ტაიმის" რჩეულ გამოგონებათა არასრულ სიას, რომლის პირველი ნაწილიც რუბრიკის წინა ნომერში შემოგთავაზეთ:*

### მზის სათვალეები ვიდეოკამერით, მობილურითა და ინტერნეტით

მოდა და თანამედროვე ტექნოლოგიები ფეხდაფეხ მიჰყვებიან ერთმანეთს და თუ მომავალი კომპიუტერებისაა, რომლებსაც ადამიანი ალბათ ისევე ატარებს, როგორც ტანისამოსს, გამოდის, რომ მზის სათვალეები სახელად "ოფსპრინგ ვირეიბლ" სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია.

"ოფსპრინგ ვირეიბლ" უბრალოდ მოდური სათვალე როდია – მისი ჩარჩოს მარჯვენა ნაწილში ჩამონტაჟებულია მინიატურული ციფრული ვიდეოკამერა, მარცხენა ლინზაში კი თხევადკრისტალიანი მონიტორი. სათვალის საყურეებში ჩადგმულია ყურსასმენები, რომლებიც მობილურ ტელეფონთანაა შეერთებული. ამ სათვალეების საშუალებით შესაძლებელია ინტერნეტის ქსელში ბოდიალი, ელექტრონული ფოსტის წაკითხვა და ციფრული ფოტო და ვიდეოჩანაწერების გაკეთება. ეს სათვალე ორი კომპანიის, "მოტოროლასა" და "ფროგ დიზაინის" ერთობლივი ნამუშევარია და მისი გაყიდვების დაწყება 2006 წლისთვისაა ნავარაუდევი.

### "ლუმინექსი" - ნაჭერი, რომელიც ანათებს

უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს გამოგონება ჯერ კიდევ დისკომუსიკის ეპოქაში გაკეთებულიყო. თუმცა, გვიანი არასოდესაა. "ლუმინექსი" ახალი ტიპის მატერიაა. იგი უბრალოდ, სიბნელეში კი არ ანათებს, არამედ სინათლის ნამდვილ წყაროსაც წარმოადგენს. სწავლულებმა მის მოსაქსოვად გამოიყენეს ზეწვრილი ოპტიკური ბოჭკო, რომელიც ენერგეტიკის სფეროს ექსპერიმენტებისთვის იყო განკუთვნილი. მისგან კი ჩვეულებრივი ნაჭერი მოქსოვეს.

"ლუმინექსი" ენერგიას ჩვეულებრივი ელემენტებისგან ღებულობს, რომლებიც ნაჭერშია ჩაკერებული. ამ ახალი მატერიისგან უკვე იქსოვება პოპ-ვარსკვლავთა სასცენო კოსტუმები და სხვადასხვა აქსესუარები. ახლო მომავალში "ლუმინექსით" შეკერილ ტანსაცმელში ჩააკერებენ სპეციალურ მიკროჩიპებს, რომელთა წყალობითაც ის წინასწარ განსაზღვრული მიმდევრობით გაანათებს.

### კაბრიოლეტი-ამფიბია "აკვადა"

ბრიტანულმა საკონსტრუქტორო კომპანია "გიბს ტექნოლოჯისმა" შექმნა უნიკალური სპორტული ავტომობილი-ამფიბია, კაბრიოლეტი "აკვადა", რომელსაც მოძრაობა შეუძლია როგორც ჩვეულებრივ გზებზე, ასევე წყალშიც. და თუ ასფალტზე "აკვადა" დღეისათვის საკმაოდ მოკრძალებულ სიჩქარეს (160 კმ/სთ) ავითარებს, წყალზე მისი სიჩქარე საკმაოდ სოლიდურია – იგი 50 კმ/სთ-ს აღწევს. "აკვადას" ძრავის სიმძლავრეა 175 ცხენის ძალა. ჰერმეტულობის დასაცავად, კონსტრუქტორებმა უარი თქვეს კარებზე. ავტომობილი-ამფიბია აღჭურვილია სპეციალური სენსორებით, რომელთა წყალობითაც ხმელეთზე შეუძლებელია მისი კატერად გადაქცევა და პირიქით. კომპანია "გიბს ტექნოლოჯისი" უახლოეს მომავალში ას ცალ "აკვადას" დაამზადებს, მათი ღირებულება კი, სავარაუდოდ, 250 ათასი დოლარი იქნება.

### ადამიანის გენომი კომპიუტერის ჩიპში

ადამიანის სხეულის ყოველი უჯრედი შეიცავს მისი გენომის ასლს, რომელშიც თავმოყრილია დაახლოებით 50 ათასი გენი და ისინი გარკვეული კომბინაციითაა განლაგებული. იმისათვის, რომ ამ ინფორმაციამ დახმარება გაუწიოს მეცნიერებს, რომლებიც გენეტიკური მარკერების ძიებაში არიან და გენეტიკის საფუძველზე კიბოს წამლის შექმნას ცდილობენ, მათ ესაჭიროებათ ინსტრუმენტი, რომელიც შეძლებს გამოყოს ყოველი ცალკეული გენი და ისინი ადვილადიდენტიფიცირებადი გახადოს.

სწორედ ასეთი "ინსტრუმენტი" შექმნა კომპანია "აფიმეტრიქსმა". მის მიერ დამზადებული კომპიუტერული ჩიპი "გენჩიპი" შეიცავს ადამიანის გენომის შესახებ სრულ ინფორმაციას. არადა, ადრე შესაძლებელი იყო გენომის მხოლოდ გარკვეული ნაწილის ჩაწერა, რაც კვლევისთვის საკმარისი არ იყო. "გენჩიპის" ყიდვა დღესვეა შესაძლებელი, მისი ღირებულება კი 300-500 დოლარს შეადგენს.

### რობოტი-ჰუმანოიდი "ქრიო"

იაპონურ კომპანია "სონის" მიერ შექმნილი ახალი რობოტი-ჰუმანოიდი სახელად "ქრიო" მისი შემქმნელების მიერ დამხმარე რობოტადაა მიჩნეული. მისი გაყიდვების დაწყება ჯერაც არაა დაგეგმილი და რომ დაიწყოს, მისი ღირებულება ალბათ "ბეემვეს" უკანასკნელი მოდელის ფასის ტოლფასი იქნება. "ქრიოს" სიარულის გარდა შეუძლია სიმღერა, ცეკვა და ასე განსაჯეთ, ფეხბურთის თამაშიც კი.

რობოტის ყოველი თვალი წარმოადგენს ციფრულ ვიდეოკამერას, რომლის მეშვეობითაც, "ქრიოს" უნარი აქვს, იდენტიფიცირება ჩაუტაროს ათ სხვადასხვა ადამიანის სახეს. გარდა ამისა, მას შეუძლია ოთახში საგნების განლაგების დამახსოვრება, რათა წინაღობის გარეშე შეძლოს მათ შორის მოძრაობა. უფრო მეტიც, "ქრიოს" იაპონურად საუბარიც კი შეუძლია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ რობოტი-ჰუმანოიდის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არსებობს.

### წყალბადის პორტატული ელექტროგენერატორი "ეარგენი"

მას შემდეგ, რაც 2003 წლის აგვისტოში აშშ-ში მასობრივად გამოირთო დენი, მილიონობით ამერიკელმა ორი რამ დააფიქსირა: თურმე შესაძლებელია საღამოს ტელევიზორის გარეშე გატარება და თურმე ფიჭური ტელეფონების სათადარიგო ელემენტებს პირველადი მოხმარების საგნების ფუნქციის შესრულებაც შეუძლიათ. ისე კი, მათთვის, ვისაც არ სიამოვნებს განსაკუთრებულ სიტუაციებში ყოფნა, კომპანია "კოულმენმა" შექმნა ელექტროგენერატორი "ეარგენი".

ამ გენერატორს თხევადი წყალბადით სავსე ერთი ავზის საშუალებით, 8 საათის განმავლობაში, მომხმარებლის ერთი კილოვატი ელექტროენერგიით მომარაგების უნარი გააჩნია. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, "ეარგენი" ეკოლოგიურად სუფთა გენერატორია. მუშაობის პროცესში იგი მხოლოდ სითბოსა და წყლის ორთქლს გამოჰყოფს, რის გამოც სრულიად შესაძლებელია მისი საცხოვრებელ ფართზე მოთავსება. მცირე გაბარიტები კი გენერატორის საოფისე მაგიდის ქვეშ განთავსების საშუალებასაც იძლევა. ასეთი გენერატორები დასავლეთში უკვე იყიდება 6 ათას დოლარად.

# შაშხანა მოძრავი ლულით



ისრაელის კომპანია "კორნერ-შოთის" კონსტრუქტორებმა თავიან ამერიკელ კოლეგებთან ერთად შექმნეს ახალი იარაღი, რომლითაც კუთხიდან უსაფრთხო სროლაა შესაძლებელი.

შაშხანა ორი ნაწილისგან შედგება – წინა ნაწილში განთავსებულია იარაღის ლულა და ფერადი ვიდეოკამერა და მას მსროლელის სურვილისამებრ, ნებისმიერი მიმართულებით მობრუნება შეუძლია. უკანა სექცია შედგება კონდახისგან, სასხლეტისა და რაც მთავარია, თხევადკრისტალური მონიტორისგან, რომლის მეშვეობითაც მეომარს შეუძლია, თავისი მხედველობის არეში მოაქციოს ის ზონა, რომელსაც საკუთარი თვალით ვერ ხედავს და რომლის დანახვაშიც მას ვიდეოკამერა ეხმარება.

შაშხანა, რომლის შესაქმნელადაც ისრაელის არმიის ვიცე-პოლკოვნიკ ამოს გოლანს რამდენიმე წელი დასჭირდა, რეგულარული მასშტაბის ქალაქის პირობებში წარმოებულ ბრძოლებისა და ანტიტერორისტულ ოპერაციებში, რამდენადაც მისი საშუალებით საფარიდან ცეცხლის უსაფრთხოდ წარმოებაა შესაძლებელი ისე, რომ მსროლელი მტრისთვის უხილავი იქნება. თავის დროზე გოლანი ისრაელის ელიტარულ საიდუმლო ქვეგანაყოფ "დუვდევანს" ხელმძღვანელობდა, რომელიც დასავლეთ სანაპიროზე, პალესტინაში მოქმედებდა.

ახალმა იარაღმა უკვე გაიარა სრულფასოვანი ტესტები და როგორც ისრაელის გაზეთი "მაარივი" იუწყება, მისით შეიარაღება დაწყებული აქვთ ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების სპეციალურ ქვედანაყოფებს. გარდა ამისა, ახალი შაშხანის შეძენა უკვე 15 ქვეყნის, მათ შორის, ისრაელის, გერმანიის, აშშ-ისა და რუსეთის სპეციალურმა ქვედანაყოფებმა დაიწყეს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი იარაღის გამოყენების მცდელობა უკვე ჰქონდათ ფრანგულ სპეცრაზმებს და აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეცნაწილებს. ოღონდ, მათ შემთხვევაში სამხედროს ცალ ხელში ეჭირა მონიტორი, რომლითაც ათვალიერებდა ბრძოლის ველს, მეორეთი კი ცეცხლს ხსნიდა, რაც მეტად მოუხერხებელი იყო და ბუნებრივია, ნაკლები ეფექტიც გააჩნდა.

"ახლა საჭირო აღარ არის შენობაში, სადაც ტერორისტებთან ერთად შეიძლება მშვიდობიანი მოქალაქეებიც იმყოფებიან, ხელყუმბარის შედგება. ჩვენს მიერ შექმნილი სისტემა მეომარს შექმნილი სიტუაციის გააზრებისა და შეფასებისთვის მეტ დროს აძლევს, რამდენადაც მას თითქმის არ ემუქრება ხიფათი", - ამბობს გოლანი.

ახალი სისტემით სრულიად შესაძლებელია ჩვეულებრივი შაშხანებისა და ავტომატური იარაღის აღჭურვა. ამასთან, სისტემის სასხლეტი იარაღის სასხლეტთან სადენებით ერთდება, რათა იმ დროს, როდესაც მეომარი საფარში იმყოფება, მას იარაღის მოწინააღმდეგისკენ მიმართვის საშუალება ჰქონდეს. მაღალი გარჩევადობის უნარის მქონე კამერა და მონიტორი სიტუაციის შეფასების და დამიზნების საშუალებას იძლევიან. ამასთან, ინფორმაციას პარალელურად სამეთაურო პოსტიც მიიღებს. მეომარს საშუალება აქვს, 60 გრადუსით მოაბრუნოს ლულა და საკუთარი სხეულის ხელსაყრელად განლაგების შემთხვევაში, 90-გრადუსიანი კუთხით სროლის საშუალებაც კი ექმნება.

# ამერიკელმა მეცნიერებმა სინათლის სხივი შეაჩერეს

ჟურნალ "ნეჩურის" ცნობით, მასაჩუსეტსის შტატის როულენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა სენსაციურ შედეგს მიაღწიეს – გაზის გარემოში, რომლის ტემპერატურაც ახლოს იყო აბსოლუტურ ნულთან (დაახლოებით –273 გრადუსი) მათ შეძლეს სინათლის სხივის შეჩერება.

დადგენილია, რომ სინათლის სხივის სიჩქარე მუდმივი არ არის და იმ გარემოს სიმკვრივეზეა დამოკიდებული, რომელშიც მოძრაობს. სწორედ ამით აიხსნება წყლით სავსე ჭიქაში სინათლის სხივის გარდატეხა. თუმცა, ყოველივეს მიუხედავად, სხივის სიჩქარე შეუმჩნევლად მცირდება. იმისათვის, რომ სიჩქარის შესამჩნევი კლება დაფიქსირდეს, საჭიროა სხივის ისეთ გარემოში გატარება, რომელსაც გარდატეხის და ინტერფერენციის მაღალი კოეფიციენტი გააჩნია.

ამერიკელი მეცნიერები თავიანთ ექსპერიმენტებს ატარებდნენ ნატრიუმის გაზში, რომლის ტემპერატურა აბსოლუტურ ნულზე ოდენ რამდენიმე მემილიონედით მაღალი იყო. გაზი მოთავსებული იყო ერთგვარ მაგნიტურ "ხაფანგში", რაც ჩვეულებრივ, შეუღწევადია სინათლის სხივისთვის. თუმცა, მას გააჩნია იძულებითი ელექტრომაგნიტური გამჭვირვალობის თვისება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაზის გარემოზე მეორე სხივის ზემოქმედებისას ის გამჭვირვალობის თვისებას იძენს.

თუ იმ დროს, როცა საცდელი ლაზერის სხივი გარემოში მოძრაობს, გამოვრთავთ "დამხმარე" ლაზერს, მაშინ სინათლის სხივი ამ გარემოში "შეჩერდება". როცა ექსპერიმენტატორები "დამხმარე" ლაზერს რთავდნენ, აპარატურა საცდელი სხივის იმპულსს აფიქსირებდა მაშინ, როცა ეს ლაზერი გამორთული იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "შეჩერებულმა" სხივმა გზა განაგრძო.

ამგვარად, შესაძლებელი გახდა სინათლის სხივის შეყოვნება. აღმოჩენილ ეფექტს დღესვე რევოლუციურ მომავალს უწინასწარმეტყველებენ: სინათლის სხივის შეყოვნების პრინციპის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ეგრეთ წოდებულ "კვანტურ კომპიუტერებში" მონაცემების შენახვა და გადაცემა.

**გვერდი მოამზადა
მერაბ ლორთქიფანიძემ**

# "მატრიცას" სპეცეფექტები შეუმჩნეველი დარჩა




ამაოდ ღელავდნენ ფილმების: "მატრიცა: გადატვირთვასა" და "მატრიცა: რევოლუციის" შემქმნელები, რომ ამერიკულმა კინოაკადემიამ არ დაუშვა ერთ წელიწადს გამოშვებული ორივე ფილმი "ოსკარზე". ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ეს კინოფილმები კატეგორია "საუკეთესო ვიზუალური ეფექტების" სავარაუდო სიაშიც კი არ აღმოჩნდნენ.

კატეგორიაში შესულ საუკეთესო შვიდეულს შორის არის ფილმები: "ჰალკი", "ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება", "ზღვათა მეპატრონე: დედამიწის ზურგზე", "პიტერ პენი", "კარიბის ზღვის მეკობრეები: შავი მარგალიტებით დაწყევლილნი", "ტერმინატორი 3: მანქანების აჯანყება" და "ადამიანები იქსი 2".

ახლა კინოაკადემიის საგანგებო კომიტეტმა უნდა განიხილოს ამ ფილმების შემქმნელთა დამზადებული 15 წუთიანი რგოლები. ოფიციალურად სამ ნომინანტს 21 იანვარს დაასახელებენ, ისევე როგორც "ოსკარის" დანარჩენ პრეტენდენტებს. ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ კატეგორიაში ყველაზე მეტი შანსი "ბეჭდების მბრძანებელს" აქვს.

# სადამი პლაგიატი



იმ ბრალდებებს შორის, რასაც სასამართლოზე სადამ ჰუსეინს წაუყენებენ, პლაგიატობაც იქნება. არაბული გაზეთის "ალ-ხაიატის" ცნობით, ასეთ სარჩელს კანადელი მხატვარი ჯონათონ ერლ ბაუზერი შეიტანს. მხატვარი ერაყის ყოფილ დიქტატორს ადანაშაულებს მისი ნახატის ("გამოღვიძება") წიგნის ყდის საილუსტრაციოდ გამოყენებისთვის.

რომანში "ზაბიბა და ხელმწიფე" ჰუსეინი მონარქების მეგობრობასა და უბრალო არაბ გოგონაზე მოგვითხრობს. დიქტატორის ნაწარმოების მიხედვით უკვე მოასწრეს პიესის, რადიოსპექტაკლისა და მიუზიკლის დადგმა.

"თუკი სადამს რამდენიმე დოლარი მაინც გადარჩა, იგი ვალდებულია გადამიხადოს. თუმცა კი, იმედი არ მაქვს, რამდენადაც სადამის დღეები დათვლილია", - ამბობს კანადელი მხატვარი.

ნახატი "გამოღვიძება" მხატვარმა 1998 წელს შექმნა. სწორედ ეს სურათი ამშვენებს ჰუსეინის რომანის 2001 წლის ბაღდადურ გამოცემას.

# კუპერი, როგორც რადიოს შოუმენი

ელის კუპერი, რომელსაც ამას წინათ ჰოლივუდის დიდების ხეივანში საკუთარი სახელობის ვარსკვლავის გახსნის პატივი ერგო, ახლა საკუთარი რადიოგადაცემის წამყვანად მოევლინება მსმენელს. შოუს პირველი გამოშვება – "ღამე ელის კუპერთან ერთად" ეთერში 26 იანვარს გავა. როგორც თავად ამბობს, ეს გადაცემა არ იქნება სტანდარტული ე.წ. "დი-ჯეი + მუსიკის" ტიპის. "მე მინდა გადაცემაში მსახიობური თამაშიც შევიტანო. მოვიწყო ჩემთვის გარკვეული როკ-ენ-როლ რადიოთეატრი. ზუსტად ისეთი, როგორსაც სცენაზე ვაკეთებ ხოლმე. მექნება ისტორიები გაგრძელებებით, მუდმივი პერსონაჟებით, ამ ყველაფრის მუსიკალური გაფორმება კი კლასიკური როკი იქნება", - ამბობს კუპერი.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

23 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **18.50** ბუნება **19.15** პერეკროსტოკი **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **01.00** მხ.ფილმი "ნიშნები". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, ხოაკინ ფენიქსი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "ჯონი მნემონიკი" **16.50** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" (ტოკიო) **17.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყარო" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** "სათავეებთან" **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "გატეხილი ნალი"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მაგარი ბიჭი" მთ.რ-ში სტივ მარტინი, ედი მერფი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ჰარი-მეგობარი, რომელსაც სიეთე სურს" მთ.რ-ში ლორენ ლუკა, სერხი ლოპესი. **01.40** "ღამურა" "დამკვირვებელი" მთ.რ-ში ჯეიმს სპეიდერი, მარისა ტომეი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "თოვლის კაცი" (ლენს ჰენრიკსენი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "დამიჭირე თუ შეგიძლია" (ლეონარდო დი კაპრიო)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "ფრენის სიჩქარე" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "ქალიშვილები დედები"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **15.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "შოუ იწყება" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში ფილმი-2" **22.30** მხ. ფილმი "აზარტული თამაშები"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "ლიცეუმი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "წილი" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ლიცეუმი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მატყუარა, მატყუარა" **00.55** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "შენი ოცნების ქალიშვილი" **14.00** მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-66. **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "ბინძური ცეკვები"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.40, 17.20, 00.30** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "ტუალეტი შიგნიდან იყო ჩაკეტილი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "განსაკუთრებული საფრთხე"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** დრამა "აქ მდინარე მოედინება" **11.45** მუსიკა **12.20** მხატვრული ფილმი "ცოფიანი ქოფაკები" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "დაუნდობელი ადამიანები" **15.40, 18.50, 01.00, 02.50** მუსიკა **16.20** მულტფილმი "ახალი ბრემენელი" **17.05** ბოევიკი "პიკის საათი" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** დოკუმენტური ფილმი **20.30** კომედია "ვინ არის კლეტის ტოტი" **21.55** "გალერეა" **23.00 "Пресс-папье"** **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.10** მისტიკური დრამა "მეექვსე გრძნობა" **03.40** სათავგადასავლო ფილმი "რაინდის ისტორია"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.40** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია. **18.15** მოკლედ... საქართველო, ეკონომიკა **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** "ავტოტრეკინგი" **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი" - "ორი გულის შეხვედრა ". მელოდრამა . რეჟ. სიდნი პოლაკი. როლებში: ბარბარა სტრეიზანდი, რობერტ რედფორდი. **00.10** მელოდია **00.20** ტელესერიალი -"აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30. 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Диснейклуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Комедия "Зигзаг удачи" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** "Кумиры". Т. Конюхова **21.00** "Слабое звено" **22.00, 00.30** "Время" **22.30 Детектив "Участок" 23.30** "Кремль-9". "Юрий Андропов. В лабиринте власти". Фильм 3 **00.50** "На футболе" **01.20** "Подводный мир А. Макаревича" **01.50** "Цирковые династии". Запашные **02.20 Боевик "Дикий Билл" 04.05 Комедия "Критическое состояние" 05.40 Сериал "Полтергейст 4"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Худ.фильм "Тайны дворцовых переворотов. Россия. Век XVIII..."** Фильм 1 **11.30** Маленькие комедии "Ха" **11.50, 14.45, 17.30, 23.45** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** "Не скуЧАЙ!" с М. Евдокимовым **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30 Сериал "Право на защиту" 18.10** Ток-шоу "Частная жизнь" **19.05 Мелодрама "Ундина" 20.00 Сериал "Русские амазонки" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Худ.фильм "Тайны дворцовых переворотов. Россия. Век XVIII"** Фильм 2 **00.00** "Вести+" **00.20** Док.фильм "Неизвестный Берия. Полвека после расстрела", 2с. **01.15 Детектив "Сумерки" 03.10** "Дорожный патруль" **03.25** "Агентство одиноких сердец" **03.50 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.55 Сериал "Чужое лицо" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Их нравы" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.35** "Профессия - репортер". "Моя любимая... машина" **14.00 Детектив "Возвращение резидента", 1 с. 15.30** "По праву" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Территория выживания" **20.40 Сериал "Москва. Центральный округ", 10 с. 21.50 Сериал "Чужое лицо", 6 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.50 Боевик "Отмщение" 02.35** "Гордон"




# კრეიგ დევიდი ნობელის კომიტეტმა ცნო

რიტმ-ენდ-ბლუზის ახალგაზრდა ბრიტანელი ვარსკვლავი კრეიგ დევიდი ნობელის კომიტეტმა შეამჩნია. მართალია, მომღერალს არც აქამდე მიუღია და, ალბათ, არც უახლოეს მომავალში არ ელის ამ საპატიო ჯილდოს მინიჭება, მაგრამ მან არანაკლებ პრესტიჟული წინადადება მიიღო. კრეიგ დევიდს პატივი ხვდა გამოვიდეს ნობელის ლაურეატებისთვის გამართულ კონცერტზე ოსლოში. ამისათვის ახალგაზრდა მუსიკოსმა დაგეგმილი ტურნე ჩაშალა. და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ასეთ კონცერტში მონაწილეობა უკვე თავისთავად აღიარება და მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი მუსიკოსისთვის.

# მადონა დიდებისთვის

მართალია, მადონას საბავშო წიგნები ჰარი პოტერის პოპულარობით სუნთქავენ, მაგრამ ამის მიუხედავად, პოპ-ვარსკვლავი მაინც რისკავს და ამჯერად ლიტერატურულ ნაწარმოებს დიდებსაც სთავაზობს. წიგნი ყოფილ ავარდნილ გოგოზე, მაგრამ ამჟამად საკმაოდ დაფასებულ ქალბატონზე, მომღერალმა საკუთარ თავს მიუძღვნა. წიგნის სახელწოდება იქნება Nobody Knows Me, ისევე როგორც მისი ერთ-ერთი სიმღერის (ალბომიდან American Life). წიგნის 52 გვერდზე დაიბეჭდება აქამდე გამოუქვეყნებელი და იშვიათი ფოტოები თავად მადონასა და მისი ახლობლების კომენტარებით. მომღერლის ოფიციალურ ვებსაიტზე კი შესაძლებელია როგორც ამ წიგნის შეკვეთა, ასევე წიგნიდან ფოტომასალის გარკვეული რაოდენობის დათვალიერებაც.



# ხელოვნების ბაზრობების პერსპექტივები


*ვან გოგის "ლანგლუას ხიდი არლეში"*

ხელოვნების საერთაშორისო ექსპერტები 2003 წლის შედეგებს აჯამებენ და 2004 წლის პერსპექტივებზე მსჯელობენ. საკმაოდ მძიმე წელიწადის დასასრულს, ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობის მესვეურები ზომიერად ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს. ლონდონის წამყვან აუქციონებზე იმედოვნებენ, რომ 2004 წელს მყიდველთა ინტერესი გაიზრდება. "იმის მიუხედავად, რაც წელს ხდებოდა (იგულისხმება ერაყის ომი), ჩვენს ბაზარს შეუნარჩუნდა ნდობა. მეტიც, ჩვენ სტაბილურობის ნიშნებსაც ვხედავთ", - განაცხადა "კრისტის" აუქციონის ერთ-ერთმა მმართველმა ჩარლზ კეტორმა.

ექსპერტების აზრით, 2003 წელი კლიენტების კომპეტენტურობის დონის ამაღლებითაც გამოირჩეოდა. "სტაბილური მოთხოვნილება საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს ფასები. ეს კი იმის გარანტიაცაა, რომ უკანასკნელ დროს მსოფლიო ეკონომიკის პრობლემები უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს ხელოვნების ბაზრობებზე", - მიაჩნიათ "კრისტის" ექსპერტებს.

სიტუაციას დადებით შეფასებას აძლევს "დეილი ტელეგრაფის" ხელოვნებათმცოდნე ბილი ბენეტიც: "წლის დასაწყისში მსხვილ აუქციონებს პრობლემები ჰქონდათ, კოლექციონერები ნერვიულობდნენ ერაყის კრიზისის გამო". ამის შედეგად შემცირდა აუქციონის სახლების შემოსავლები წინა წლის მონაცემებთან შედარებით. ასე მაგალითად, "კრისტის" შემოსავალი 4,2 პროცენტით დაეცა; "სოთბის" კი – 3,4 პროცენტით. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ექსპერტთა აზრით, მძიმე პერიოდი წარსულს ჩაბარდა.

წელს კოლექციონერთა გამძაფრებული ინტერესი ძირითადად იმპრესიონისტების ფერწერის, კლასიკური მოდერნის წარმომადგენლების, ომის შემდგომ და თანამედროვე ხელვნების მოთხოვნილებაზე გამოიხატა. ამის ნათელი მაგალითია ნიუ იორკში შემოდგომაზე გამართული "კრისტის" აუქციონის შედეგები. ნიუ იორკში ყველაზე ძვირად გაყიდულ ნამუშევრებს შორის აღმოჩნდა: ვინსენტ ვან გოგის აკვარელში შესრულებული "ლანგლუას ხიდი არლეში" და ამადეო მოდილიანის ტილო "შიშველი". ამას გარდა, "სოთბიმ" ნიუ იორკში 24 მილიონ ევროდ გაყიდა გუსტავ კლიმტის ტილო "სახლი ატერზეეზე". როგორც ამბობენ, აუქციონზე წარმოდგენილ საუკეთესო ნამუშევრებისთვის მყიდველებს შორის ნამდვილი ბრძოლა გაიმართა.

როგორც აუქციონერები აღნიშნავენ, 2003 წელს მათ კლიენტებს განსაკუთრებული მოთხოვნა ცნობილი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად საკოლექციო ღვინოებსა და სამზარეულოს ვერცხლეულზეც ჰქონდათ. ამას გარდა, კოლექციონერები დიდ ყურადღებას უთმობდნენ არაჩვეულებრივ ნივთებსაც. მაგალითად, პარიზის აუქციონზე ნაწილებად გაიყიდა ზებგერითი თვითმფრინავი "კონკორდი". 219 ნაწილში მყიდველებმა 3,2 მილიონი ევრო გადაიხადეს, რამაც ექსპერტების ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

"კრისტის" აუქციონის ექსპერტებს 2004 წლის იმედი აქვთ. ხელოვნების ნიმუშთა ბაზარი ხომ კაპიტალის დაბანდებისთვის ყველაზე საიმედო იყო და ასევე, რჩება. "ეკონომიკური და პოლიტიკური კლიმატის მიუხედავად, ტრადიციული რჩება მოთხოვნილება მაღალი დონის ხელოვნების ნიმუშებზე", - ოპტიმისტურად ადასტურებს სხვა ექსპერტების მოსაზრებებს "სოთბის" პრეზიდენტიც – უილიამ II რუპრეხტი.

# სამეფო ჯილდოს უარმყოფელები


*ნაიჯელა ლოუსონი*

გამოქვეყნდა იმ 300-მდე ცნობილი ადამიანის აქამდე გასაიდუმლოებული სია, რომელთაც სხვადასხვა დროს უარი თქვეს სამეფო ჯილდოზე. მათ შორის არიან: დევიდ ბოვი, რომელმაც 2000 წელს არ მიიღო სამეფო ორდენი; ჟურნალისტი ნაიჯელა ლოუსონი; კომიკოსები: დოუნ ფრენჩი და ჯენიფერ საუნდერსი, რომელთაც იგივე ჯილდოს მიღებაზე უარი 2001 წელს განაცხადეს. ბრიტანეთის იმპერიის ტიტული და ორდენი არ მიიღეს მწერლებმაც: ოლდოს ჰაქსლიმ და გრემ გრინმა; პოეტმა - რობერტ გრეივსმა; "ფორმულა 1"-ის ბოსმა ბერნი ეკლსტოუნმა; მსახიობებმა - ტრევორ ჰოვარდმა და ალესტერ სიმმა.

აღსანიშნავია, რომ მხატვარმა ლ.ს. ლოურიმ ერთგვარი რეკორდიც კი დაამყარა ამ პატივზე უარის თქმის გამო. ლოურიმ ხუთჯერ უარყო რაინდის ტიტულისა და ორდენის კავალრობა. "თრილერის მეფემ", ჰიჩკოკმაც კი უარით გაისტუმრა სამეფო ოჯახი 1962 წელს, თუმცა გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე მაინც დათანხმდა ტიტულის მიღებაზე.













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.